D14.996

ეროვნული ბიბლიოთეკა
5-283

სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველოს ზოოტექნიკურ - საველერინარო
სასწავლო - კვლევითი ინსტიტუტი

ჯ.ე. ჯაფარიძეისეული

XVII-XIX სს. ქართული ველერინარული ხელნაწერები და ძველად სხივიერია და ჭრილვერდა მკურნალობის საკითხები

საღისერტაციო შრომა ველერინარულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერული ხელმძღვანელი, ველერინარულ მეცნიერებათა კანდიდატი -
ჯ.ს. კაპანაძე

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის ზოოტექნიკური და საველერინარო ინსტიტუტის ბიბლიოთეკა

ფოთი
1967 წ.

МИНИСТЕРСТВО СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА СССР

Грузинский зоотехническо-ветеринарный
учебно - исследовательский институт

К.В. ДЖВАРШЕИШВИЛИ

ГРУЗИНСКИЕ ВЕТЕРИНАРНЫЕ РУКОПИСИ XVII-XIX вв. И ВОПРОСЫ ЛЕЧЕНИЯ ДОМАШНИХ ЖИВОТНЫХ И ПТИЦ

Диссертационная работа
на соискание ученой степени
кандидата ветеринарных наук

Научный руководитель, кандидат ветеринарных наук -
К.С. Капанадзе

Тбилиси
1967 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი

გვ.

I. შინაარსობრივი ანალიზი 1

II. ტექსტი 4

III. პერიოდის დახასიათება 30

IV. სსრ კავშირის სახელმწიფო ბიბლიოთეკებში, მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში დაცული ქართული ვეფხვრისწარული ხელნაწერების /კარაბადინების/ აღწერილობა.. 40

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ხელნაწერები. 43

ქ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული ხელნაწერები. 93

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცული ხელნაწერები. 106

ქ. ფოთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული ხელნაწერები. 116

კ. მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერები. 120

საქართველოს სსრ სახელმწიფო ცენტრალურ ისტორიულ არქივში დაცული ხელნაწერები . . . 123

ფშაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერი. 126

სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ხელნაწერი. 127

საღინაღო-შჩეგრინის სახელობის ლენინგრადის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერი. 130

ხელნაწერის ეროვნული ფასეულობა. 133

V. ვეფხვრისწარული ხელნაწერების /კარაბადინების/ საერთო მიმოხილვა და კლასიფიკაცია. 134

ვეფხისტყაოსნის პირველი ხელნაწერი. . . . 139

ცხენის კარაბადინთა პირველი ქვეყანური. . . . 143
ცხენის კარაბადინთა მეორე ქვეყანური. . . . 145
ცხენის კარაბადინთა მესამე ქვეყანური 158
ცხენის კარაბადინთა მეოთხე ქვეყანური 178
ცხენის კარაბადინთა მეხუთე ქვეყანური. 204

ვეფხისტყაოსნის მეორე ხელნაწერი. 213

ვეფხისტყაოსნის მესამე ხელნაწერი 221

ვეფხისტყაოსნის მეოთხე ხელნაწერი 226

VI. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში /კარაბადინებში/
ამონარიდი ციფრულ სახით. 235

VII. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში/კარაბადინებში/
ამონარიდი შინაარს ცხოველის და ფრინველის
ციტირებით დაკავებას. 242

VIII. დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი 280

ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ე ბ ი 295

დანართი – ლექსიკონი 1–26

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა

შინაურ ცხოველთა და ფრინველთა სხვადასხვა დაავადებები, დაავადებათა საწინააღმდეგო სამკურნალწამლო საშუალებები, ასევე ნაწიბურივ მაგი მოვლა-მოშენების ხერხები და მეთოდები, რომლებსაც ქართველი ხალხის შორეული წინაპრები იყენებდნენ ძველად საქართველოში, უხვადაა წარმოდგენილი ძველ ქართულ წერილობით ვეტერინარულ ძეგლებში /კარაბადინებში/.

აღნიშნული კარაბადინები ხელნაწერების სახით დაცულია როგორც საქართველოს, ასევე მის ფარგლებს გარეთ არსებულ სახელმწიფო წიგნსაცავებსა და მუზეუმებში.

ჯუ სახელმძღვანელოს მივიღებთ მაქსიმ გორკის გამოთქმას, რომ: "წარსულის ცოდნის გარეშე შეუძლებელია აწმყოს ნამდვილი არსში ჩაწვდომა და მომავლის მიზნის გაგება", მაშინ გასაგები გახდება ვეტერინარული წერილობით ძეგლებში წარმოდგენილი მასალის შესწავლის მიზანი და აუცილებლობა. ამ საქმის განხორციელება ერთი მხრივ გარკვეულ შუქს ჰფენს ვეტერინარიის შორეულ წარსულს საქართველოში, ხოლო მეორე მხრივ გაგვიადვილებს ჩაწვდეთ და შეეცნოთ ვეტერინარიის აწმყოს ნამდვილი არსი და დავსახოთ მისი მომავლის მიზნები და ამოცანები.

სამკურნალო ხასიათის ძველ ხელნაწერებში აღწერილი სამკურნალწამლო საშუალებათა შესწავლის მნიშვნელობაზე იაპარაკობს ფუნდაციის ფაქტი, რომ მედიცინაში ნევროგენული თეორიის ფუძემდებელმა - ს. ჰ. ბოგკინმა გასული საუკუნის მეორე ნახევარში ქ. პეტერბურგში დაარსა სპეციალური იაბორატორია, სადაც სწავლობდნენ და ამოწმებდნენ ხალხურ სამკურნალწამლო საშუალებათა ეფექტურობას.

დიდი მეცნიერის კ.ა. ტიმირიაზევის შემდეგ გამოთქმაში: "დაგროვილი ცოდნის დაუფლების გარეშე შეუძლებელია მეცნიერების განვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარება", ასევე ხაგასმულია წარსული გამოცდილებაზე შესწავლის აუცილებლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ საშუალო მედიცინის დარგის მუშაკები სამკურნალო დასებების მქონე ახალ მცენარეთა მიკვლევა-გამოხატვის მიზნით ბოლო ხანებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ხალხური მედიცინის გამოცდილებაზე შესწავლას. ამ საქმეს ეხმარება სამკურნალო და არომატული მცენარეთა სრული საკავშირო ინსტიტუტში დაარსებული ხალხურ მედიცინაში გამოყენებულ წამლიერ საშუალებათა შესწავლის ლაბორატორია. ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ ლაბორატორიას და მის ანალოგიურ სხვა დაწესებულებებს, ხალხური მედიცინის გამოცდილებაზე პარალელურად, ძველი ქართული ვეტერინარული ხელნაწერი კრებულები დიდ დახმარებას გაუწევს მცენარეული წარმოშობის ახალ სამკურნალო საშუალებათა მიკვლევა-გამოხატვის საქმეში.

ქართულ ვეტერინარულ ხელნაწერებში მოცემულია შინაურ ცხოველთა და ფრინველთა ხალხური მკურნალობისა და მოვლა-მოშენების მდიდარი მასალა. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ თანამედროვე მედიცინაში ახალ სამკურნალო მცენარეთა დიდი უმრავლესობის გამოხატვა-მიკვლევა ხალხური მედიცინის მიერ მინიშნებულ სამკურნალო საშუალებათა შესწავლის შედეგად ხერხდება, გასაგებია ვეტერინარულ ხელნაწერებში წარმოდგენილი მასალის შესწავლა-დამუშავების მიზანშეწონილობა.

ზემოთ მოხსენებულიდან გამომდინარე, მოცემულ შრომაში მიზნად დავისახეთ, საქართველოს წარსული აგრონომიის გადარჩენილი და დღემდე შემორჩენილი ძველი ქართული ვეტერინარული ხელნაწერების შესწავლა და მათ შესახებ არსებული მასალის განზოგადება. ამ ამოცანის განსახორციელებლად უპირველეს ყოვლისა შევეცადეთ არსებული აღწერილობითი მასალები ვეტერინარულ კრებულებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შესახებ, შევაკვსეთ იგი ჩვენ მიერ ახლად გამოვლენილი ხელნაწერთა მონაცემებით და შევაერთეთ მათი ერთი მთლიანი აღწერილობა, რომელიც მოცემული შრომის ცალკე თავებია წარმოდგენილი. ჩავატარეთ მუშაობა ხელნაწერების ავტორობის, ორიგინალობის, მათი იდენტურობისა და სხვათაშის დადგენისათვის. ხელნაწერებში წარმოდგენილი მასალის განხილვა-გაანალიზების საფუძველზე შესაძლებელი გახდა იმის დადგენა, თუ შინაურ ცხოველთა და ფრინველთა რომელი დასახელებები ფიქსირდება ძველად საქართველოში და რა სამკურნალო თვისებები მიეწერებოდა მათ მიმართ.

არსებული შესაძლებლობის ფარგლებში შევაერთეთ ვეტერინარული ხელნაწერების ხმარებული უცნობი სიტყვების ლექსიკონი, რომელიც ამჟამად მოცემული შრომის ცალკე თავში გვაქვს წარმოდგენილი.

ძველი ქართული ვეტერინარული ხელნაწერების შესახებ შეტრიალი-მოპოვებული და გაანალიზებული მასალა წარმოდგენილი გვაქვს შემდეგ თანმიმდევრობით: შესავალში ვიძლევით ხელნაწერების შესახებ მასალის საერთო მიმოხილვას მისი შესწავლის აუცილებლობის დამადასტურებელი დამოწმებებით, შემდეგ - იმ პერიოდის მოკლე ისტორიულ მიმოხილვას, რომელშიც იქმნებოდა ვეტერინარული ხელნაწერები /XVII - XIX სს./. მოგვყავს თავმოყრილი და ერთიან სისტემაში დაყაგებული დღემდისათვის გამოვლენილ ყველა ვეტერინარულ ხელნაწერების ერთი მთლიანი აღწერილობა. ვიძლევით საერთო მასალის ინტერპრეტაციას, ცალკე თავში წარმოდგენილი გვაქვს ლექსიკონი და შიგნის ეკვეთებში დასკვნებს, რის შემდეგ მოყვანილი გვაქვს მოცემული შრომის შესასრულებლად გამოყენებული ლიტერატურის სია მათი ავტორთა ჩვენებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ი.პ. პავლოვი ექიმების შესახებ წერდა: "...მათი საქმიანობა პირველი ადამიანის დანატოვია... უსამართლო იქნებოდა მეცნიერების ისტორიის დასაწყისად მის შესახებ მწერლობის დაწყების პერიოდი მივიჩნიოთ".[1]

იგივე შეიძლება ითქვას ვეტერინარიაც მოღვაწეობის შესახებაც. ვეტერინარიის ისტორიის დასაწყისად მიჩნეული უნდა იქნას არა მის შესახებ მწერლობითი პერიოდის დასაწყისი, არამედ ადამიანის მიერ ცხოველთა მოშინაურების შემდეგ მათი სამეურნეო ექსპლუატაციის დაწყებიდან დაახლოებით პერიოდი. ხოლო ვეტერინარია საქმიანობა პირველი მოშინაურებული ცხოველის დანატოვად მიჩნეული.

თუ დავიმახსოვრებთ ისტორიულ წყაროებს და გავიხსენებთ, რომ სასოფლო-სამეურნეო ცხოველები ადამიანმა მოშინაურა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 8000 წლის წინათ - ძაღლი, შემდეგ 7000 - 4000 წწ. - ცხენი, ღორი, ფხა, ცხვარი და ირემი, ნათელი წარმოსადგენი გახდება საკითხი იმისა, თუ რა მრავალი წარსული და ღრმად გადგმული ფესვები ჰქონია ცხოველთა მკურნალობის, ე.ი. ვეტერინარულ საქმეს.

ყველაზე ადრინდელი ცნობები, რომელთა არსებობა ვეტერინარული საქმიანობის აშკარა დამადასტურებელ საბუთად უნდა იქნენ მიჩნეული, მეცხრამეტე-მეოცრამეტე საუკუნეებით თარიღდება /ძვ. წელთაღრიცხვა/. მაგალითად: ფრანგებმა არქეოლოგიური გათხრების შედეგად 1897 - 99 წწ. სუზში აღმოაჩინეს ისტორიული მნიშვნელო-

---

1/ И.П. П а в л о в, Полное собрание сочинении, 1951 т.II, кн. I, стр. 246.

ბის ძეტი, რომელიც ბაბილონის მეფის - ჰამურაბის მეფობის ხანას მიეკუთვნება /1792-50 წწ. ძ.წ./. ძეტზე არსებული წარწერით დასტურდება, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე XIX-XVIII საუკუნეებში ბაბილონელებს ჰყოფია "ხარის ექიმი" და "ცხვრის ექიმი". ასე მაგალითად, ჰამურაბის კანონმდებლობათა კოდექსის 224 პარაგრაფში აღნიშნულია: "უკეთუ ხარის ან ცხვრის მკურნალი გაუკეთებს მძიმე ჭრილს ხარს ან ცხვარს და მოარჩენს პირუტყვს, ხარის ან ცხვრის პატრონმა მკურნალს ქირის სახით უნდა გადაუხადოს 1/6 სიკლი ვერცხლი"[1], ხოლო 225 პარაგრაფი შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: "უკეთუ იქი /იგულისხმება ხარის ან ცხვრის მკურნალი. კ.ხ./ მძიმე ჭრილს გაუკეთებს ხარს ან ცხვარს და პირუტყვი მოკვდება, მან ხარის ან ცხვრის პატრონს უნდა მისცეს მისი ნაყიდობის ფასის 1/4."[2]

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII - III სს. შავი ზღვისპირეთის ჩრდილო ნაწილის ტომებში ბოსახლეობას ძირითადად ორი ძირითადი სქემით ცხოველებს მოშენებით ტომები წარმოადგენდნენ. ისინი დაკავებული საქმიანობა-ცხოვრებით ტომთა ორ დიდ ჯგუფად - აღმოსავლეთ და დასავლეთ სკვითებად იყოფოდნენ. აღმოსავლეთის სკვითები ჩრდილო ყირიმის, ბაჰრუშეის, აზოვის ზღვისპირეთისა და დონის ვაკეებზე მოსახლეობდნენ. მათ უმთავრეს საქმიანობას მომთაბარე მესაქონლეობა - უმთავრესად მეცხენეობა წარმოადგენდა. დასავლეთ სკვითებს სამხრეთ ბუგისა და დნეპრის ნაწილი ეკავათ და უმთავრესად მიწათმოქმედებას მისდევდნენ.

მომთაბარე სკვითების ყოველი მამაკაცი, დაწყებული მეფიდან

1/ ი. დ ი ა კ ო ნ ო ვ ი, ძველი აღმოსავლეთის სამართალი, გვ. 54, თბილისი, 1960.

2/ ი ქ ვ ე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამთავრებული მინით იყო კარგი ცხენისანი. ცხენი მაინ არსებობის მთავარ წყაროსა და საფუძველს წარმოადგენდა. სკვითები საჭიროების შემთხვევაში საომარი ეირურგიულ და სხვა ხასიათის სამკურნალო დახმარებას უწევდნენ ცხოველებს.

ძველ ბერძენ ხალხთა დაკვირვება-გამოცდილება იმის შესახებ, რომ ჩვენთვის უცნობი სახელით ცნობილ მცენარე სატირიონის /Satirion/ დანახვა ცხოველებში იწვევდა აჯორცობას, სკვითებს გამოუყენებიათ მეცხოველეობის პრაქტიკაში - ისინი ხსენებულ მცენარეს აძლევდნენ ისეთ ფაშან ცხენებს, რომლებიც დაგრილების საჭიროების შემთხვევაში პასიურობას ამჟღავნებდნენ.

გარდა მოხსენებულისა, ძველ ბერძენ მწერალთა ნაწარმოებებში მოიპოვება ცნობები იმის შესახებ, რომ სკვითები, ცხენის რომელიღაც დაავადების შემთხვევაში სამკურნალოდ იყენებდნენ ჩვენთვის უცნობ მცენარე ჰიპპაკას /hippace/.

მოკლედ ცნობა იმის შესახებ, რომ სკვითები ცხოველთა მკურნალობის მიზნით იყენებდნენ მცენარე აბსინთას, მოხსენებული აქვს IV საუკუნის მეორე ნახევარში /ძვ.წ./ მოღვაწე ექიმ პელაგონის. პელაგონი აგრეთვე აღნიშნავს, რომ სკვითები ცხოველებში ქირურგიის შეფერხებისას მათ სამკურნალოდ, ნაკვერცხალზე მამალი ბახვის პრეპუციუმის ბანჯის შეღებილ წარმოქმნილი კვამლის ნაკადის ცხოველებისათვის მუცლის არეში შებოლებას მიმართავდნენ. ამისათვის - მიუთითებდა იგი - "ცხენს ისე უნდა გადაატრიალო ბენარი, რომ იგი მიწამდის სწვდებოდეს, რათა კვამლი არ გამოვიდეს, ამრიგად ცხენს მუცლის ქვეშ უნდა ხურჩლოთ ნაკვერცხალზე გადებული მამალი ბახვის პრეპუციუმის გამონაყოფის კვამლის ნაკადი, იგი მაშინვე მოშარდავს".[1]

1/ Думка А.С., Элементы ветеринарных познаний у скифов, журн. "Ветеринария", № 1, стр. 88, 1956.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება სამკურნალო ბისებების მქონე მცენარე აბზინდას, მის შესახებ პეროგონი ბაბის "ვეტერინარულ ხელოვნებაში" წერდა, რომ ძველი ექიმები[1] ნაწიბურების მოსაშორებლად იყენებდნენ ისეთ პომადურ ან სკვიდურ მალამებს, როგორიცაა აბზინდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ცხოველი ბახვი და სამკურნალო მცენარე აბზინდა /აბსინთი/ ძველ ქართულ ვეტერინარულ ხელნაწერებში ხშირადაა ნახსენები როგორც სამკურნალო საშუალება ცხოველთა ამა თუ იმ დაავადების შემთხვევაში.

ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ მცენარე აბზინდას /აბსინთი/ ქართულ სახელწოდებაზე. როგორც ვხედავთ მას ფუძე - აბსინთ - საერთო აქვს ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII - III სს. შავი ზღვისპირეთის ჩრდილო ნაწილში მოსახლე სკვითთა ტომების მიერ იმ პერიოდში ცხოველთა სამკურნალოდ გამოყენებული იმავე მცენარის სახელწოდება - აბსინთიი-სთან /Абсинтий, полынь /. ეს გარემოება იმაზე მეტყველებენებს, რომ იმ დროს მოსახლე ქართველი და სკვით ხალხთა ტომებს შორის სამკურნალო საქმისა და კერძოდ ცხოველების მკურნალობის ხელოვნებაში აბრთა ურთიერთ გაცვლა-გამოცვლას უნდა ჰქონოდა ადგილი. რაც თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ ქართული ხალხურ ვეტერინარიას მეტად შორეული და ღრმად გადგმული ფესვები ჰქონია.

ცხოველთა ორგანიზმის აღნაგობისა და ფუნქციის შესწავლა ადამიანებს ჯერ კიდევ უძველეს დროიდან უხდებოდათ. სამკურნალო დარგი, ისევე როგორც ჩვენება, პირველყოფილი საზოგადოებრივი წყობის წარმოქმნასთან ერთად ჩაისახა. დასაწყისში სამკურნალო

1/ ხალხურ მედიცინაში - ექიმი და ვეტერინარი ექიმი ხშირად გაიგივებულია.

საქმე რეიტინის მსახურთა მოვალეობად იყოლებოდა. იმდროინდელი წარმოდგენა ცხოველთა ანატომია-ფიზიოლოგიაზე ძალზე მწირს იძლა სინამდვილესთან. შეღარებით გუსტი ცნობების გამომუშავება მეცნიერების ამ დარგში იწყება მონაწილეობელური საზოგადოებრივი წყობის განმტკიცების ეტაპზე, როცა წარმოების იარაღებისა და სანარმოო ურთიერთობის განვითარებასთან ერთად აუცილებელი გახდა უფყარი ცნობების მოპოვება ადამიანისა და ცხოველთა სამყაროს შესახებ. საზოგადოებრივი წყობის განვითარების მოცემულ ეტაპზე სამკურნალო საქმიანობა საბერძნეთში რეიტინის მსახურებიდან საერთ ფილოსოფოსების ხელში გადადის. სამკურნალო დარგში დაგროვილი მათი მიღწევები საბერძნეთიდან ჯერ ეგვიპტესა და სირიაში ვრცელდება, შემდგომ, მეორე-მეხუთე საუკუნეებში - სომხეთსა და საქართველოში, ხოლო უფრო გვიან კი ევროპის ქვეყნებში.

საყოველთაოდ ცნობილია ძველი ბერძნული კლასიკური მედიცინის წარმომადგენლის - ჰიპოკრატეს სახელი /460-377 წწ./, რომლის მედიცინის მამამთავრისა, რომლის პათოლოგიის ჰუმორალური თეორია უცვლელად მიიღეს და გაანვითარეს არისტოტელემ /384-322 წწ./, ბერძენმა ექიმმა გალენმა /131-201 წწ./, ხოლო გალენის შემდეგ ეს თეორია დოგმატურად მიიღო ევროპის საშუალო საუკუნეების მედიცინამაც. მიუხედავად მისი მცდარობისა ჰიპოკრატეს პათოლოგიის ჰუმორალურმა თეორიამ ისტორიულად დადებითი როლი შეასრულა და თითქმის XVI საუკუნემდე იშვათნა.

ბერძენი ხალხის ნაღვლი - კლავდიუს გალენი პირველი ექიმი-ექსპერიმენტატორი იყო, რომელმაც უშუალოდ ცხოველებზე ცდების ჩატარების შედეგად გააკრიტიკა ცნობები ანატომია-ფიზიოლოგიაში. მან ცხოველების გაკვეთის შედეგად, სხვადასხვა

ორგანოა ფუნქციებს გარდა, შეისწავლა თავისა და ბურგის ტვინის ნერვების აღნაგობა და ფუნქციები. მიუხედავად მისი იდეალისტური სოფლხედველობისა, გაღენმა იმ დროისათვის შვერი სასარგებლო გამოკვლევები ჩაატარა მედიცინის, კერძო, ანატომია-ფიზიოლოგიის დარგთა შესწავლა-განვითარებისათვის.

მიუხედავად და ხალხურ ეპოსში ასახულია მასალები იმის შესახებ, რომ მკურნალის როლი, ისევე როგორც ოჯახისა და გვარის უფროსობა, ქალს ეკუთვნოდა. ასეთი განმქმული მკურნალი ქალები ყოფილან: ეფვიპტეში - "ყოვლისმძლე" პოლიადნა, საბერძნეთში - "ოქროსთმიანი" აგამედა, ჩეხეთში - "ბრძენი" კაცა, კიევის რუსეთში - მარინა, საქართველოში კი "გრძნეული" მედეა.[1]

საქართველოში მაგრიალქატიან პაგრიალქაგზე გაკეთდა III ათასწლეულში მომხდარა /ძვ.წ./. ეს ის ხანა იყო როცა ადამიანი ქვის იარაღის წარმოებიდან ჯერ სპილენძის ქედებაზე, ხოლო შემდეგ ბრინჯაოს დამზადებაზე გადავიდა. პაგრიალქატის განმკვიცების შემდგომ ეტაპზე ძირითად საწოგადოებრივ ერთეულს გვარებზე დაბადებული ტომი წარმოადგენს. საწოგადოების განვითარების ამ ეტაპზე, როგორც ამას საქართველოში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები მოწმობენ, ძირიადის მეჯოგე-მიწათმოქმედმა ტომებმა სოციალური და კულტურული განვითარება განიცადა.

ფრიდრიხ ენგელსი საწოგადოების განვითარების ამ საფეხურის შესახებ აღნიშნავდა, რომ "მეჯოგე ტომები გამოირჩეოდნენ მარბარობის დაბარჩენ მასას; ეს იყო ერთის პირველი დიდი საწოგადოებრივი დანაწილება"[2]

1/ მ. ს ა ა კ ა შ ვ ი ლ ი, ა. ტ ე რ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს მედიცინის ისტორია, ტ. III, წიგნი 1, გვ. 16, თბილისი, 1956.

2/ ფრ. ე ნ გ ე ლ ს ი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა. წიგნში: კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, სახელგამი, თბილისი, 1950, გვ. 371.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცხოველეობაზე გადასვლამ ახალი ბიძგი მისცა სამკურნალო საქმის განვითარებას პირველყოფილ თემურ საზოგადოებაში. მწყემსი საჭიროების შემთხვევაში ყველა სამკურნალო დახმარებას მიწაურ ცხოველებს ეღირსა და, საერთოდ, მშობიაროებისას, ტრავმული დაზიანებებისა და სხვა შემთხვევებში, რამაც მწყემსებში სამკურნალო გარკვეულად განსაკუთრებით ქირურგიული საქმე განავითარა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქართულ სახურ მედიცინაში, ენებრიოტომიის სახელით ცნობილ მანიპულაციის ჩასატარებლად, ცხოველთა ემბრიოტომიაში დახელოვნებულ მცხვარეს იწვევდნენ.[1]

მწყემსების მიერვე იქნა ჩატარებული პირველი პრაქტიკული ცდები და დაკვირვებანი ცხოველებზე. აკვირდებოდნენ რა მათ - ამჩნევდნენ, რომ ზოგიერთი მარხის ჭამის შედეგად ისინი აღიტკნებოდნენ ან პირიქით დუნდებოდნენ, ემარილებოდათ კუჭ-ნაწლავის აშლილობა - ფაღარათობა, ყაბზობა, პირღებინება, ტახიკარდია ან ბრადიკარდია და სხვ. ამის შედეგად მათ გამოჰქონდათ სათანადო დასკვნები ამა თუ იმ მცენარის შემცველ ნივთიერებათა ზემოქმედებისა და ცხოველის ორგანიზმზე მათი ფარმაკოლოგიური მოქმედების შესახებ. ხოლო შემდგომ, საჭიროების შემთხვევაში მცენარეს უკვე სამკურნალო მიზნით იყენებენ. მაგალითად: ზოგიერთი მონაცემების მიხედვით აბისინიელ მწყემსებს შეუმჩნევიათ, რომ ცხვრის ხის ფოთლების ჭამის შედეგად ხშირ ღამ-ღამობით ხტოდნენ, აღიტკნებოდნენ და ვერ იძინებდნენ. ამ დაკვირვებებიდან გამოტანილი სათანადო დასკვნის შედეგად ადამიანს საშუალება მიეცა ცხვრის ხი-

---

1/ მ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ეტიუდები ქართული მედიცინის ისტორიიდან, გვ. 88, ტბილისი, 1963.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან გამოვიდა ისეთი აღმგზნები ნივთიერება, როგორიცაა კოფეინი. ასევე ცნობილია, რომ ცხენში მცენარე ღიმინურას ჭამის შემდეგ აღიგზნებიან, ამიტომ მეცხოველეები ცხენის საკვებს ღიმინურას ნაცვლებს უმატებენ და ისე აძლევენ მათ საჭმელად.

შეკვეთოვსკის მონაცემებით, დიოსკორიდე შხამიან მცენარეებს "Kolchicon"-ს უწოდებდა. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ მას სიტყვა "Kolchicon"-ი შესაძლებელია - კოლხეთთან დაკავშირებით ქონდეს წარმოშობილი. თუ გამოთქმული ვარაუდი სინამდვილეს შეესაბამება, მაშინ ბავშვობაში ცხადია, - კოლხეთში მცენარეს როგორც სამკურნალო საშუალებას უძველესი დროიდან იყენებდნენ.

არქონავიკის ცნობების თანახმად, მცენარის სამკურნალო მიზნით გამოყენება იმდენად ფართოდ ყოფილა გავრცელებული კოლხეთში, რომ ჰეკატეს, რომელიც ცნობილი იყო მცენარის სამკურნალო თვისებების ცოდნით და გამოყენებით, სპეციალურად სამკურნალო მცენარეების შაფი ჰქონდა გაშენებული, რომელიც მსოფლიოში უძველესი უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, ხაიხა მიერ საუკუნეების მანძილზე შეძენილმა გამოცდილებამ ადამიანისა და შინაურ ცხოველთა სამკურნალო მცენარეული საფარველის გამოყენების საქმეში, ემპირულად შეძენილ სხვა გამოცდილებათა კომპლექსში, წარმოშვა ხაიხური მედიცინა და ვეტერინარია. უდავოა, ისეთი უძველესი და მდიდარი კულტურის მქონე ერს, როგორიც ქართველი ხალხია, კულტურისა და მეცნიერების სხვა დარგების განვითარებასთან ერთად, თავისი წვლილი უნდა ჰქონდეს შეტანილი ხალხური მედიცინისა და ვეტერინარიის შექმნა-ჩამოყალიბების და განვითარების საქმეში. ამის სასარგებლოდ, გარდა ქართველი ერის ძველი და მდიდარი კულტურის ის-

ტორიისა, ლაპარაკობს სახელმწიფო მიგნისაცავებსა და მუზეუმებში დაცული მრავალი, როგორც სამეცნიერო, ისე ესთეტიკური ხასიათის ძველი ქართული ხელნაწერების არსებობა.

ქართველ ხალხს, რომ უძველეს დროიდან უნდა ჰქონოდა წარმოდგენა ანატომია-ფიზიოლოგიის შესახებ ამაზე ნათელ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ IV საუკუნეში კოლხეთში ფაზისის /ფოთის/ მახლობლად არსებობდა უმაღლესი რიგორიკული სასწავლებელი[1], სადაც ფილოსოფიასა და ენებთან ერთად, - ანატომია ფიზიოლოგიაც იკითხებოდა.

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ქართველებში უცხო ქვეყნებშიაც ხსნიან და აარსებენ კულტურულ-საგანმანათლებლო კერებს - მონასტრებს. უმთავრესად სწორედ მათი საშუალებით ხდებოდა ქართული მეცნიერებისა და კულტურის მონაპოვარის მსოფლიო ასპარეზზე გატანა და პირიქით, - სხვა ქვეყნებიდან ჩვენში შემოტანა. მაგალითად, დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა ქართველთა მიერ პალესტინაში დაარსებული მონასტერი, რომელსაც გამოჩენილი ქართველი მოღვაწე პეტრე იბერიელი ხელმძღვანელობდა, სირიაში - შავ მთაზე არსებული მონასტერი ეფრემ მცირის ხელმძღვანელობით, ბულგარეთში - პეტრიწონის მონასტერი, რომელსაც მრავალმხრივსა და ნაყოფიერ ხელმძღვანელობას უწევდა განთქმული ქართველი ფილოსოფოსი და მეცნიერი იოანე პეტრიწი.

ამჟამად ბერძენი, არაბი და რომაელი ფილოსოფოსების ცოდნა და მიღწევები მეცნიერების დარგში იმთავითვე ფართოდ გავრცელდა საქართველოში იმდროინდელ კულტურულ-საგანმანათლებლო კერების მეშვეობით, რომელთა მთავარ მატარებლად გვმოხსენებული მონასტრები იყვნენ. როგორც აღვნიშნეთ, გადაწერა-თარგმნით

1/ ს. ყაუხჩიშვილი, რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, გვ. 115, თბილისი, 1964.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუშაოს ასრულებდნენ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ ქართველების მიერ დაარსებულ მონასტრებში მოღვაწე პირველებში. გარდა ამისა, ვინაიდან საქართველო პოლიტიკურ-ეკონომიურ ურთიერთობაში იყო ბიზანტიასთან, რაც დაახლოებით მეფეების პერიოდში, საქართველოდან თურქების განდევნის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა, საქართველოს ერთიან სახელმწიფოდან ბიზანტიაში სასწავლებლად იგზავნებოდა მოწინავე ქართველი ახალგაზრდობა. მათ მთავარ ამოცანას - საფანარი მომზადების შემდეგ გადაწერა-თარგმნითი სამუშაოს შესრულება წარმოადგენდა.

ზემოთ მოხსენებული, ასევე ძველი ქართული სამეცნიერო და ვეტერინარული წერილობითი ძეგლების /კარაბადინების/ მეტად მდიდრული შინაარსი, მათში მოცემული სამკურნალწამლო საშუალებათა შედარებით სრულყოფილი ტერმინები, აგრეთვე ის ფაქტი, რომ საქართველოში სამკურნალო საქმიანობისა და წამალმომზადების შესახებ ცნობები ანტიკური ხანის ფიქრის ყველა უცხოელ მწერალს, ისტორიკოსსა და გეოგრაფს აქვს მოწოდებული, იმაზე მეტყველებენ, რომ ძველ საქართველოში წამალმცოდნეობა, მათი მომზადების ტექნიკა და საერთოდ სამკურნალო საქმე მაღალ დონეზე მდგარა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ქართველი ხალხის ისტორიული მონაპოვრის მათ შორის ძველი წერილობითი ძეგლების დაცვა-შენახვასა და შესწავლაზე მხოლოდ ცალკეული ენთუზიასტი მეცნიერები იჩენდნენ მზრუნველობას. საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლა, ძველი ქართული ხელნაწერების გამოვლენა-შეკრება და დაცვა, წარსულის ნაგებისათვის წარმოებული არქეოლოგიური ძიებანი, მატერიალურ-კულტურული ძეგლების აღდგენა და მათზე მზრუნველობა მხოლოდ გასაბჭოების შემდეგ იქნა აღიარებული სახელმწიფოებრივ საქმედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით დიდი მუშაობაა ჩატარებული ძველი ქართული სამეცნიერო წერილობითი ძეგლების შესწავლისათვის. ამ მხრივ, როგორც პროფ. მ. საყაშვილი და ა. გელაშვილი მიუთითებენ, "დიდი ენთუზიაზმით მუშაობდა ექიმი ვ. კოტეტიშვილი, რომელმაც ქართულ ენაზე არსებული სამეცნიერო ხასიათის სამი მეტად მნიშვნელოვანი ხელნაწერი: "უსწორო კარაბადინი", "წიგნი საქიმო" და "იადიგარ დაული" შეისწავლა და გამოსცა".1/

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ქართული მეცნიერების ისტორიის განყოფილებამ და თბილისის სახელმწიფო სამეცნიერო ინსტიტუტის მეცნიერების ისტორიის კათედრამ მოამზადა და გამოსცა ჩაბა ფანასკერტელის "სამკურნალო წიგნი" /1950 წ./.

ქართული მეცნიერების ისტორიის, კერძოდ ფიზიოლოგიის განვითარების ისტორიის საკითხები დაამუშავა აკად. ივანე ბერიტაშვილმა.2/

ქართული მეცნიერების ისტორიის კაბინეტმა, რომელიც ჩამოყალიბებულია პროფ. ვისარიონის სახ. მაღარისა და სამეცნიერო პარაზიტოლოგიის ინსტიტუტთან, დაამუშავა და 1959 წ. გამოსცა ჩაბა ფანასკერტელ-ციციშვილის "სამკურნალო წიგნი - კარაბადინი".3/ წიგნის ტექსტი გამოსაცემად დაამუშავა, გამოკვლევები და ლექსიკონი დაურთო მ. შენგელიამ.

1/ მ. საყაშვილი, ა. გელაშვილი, საქართველოს მეცნიერების ისტორია, ტ.III, წიგნი I, გვ. 11, საქმეცნიერო, თბილისი, 1956.

2/ აღნიშნული საკითხი სხვადასხვა: "ფიზიოლოგიის განვითარების მოკლე ისტორია", ცალკე დაყვან წარმოდგენილია წიგნში; "კუნთოვანისა და ნერვული სისტემის ზოგადი ფიზიოლოგია", თბილისი, 1955.

3/ ჩაბა ფანასკერტელ-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი კარაბადინი, თბილისი, 1959.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ზემოხსენებულისა, ნ. ბუბუნაიას დაწერილი და გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფია: "საქართველოს სამკურნალო მცენარეები" /თბილისი, 1960/. მასში ავტორს ძირითადად განხილული აქვს ის მცენარეები, რომლებიც გამოიყენებოდა სამკურნალოდ ძველად საქართველოში. განხილულ მცენარეთა უმეტესი ნაწილი, როგორც სამკურნალოწამლო საშუალება მოხსენებულია ძველ ქართულ სამედიცინო ხასიათის წერილობით ძეგლებში: "უსწორო კარაბადინში", "წიგნი საქიმოში" და "იადიგარ დაუდში".

რაც შეეხება ქართულ ენაზე არსებულ ვეტერინარული წერილობითი ძეგლების - შინაურ ცხოველთა და ფრინველთა კარაბადინების შესწავლას, ისინი ბოლო დრომდის სპეციალური კვლევის ობიექტი არ გამხდარა. დუმცა უნდა ითქვას, რომ არა ერთსა და ორს ძველი დაობის ვეტერინარ სპეციალისტს გამოუთქვამს აზრი და სურვილი ამ კვლევა-ძიებითი საქმის განხორციელების შესახებ.

1930 წელს ჟურნალ "ვეტერინარიის მოამბეში" /№ 1-2, გამოცემა, გვ. 1-32/ ლეონ ლეონიძის რედაქციით გამოქვეყნდა ღვთისაგან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში /H - კოლექცია/ 2156 ნომრით დაცული "ცხენის კარაბადინის" ნაწილი /პირველი 25 პარაგრაფი/, რის შემდეგ ხსენებული ჟურნალი აღარ გამოსულა და ქართველ ვეტერინართა ესოდენ კვლევა-ძიებითი, ვეტერინარიის შორეული წარსულის შუქმფენი წამოწყება კვლავ მივიწყებას ეძლევა.

ძველი დაობის ვეტერინართა წარმომადგენელი - კ. ფარეიშვილი - არსებული ქართული ვეტერინარული ხელნაწერ კარაბადინების შესახებ წერდა: "... ის მდიდარი, ჯერ კიდევ შეუსწავლელი მასალა, ყოველგვარი კარაბადინებისა და სამკურნალო წიგნების სახით, ამჟამად ინახება საქართველოს ისტორიულ მუზეუმში / ამჟამად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში კ.ჯ./ დიდიდღე ერის თავის მკვლევარებს, საჭიროა საქართველოს საველერინარიო საქმისა და საველერინარიო განათლებისათვის თავდადებული მუშაკებს..."1/

მიუხედავად ჩამოთქმულისა ბოლო პერიოდამდის ვეტერინარული კარაბადინების შესასწავლად რაიმე ღირსშესანიშნავი ნაბიჯი არ გადადგმულა.

რამდენიმე წელია რაც საქართველოში ვეტერინარიის ისტორიის საკითხების შესწავლა-დამუშავებას პირველმა ხელი მოკიდა კ.ს. კაპანაძემ. დაამუშავა საქართველოში ვეტერინარიის წარსულის მუქმფენი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც შემდგომ მანვე გააშუქა და გამოაქვეყნა მონოგრაფიაში: "К истории ветеринарии в Грузии.2/ მისივე ხელმძღვანელობით ჩატარებული მუშაობა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ძველი ქართული ვეტერინარული ხელნაწერების - კარაბადინების გამოკვლევა-შესწავლაზე. აქ ჩატარებული მუშაობის შედეგად გამოკვლეული და შემდგომ დამუშავებულ იქნა ვეტერინარულ კარაბადინთა საკმაოდ ბევრი ექვემპლარი, რომლთა წინასწარმა შესწავლამ გარკვეული წარმოდგენა მოგვცა და ნათელი მოჰფინა საკითხს იმის შესახებ თუ რაოდენ დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველ ხალხს ხალხური და -

---

1/ კ. ფ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი, სამხედრო და სამოქალაქო ვეტერინარია საქართველოში, თბილისი, 1935.

2/ К а п а н а д з е К., К истории ветеринарии в Грузии, Сабчота сакартвело, Тбилиси, 1960.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერული ვეტერინარიის შექმნა-ჩამოყალიბება, პოპულარიზაციის საქმეში.

ძველი ქართული ვეტერინარული ხასიათის ხელნაწერების უმეტესობა დაცულია საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნთსაცავებსა და მუზეუმებში. გარდა ამისა, მაგი ნაწილი დაცულია აგრეთვე ქ. ლენინგრადში, სახელდობრ: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტისა და საერკინო-შჩერბინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში.

საკითხი იმის შესახებ თუ საიდან მოხვდა ქართული ერის კულტურის ისტორიული მნიშვნელობის წერილობითი ძეგლები, მათ შორის ვეტერინარული კარაბადინები საქართველოს ფარგლებს გარეთ, კერძოდ კი რუსეთის ყოფილ დედაქალაქში, აღვილი წარმოსადგენი გახდება, თუ ვიცით გადავავლებთ საქართველოს იმდროინდელ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებას.

ცნობილია, რომ ხელნაწერი კარაბადინები ძველ დროში წარმოადგენდა ძვირფას განძეულს /წიგნს/, ამიტომ, როგორც ყოველი ძვირფასეულობის მფლობელები, კარაბადინების მფლობელებიც სამკაულების შეძლებული ფენების წარმომადგენლები იყვნენ. ხოლო ქვეყნის მართვა-გამგეობაზე ბრუნვაც მათ ევალათ. ამ კანასკნელი კი, საქართველოში შექმნილი იმპერიონდელი სავალალო პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობის გამო, - რაც უმთავრესად გამოწვეული იყო თურქ-სპარსთა მიერ საქართველოს არა ერთჯერადი და ხანგრძლივი ავხრების შედეგად, - სხვადასხვა პოლიტიკურ-დიპლომატიური მოსაზრებებით და რუსეთთან ურთიერთობის დამყარების ძიებაში მრავალგზის უხელმოდათ რუსეთში მოგზაურობა. მოგზაურობისას, სხვა ძვირფასეულობასთან ერთად მათ თან მიჰქონდათ

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერი კარაბადინები. მაგი ნაწილი კი როგორც ირკვევა საბოლოოდ, ხსენებასხვა მიზეზების გამო, რუსეთში რჩებოდა სამუდამოდ. ზოგიერთი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე კი, რომლებსაც თავისი სიცოცხლის ხანგრძლივი პერიოდის გატარება რუსეთში მოუხდათ, მეცნიერების სხვა დარგებთან ერთად ყურადღებას აქცევს ვეტერინარული საქმის განვითარებას და იქ, შორეულ რუსეთში, ქართული წერს და აღგენს ან სხვა ენებიდან გამოკრებით თარგმნის ვეტერინარულ შრომებს.

იმ ქართველ პოლიტიკურ თუ საზოგადო მოღვაწეთაგან, რომელთაც განსაკუთრებული ღვაწლი და ამაგი გაიწიეს ვეტერინარულ კარაბადინთა სხვა ენებიდან თარგმნა-გადმოკეთების ან ორიგინალურის შექმნისსაფუძველი, პირველყოვლისა უნდა მოვიხსენიოთ მეცნიერების ბრავალ დარგში მოღვაწე ქართველის მეფე ვახტანგ VI. მას, თავის ეროვნებისთვის, უდიდესი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ჩატარებასთან ერთად, დიდი წვლილი აქვს შეტანილი რუსეთთან დაახლოების საქმეში.

"მამულის სულის განმაძლიერებელია", "დიდ მოღვაწეთ" და "სწავლა-შემატების ცოდნისმოყვარეთ" /როგორც მას მისი თანამედროვენი ახასიათებენ/, ვახტანგ VI-მ მეცნიერებისა და კულტურის სხვა დარგებთან ერთად სათანადო ღვაწლი დადო ქართული ვეტერინარიის ჩამოყალიბება-პოპულარიზაციის საქმეს.

ვახტანგ მეექვსეს, როგორც ამის შესახებ ერთიანადგილ შრომის შემდგენელ სხვადასხვა ვეტერინარულ ხელნაწერთა /S-14, # 239, Q- 281 და ქ. სიონელის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული "ცხენის კარაბადინი"/ ანალიზის შინაარსიდან ირკვევა, სპარსული ენიდან ქართულად უთარგმნია და შეუკრებია ვეტერინარული შრომა "ცხენის კარაბადინი". ამ ფაქტის შესახებ -# 239

ხელნაწერის ანდერძში ვკითხულობთ: "წიგნი ესე იყო პირველ ტფილისი სპარსთა და არაბთა შინა და უფრისად ქვეყანასა ამას შინა კეთილისასა, რომელსა უწოდიან. ქართული გამოცხადება მათანებითა და შეკრიბნა ერთად ღ-ვთივ მიიებულმან ძემან მეფეთმან მეფემან ვახტანგ". /I V/.

ვახტანგ VI /1675-1737/.
/რეპროდუქცია მ. საყაკაშვილისა და ა. ცეცაშვილის წიგნიდან - "საქართველოს მედიცინის ისტორიის ილუსტრაციები"/.

იმავე ხელნაწერის გადამწერის ანდერძში ნათქვამია:

"მრწყინვალებითა და მეცნიერის სიმდიდრით მოყვარსა მოყვარს ერისთავს მათონს როსტომს ვიახლით რა ფერხისა მათისა ტერფით

მინანი[1] საქართველოს გორელი თავისასშვილი, ყოველად უღირსი და უმეცარი მწიგნობარი ავთანდილ, მამის სიმამღილისა და ხილვა-ხილება ჰმსახურებისათვის, ესე მცირე კარაბადინი ქაბუკთ მხედართათვის სახელოვნად და მოყვარეთათვის და ჯოგთა მწყოლეთა ფრიად მარგე ქართველი მეფის ვახტანგისაგან შენაწყობარნი გვიბრძანა აღსანერელად...აღსრულება მაისის 8 ქართველთ ქრონიკონს უნა". /31ზ/.

ამრიგად გვმოხსენებული ხელნაწერის, როგორც საციტირო ფურცელზე ხელნაწერისათვის დართული ანდერძის, ასევე მისი გადაწერის ანდერძის შინაარსიდან ირკვევა, მასში აღწერილი შრომის ტექსტი სპარსულიდან ქართულად უთარგმნია და შეუკრებია ქართლის მეფე ვახტანგ VI-ს.

ასევე არ უნდა დავივიწყოთ იოანე და ბაგრატ ბატონიშვილების /საქართველოს უკანასკნელი მეფის - გიორგი XII-ის შვილები/ მიერ განეული ის ღვაწლი და ამაგი, რაც იმპერიონელი მეცნიერების სხვა დარგებთან ერთად მათ დაიდეს ქართული ვეტერინარიის ჩამოყალიბებაში, განვითარება-პოპულარიზაციის საქმეს.

თავისი ძმა იოანესადმი დაწერილ მიმართვაში ბაგრატ ბატონიშვილი წერს: "უგანათლებულესო მეფის გიორგის ძეო იოანე ხელმწიფეო. უცხოებასა შინა მყოფსა თანა ამს შრომად განვლისაჯს დროჲსა რათა არა მიეცეს უმეცრებსა მწუხარებასა და უმჯობეს არს ესე ვითარისა შრომისა ცვირთად, რომელიცა ნიშნევნეს სიბრძნესა და მისცემიეს კაცთა სარგებელსა და ესე არს მიზეზი შრომისა ჩემისა გარემოებად სამკურნალოჲსა ცხენისა ამისა

1/ ტექსტია - "მინანი". კ.ჯ.

რუსული ქართულისა ენასა ზედა, რომელიცა არს ესეცა ნაწილი სიბრძნისა რომელიცა საჭირო განვსაჯე, გამოვჰკრიბე და ერთად შევაწყე, რომელიცა არს ესეცა ნაწილი სიბრძნისა და სარგებელი კაცთა და ეგრეთვე აღრიდგანვე უწყი სურვილი უგანათლებულესობის თქვენისა სიბრძნის მოყვარეობისაები და გამოცდილება სამკურნალოსა კეთილშენებასა შინა. ამისთვის უმეტესად ვიგულისხმიგინე შეძლებად თქვენდამი, რათა მიიღოთ უცილესისაგან ძმისა თქვენისა და უკუთუ ნაკლულევანება რაჲმე ჰპოოთ სრულჰყოთ რომლისათვისაცა ვეგები თქვენის უგანათლებულესობის უზრაბლესსა პატივის ცემასა შინა. მეფის ძე ბაგრატი 1807 დეკემბრისა 14 მოსკოვს"[1].

მიუხედავად იმისა, რომ ბაგრატ ბატონიშვილი მოსკოვ-პეტერბურგში ყოფნის პერიოდში მატერიალურად საკმაოდ უზრუნველყოფილი იყო, როგორც მოწაფილი მიმართვის შინაარსიდან მჟღავნდება, ხშირად ქალაქში მისვლის მაინც მოსაწყენსა და სევდის მომგვრელს წარმოადგენდა. მისი ერთად-ერთი იცნობა მამულისადმი ღაწლის გაღება და სიყვარული გახლდა.

ცნობილია, რომ ბაგრატს, ისევე როგორც მის წინამორბედ რუსეთიან კავშირის დამყარების იდეაში ან სხვა პატრიოტული მისიით - ნებსით თუ უნებლიეთ რუსეთში გაიახლებული სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებს, საშინაოსადმი უსაზღვრო სიყვარული ასურვებდათ, რისაც იგი ასეთ სიტყვებს ამბობდა: "განუზომელმან სიყვარულითა ძეთა მამულისა ჩემისათა, და-

---

1/ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი ბ ა გ რ ა ტ, სამკურნალო ცხენთა და პირუტყუთა, ტ. 02, სანკტ-პეტერბურგი, 1818.

ჰსდევ ღვანლი და ცარიელიღე კარაბაღინი ესე ცხენია..."1/

ბაგრატ ბაგრატიონი /1776-1841/
/რეპროდუქცია პ. იოსელიანის წიგნიდან - "ცხოვრება გიორგი მეცამეტისა"/.

ბაგრატ ბაგრატიონის ოჯის ძმას - იოანეს ალიარებს რო-გორც "სიბრძნის მოყვარეობისადმი" მიერეკილს და გამოცდილს "სამკურნალო ხელოვნებასა შინა", ვეტერინარიას კი - ისეთ დარგად, "რომელიცა არს ნაწილი სიბრძნისა".

ბაგრატ ბაგრატიონს დაუწერია ორი ვეტერინარული ნაშრომი. ერთი მათგანია ვეტერინარული რეცეპტურის სახელმძღვანელო, რო-

---

1/ ხელნაწერი Q-II 311:2, 106 ზ.

შეიტ 1807 წ. 14 დეკემბერს დაუსრულებია ქ. მისკოვს /ხელნაწერები: Q-№311:2 და S-№ 268/, ხოლო მეორე "სამკურნალო ცხენთა და პირუტყუთა" /ხელნაწერები: M-№ 37:2, № 228 და Q-№ 311:1. ამ წრომის პირველი ვარიანტი - M-№ 37:2 1816 წ. 14 იანვრითაა დათარიღებული/.

უნდა აღინიშნოს, რომ ბაგრატ ბატონიშვილმა 1818 წლის 18 ივლისს, ქ. პეტერბურგში, საკუთარი ტანური ხარჯებით, სტამბური წესით, ქართულ ენაზე გამოსცა პირველი ვეტერინარული წიგნი - "სამკურნალო ცხენთა და პირუტყუთა".

იოანე ბაგრატიონი /1772-1830/.
/რეპროდუქცია მ.საყაკაშვილისა და ა.ცერაშვილის წიგნიდან "საქართველოს მედიცინის ისტორიის ილუსტრაციები"/.

იოანე ბატონიშვილის ვეტერინარული მეცნიერებით დაინტერესების შესახებ მეფეველებენ შემდეგი ფაქტები:

რომორც ამის შესახებ ჩვენთვის ცნობილია, თვით ბატონიშვილი მას აღიარებს რომორც "სიბრძნის მოყვარეობისადმი მიდრეკილის" და გამოცდილ "სამკურნალოსა ჯეროვნებასა შინა". გარდა ამისა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის Q კოლექციაში 198 ნომრით დაცულია ქართული ვეტერინარული ხელნაწერი "ძაღლის კარაბაღინის" ფრაგმენტი, რომლის ტექსტის ავტორად - გამომგებინარე ხელნაწერის ანდერძის შინაარსიდან - იოანე ბატონიშვილი უნდა იქნას მიჩნეული. "ხოლო წიგნსა ამას, რომელსა ეწოდების კარაბაღინი, რომელიც იქმნა საქართველოს მეფის ძის ძის იოანესაგან..." 1/

რომორც ერთი და იგივე ტექსტის შემცველ N 200 და H-N 2156 ხელნაწერ "ცხენის კარაბაღინის" მთარგმნელ-შემდგენელის - იოანე ოსესძის მიერ ხელნაწერთათვის დართულ ანდერძის შინაარსიდან ირკვევა, ხსენებულ ხელნაწერთა რედაქცია იოანე ბატონიშვილს ეკუთვნის. "ესე წიგნი ესე მე იოანე ოსესძემან აღვჰწერე ჯეროვნა ჩემითა, ბრძანებითა უკანასკნელებულისა მეფის ძის ძისა პრინცისა იოანესითა /იგულისხმება მეფე ერეკლე მეორის ძის - გიორგის - ძე იოანე. კ.კ./ და შევაწყვე ძველი ვეტერინარი კარაბაღინი და ახალ ჩვენ მიერ დართმანებული თჳს თჳსსა აღგილსა..." 2/

ასევე მოხსენებულ /N 200 და H-N 2156/ ხელნაწერებისა და მათში აღწერილი ტექსტის შემცველი ნუსხების /S - NN 106, 3467; A-N 652; Q-N 1135 და M-N 37: 1/ ანდერძში ვკითხულობთ: "... და რაოდენნიმე ჯანი და მუჯრი მისის უკანასკნე-

---

1/ ხელნაწერი Q-N 198, 4ბ.
2/ -"- H-N 2156, 1ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულესიშის პრინცის იოანე შატონის შვილისა მ-რ არ/ია/ნ პეტრიე რ-ი არს ძე ბენორე ჯსენებულისა ბრძანებელისა /იგულისხმება გიორგი XII. კ.ა./ რ-ლისაცა მ-ა სახელი მისი იოანე არს დაწერილ კილურსა მ-ა..."[1], რაც აგრეთვე იმაზე მიუთითებს, რომ შრომის შესასრულებლად ავტორს გამოყენებული აქვს იოანე შატონიშვილის მიერ მოწოდებული პირუტყვის დაკავალებათა მკურნალობის წესები.

ყველა ზემოთ მოყვანილი მაკალიტები უტყუარ საბუთს წარმოადგენს და ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ქართველი ხალხის მოწინავე შვილებს ეახლანც VI-სა და იოანე და შატრად შატონიშვილებს, სხვა პოლიტიკურ თუ საშინაო მოღვაწეებთან ერთად, საქართველოს იმპერიონელი პოლიტიკური უამინდობისა და მრავალ სხვადასხვაგვარ დაბრკოლებათა მიუხედავად, მეცნიერებისა და კულტურის სხვა დარგებთან ერთად დიდი ამაგი და ღვაწლი მიუძღვით ქართული ვეტერინარიის შექმნა-ჩამოყალიბებისა და პოპულარიზაციის საქმეში, რაც გამოიხატება როგორც ორიგინალურ ვეტერინარულ შრომათა შექმნის, ისევე სხვა ენებზე არსებულ ვეტერინარული ქმნილებათა ქართულად თარგმნა-შეკრებაში.

ძველ ქართულ ვეტერინარულ ხელნაწერ კრებულებში აღწერილია შინაურ ცხოველთა და ფრინველთა როგორც მოვლა-მოშენების, ისე მათი დაავადებების შესახებ. დაავადებათა სამკურნალო მოწოდებულია ხალხურ ვეტერინარიაში გამოყენებული საშუალებანი. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ბევრ სამკურნალო საშუალებას ანერენ გადამეტებულ ეფექტურობას და და სასწაულმოქმედ შეფასებას, სინამდვილეში კი არა თუ არ

1/ ხელნაწერი Q-№ 1135, 1v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამაროლებენ მისდამი მინერილ მოქმედებას, არამედ მოგვარ პირდაპირ მიაწსაც კი აყენებენ ორგანიზმს. ფქმული, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს ფიტოს ცხოველთა მკურნალობის მოქიერთი მეთოდი და სამკურნალწამლო საშუალება, რომლებიც ძველად საქართველოში გამოიყენებოდა, არ შეიძლება ეფექტური გამოდგეს და გამოყენებული იქნეს დღესაც. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხალხურ ვეტერინარიაში დაგროვილია ცხოველთა მკურნალობის საქმეში ემპირული დაკვირვებანი და გამოცდილებანი, - მაგი ნაწილი, ყოველმხრივი და საფუძვლიანი გამოცდა-შესწავლის შედეგად, რაც თანამედროვე მეცნიერული მედიცინისა და ვეტერინარიის ამოცანას წარმოადგენს, შეიძლება საკმაო წარმატებით გამოიყენოთ თანამედროვე ვეტერინარიაში.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა აღინიშნოს, რომ მედიცინის დარგში მოღვაწე სპეციალისტები, ახალი სამკურნალო მცენარეების ძიებას ძირითადად ორი გზით აწარმოებენ. პირველი - ეს არის ხალხური მედიცინის გამოცდილების შესწავლა, მეორე - იმპორტული სამკურნალო მცენარეულის შემცველთა გამონახვა. ამასთან, როგორც პ.გ. გელბახიანი აღნიშნავს პირველი გზა უფრო მეტ და ეფექტურ სამკურნალწამლო თვისებების მქონე მცენარეთა გამონახვის შესაძლებლობას იძლევა. "ფიტოქიმის ყველა თანამედროვე მცენარეული წარმოშობის სამკურნალო საშუალებანი ხალხური მედიცინის პრაქტიკიდანაა გამონახული".1/ ქვემოთ მოვიტანთ ერთ კონკრეტულ მაგალითს, რომელიც იმაზე მეტყველებს, რომ ხალხური სამკურნალო საშუალებები საოანარი ეფექტურობის შემცველობისა და შესწავლის ღირსია.

1/ П.Г. Гелбахиани, Лекарственные богатства Грузии, Тбилиси, 1961, стр. 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხურ მედიცინაში, მამრობითი გვიმრის ფესვებიდან ამზადებენ ნაყენს, რომელსაც ლენტისებური ჭიების სანინააღმდეგოდ იყენებდნენ. მამრობითი გვიმრის ამ სამკურნალო თვისებების შესახებ იცოდნენ საბერძნეთში IV საუკუნეში ჩვენს ერამდე /თეოფრასტი/, ძველ რომში გალენი ვირგინიუსი და პლინიუსი მასვე იყენებდნენ ლენტისებური ჭიების სანინააღმდეგოდ. ამავე მიზნით იყენებდა მას ავიცენა /XI ს./. შემდგომ ეს საშუალება მივიწყებული იქნა და მხოლოდ ახალი ჰელმინთოციდური საშუალებების ძიებამ, რომელიც დააკმაყოფილებდა თანამედროვე კლინიკური მედიცინის მოთხოვნებს, პროფ. პ.ტ. ტელბახიანი მიიყვანა ახალი მშრალი ჰელმინთოციდური პრეპარატის შექმნამდის, რომელიც მანვე დაამზადა ალტიტრიტი მამრობითი გვიმრის ფესვებისაგან. ხალხური მედიცინის გამოცდილების შესწავლა-შემოწმების შედეგად - პროფ. პ.ტ. ტელბახიანის მიერ შექმნილმა ახალმა მშრალმა ჰელმინთოციდურ პრეპარატმა საყოველთაო აღიარება პოვა და საბჭოთა კავშირის ფარმაკოლოგიური კომიტეტის სამეცნიერო საბჭოს წინადადებით ნებადართული იქნა ფიტიქსანად.

გარდა გემოხსენებულისა, ასევე ხალხური მედიცინის გამოცდილების შესწავლის შედეგად, მიკვლეული იქნა საქართველოში მზარდი ეთიოპიის საღების /Salvia/ ის უნიკალური თვისება, რომ მას ახასიათებს უხვი ოფლიდენის შეჩერება.

კიდევ მრავალი მაგალითების დასახელება შეიძლებოდა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ჩვენთ მოგანილიც საკმაოდ დამაჯერებლად მეცნიერებს იმაზე, რომ ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ხალხური ვეტერინარიის /ძველი ქართული ვეტერინარული ხელნაწერების - კარაბადინების/შესწავლის საქმეს.

სანამ უშუალოდ ვეტერინარულ ხელნაწერ კარაბადინთა გამოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენაზე ჩატარებული სამუშაოთა ანგარიშებას შეუყოფებოდეთ, შეეხებიო საკითხს, თუ საიდანაა წარმოშობილი სიტყვა "კარაბაირნი" და რას უნდა ნიშნავდეს იგი.

სიტყვა "კარაბაირნის" წარმოშობის დადგენისა და მისი მნიშვნელობის ახსნით ბევრი სამამულო და უცხო მკვლევარი დაინტერესებულა.

პროფ. მ. საყაკაშვილი და ა. გელაშვილი "საქართველოს მეფიციინის ისტორიაში" /ტ.III, წიგნი 1, თბილისი 1956/ მიუთითებენ, რომ 1857 წ.წ. ბერძენიშემა გამოაქვეყნა წერილი "ქართული მედიცინის შესახებ", სადაც სხვა საკითხებთან ერთად სიტყვა "კარაბაირნის" წარმოშობასა და მის ახსნა-განმარტების საკითხსაც შეეხო. მას სიტყვა "კარაბაირნი" ორად დაუყვია და დაუმარტავს: "კარა" თათრულად შავს ნიშნავს, ხოლო სიტყვის მეორე ნაწილი - პიროვნების ან ადგილის სახელი უნდა იყოსო. ნ. ბერძენოვი იქვე შენიშნავს, რომ ეს სიტყვა შეიძლება წარმოშობილიყო იმავე პირობების გავლენით, როგორც რუსული სიტყვა "ჩერნოკნჟიე". "ჩერნოკნჟიეს ტიპის წიგნად მიუჩნევიათ "კარაბაირნი" ე. თაყაიშვილსა და პროფ. აღ. ხახანაშვილს.

ა. იაშვილი, "კარაბაირნს" უცხო ენიდან წარმოშობილ სიტყვად მიიჩნევდა.

სიტყვა "კარაბაირნის" არსის ახსნა-კვლევას 1936 წელს ექიმი ე. კოტეტიშვილიც შეუდგა. მან ყველა საექიმო ხასიათის წიგნები /ხელნაწერები/ ორ ჯგუფად - საექიმო წიგნებად და კარაბაირნებად დაჭყო და განმარტა, რომ საექიმო წიგნები შეიცავენ ვრცლად ან მოკლედ აღწერილ საექიმო საკითხებს, კარაბაირნები კი მხოლოდ ავადმყოფობის სახელწოდებას, მის მკურნალობას და წამლების დამზადების წესებს. ამავე აზრს გამოთქვამს აკად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. ბერიტაშვილი სიტყვა "კარაბაღინის" არსის შესახებ.1/

უცხოელ ავტორთა ნაწილი იმ აზრს იზიარებდნენ, რომ - "კარაბაღინი" "აბრაბაღინისაგან" უნდა იყოს წარმოშობილი, რაც წამლების შესახებ ცნობების შემცველ წიგნს ნიშნავს.

პროფ. მ. საკაშვილი და ა. გელაშვილი არც ერთ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას არ ეთანხმებიან და მის წარმოშობას ქართული დამწერლობის ისტორიას უკავშირებენ. მათ ამ მოსაზრების მტკიცებისათვის მოყავთ აპოლონიოს როდოსელის "არგონავთიკისაგან" ცნობილი ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ კოლხებს "ბემონახული აქვთ დაწერილი მამებისაგან დანაწერი კირბები..."

რას უნდა ნიშნავდეს სიტყვა "კირბი"? 1953 წელს გამოქვეყნდა ე. სიჭინავას წერილი: "ძველი კოლხეთის კულტურის ისტორიიდან", სადაც კირბები, ანუ იგივე "ჯირითებში", დაწერილი იყო, როგორც ძველი ბანური სიტყვა, რომელიც კრავს, ანუ კრავისას ნიშნავს. აქედან გამომდინარე მოხსენებული ავტორები ასკვნიან, რომ "... დანაწერი კირბები", რომლის შესახებ აპ. როდოსელს მოხსენებული აქვს "არგონავთიკაში", დაწერილი კრავის ტყავზე ყოფილა და სიტყვა "კარაბაღინს" ქანურ-მეგრულ სიტყვად, ცხვრის ტყავის სახელიდან - "ჯირბიდან" წარმოშობილად მიიჩნევენ.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ჩვენამდე მოღწეული ქართული ვეფხისტყაოსნური ხელნაწერები /კარაბაღინები/ მიეკუთვნება XVII - XIX საუკუნეებს. ამიტომ, სანამ თითოეული ხელნაწერის განხილვა-დახასიათებასა და აღწერას შეუდგებოდეთ საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ დავახასიათოთ ქართული ხალხის ისტორიის ის პერიოდი, რომელსაც ხსენებული ვეფხისტყაოსნური წერილობითი ძეგლები იქმნებოდა.

1/ И. Бериташвили, Учение о природе человека, Тбилиси, 1961, стр. 94.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯვრისუღლის დასასრულებელ

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ საქართველო წარსულში მრავალჯერ ყოფილა უცხო დამპყრობელთაგან აოხრებული და გაჩანაგებული.

გარეშე მტრების შემოსევებისაგან თავის დასაცავად წარმოებულ ხანგრძლივსა და უთანასწორო სისხლისმღვრელ ომებს, ქვეყნის მრავალგზის აოხრებასა და ამის შედეგად გამოწვეული დიდძალი ხალხის დაღუპვას საქართველო რიგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად უკიდურეს მდგომარეობამდე მიჰყავდა.

სხვადასხვა ჯურის დამპყრობელთა მარბარობისგან შემოსევების შედეგად მოისპო მრავალი სოფელი და ქალაქი, რის შედეგადაც წარმოიშვა და შემდგომ დამკვიდრდა ისეთი სტვენები, როგორიცაა "წასახლარი", "ნასოფლარი", "ნაქალაქარი" და მრავალი სხვა.

საქართველო, რომელიც წარსულში ერთ მთლიანსა და ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა, მეთექვსმეტე საუკუნეში გაიყო სამ სამეფოდ /ქართლი, კახეთი, იმერეთი/ და ოთხ სამთავროდ /სამცხე-საათაბაგო, სამეგრელო, აფხაზეთი, გურია/. სამეფოები და სამთავროები ერთმანეთს ებრძვიან და ასუსტებენ. მეფესა და მის მთავარ პოლიტიკურ დასაყრდენს - თავადებს შორის გამუდმებული უთანხმოებასა და მტრობას აქვს ადგილი.

ქვეყნის პოლიტიკური დაქუცმაცება მისი სამეფოებად და სამთავროებად დაყოფით არ ამოიწურა. ცალკეულ თავადთა და დიდებულთა სურვილი და მისწრაფება პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად იმდენად ძლიერი იყო, რომ ისინი ამ მიზნის მისაღწევად ხშირსა და დაუნდობელ სისხლისმღვრელ ბრძოლებს მიმართავდნენ. შინაფეოდალური ომების შედეგად სამეფოები და სამთავროები კიდევ

უფრო მცირე პოლიტიკურ ერთეულებად - საამთავრობოებად, სათავადოებად და სამოურავოებად დაიყო.

პოლიტიკურად დაქუცმაცებული და ეკონომიურად დაუძლურებული საქართველო ორი მძლავრი აგრესიული ქვეყნის - ოსმალეთისა და სპარსეთის გავლენის ქვეშ ექცევა.

მეჩვიდმეტე საუკუნეში ოსმალეთმა საქართველოს ჩამოაჭრა კულტურულ-ეკონომიურად განვითარებული, ძლიერი ძველი მესხეთი და "აქ ქართველობის ამოძირკვას ენერგიულად შეუდგა"1/.

ტაძიელებით ულმობელი და შეუწყნარებელი აიხრება განიცადა საქართველომ სპარსეთისაგან. შაჰაბაზის ბრძანების გამანადგურებელი შემოსევების შედეგად /1614 - 16, 1623 წწ./, რომლის ვერაგულ ბრახვად მიჩანს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოსავლეთ ტომების დასახლება და ამით მისი სახელმწიფოებრივობის მოსპობა წარმოადგენდა, სოფლის მეურნეობის ნაირ-ნაირი დარგები ადგილობრივი კახეთი ნანგრევებად იქნა გადაქცეული. ქარდ-კახეთის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი /ორი მესამედი/ გაიჟლიტა ან სპარსეთის პროვინციებში იქნა გადასახლებული. ქართველები,რომლებმაც ამ უკანასკნელი ბედი გაიზიარეს, დღესაც საკმაოდ ცხოვრობენ იქ, სახელდობრ, ფერეიდანში და მრავალ საქართველოში დაბრუნებაზე ოცნების ფიქრებში იგანჯებიან.

გარეშე მტერმა შემოსევებისაგან გაწრისხებული საქართველოს ფეოდალური საზოგადოების პროგრესული მოღვაწეები ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან, მაგრამ ამ მებრძოლთა რიგებს -

---

1/ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ვახუშტის პიოგრაფიისათვის; ვახუშტი აღწერა საქართველოსა გვ.12.თბილისი,1941.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბემოხსენებული შაჰაბაზის გამანადგურებელი აოხრების შედეგად - გამოაკლდა ისეთი ძლიერი პოლიტიკური ერთეული, როგორიც იყო კახეთი.

მართალია, მეფე ლეიმურაზ პირველმა შეძლო ორი სამეფოს - ქართლისა და კახეთის გაერთიანება, მაგრამ იგი ხანმოკლე გამოდგა. ლეიმურაზის ამ მოქმედებით გაწრისხებულმა სპარსეთის შაჰ-სეფმა ქართლში გაამეფა ირანში აღზრდილ-გამაჰმადიანებული ირანის სპასალარი როსტომ ბაგრატიონი /1632-58 წწ./, ხოლო კახეთის ხანად შაჰმა ვიღილებაში სელიმი დანიშნა.

როსტომის გამეფებიდან დაწყებული 1723 წლამდე საქართველო ქარეშე მტერთა გამუდმებულ თავდასხმებისაგან ოდნავ შვებას პოულობს. შესვენების ეს პერიოდი ქართველმა ხალხმა ნაყოფიერად გამოიყენა. ძველი სარწყავი არხების აღდგენასთან ერთად გაყვანილ იქნა ახალი არხები, რამაც სოფლის მეურნეობის ერთგვარ აღორძინება შეუწყო ხელი. გაცხოველდა ქართლსა და სპარსეთის ქალაქთა შორის ურთიერთობა. აღდგენილ იქნა ციხე-სიმაგრეები, გამოცოცხლდა ვაჭრობა და შაგრეშე კვლავ გამოჩნდნენ ევროპელი ვაჭრები. სწავლა-განათლების არსებულ ქართულ კერებს გარდა, კათოლიკე მისიონერებიც ხსნიან სკოლებს. მათ შიერ გახსნილ მარტო ფშავლისის სკოლაში ყოველწლიურად საშუალოდ ორმოცამდე ქართველი სწავლობდა.

საზოგადოების მაღალი ფენების წარმომადგენლები სწავლა-განათლებას ეწაფებიან. სკოლებში სახელმძღვანელოებად ხელნაწერი წიგნები იყო გამოყენებული, რომლებიც მრავლად იყო დაცული ეკლესია-მონასტრებთან არსებულ წიგნთსაცავებში.

გადაგანილი ომების შედეგად საქართველოში სტამბის გახსნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ კიდევ ვერ ხერხდებოდა, ამიტომ კათოლიკე მისიონერებმა ქართველი მწიგნობრის – ნიკიფორე ჩოლოყაშვილის /ირბაქის/ თანამშრომლობით ქ. რომში 1629 წელს ქართული სტამბა მოაწყვეს, სადაც ირბაქის თანაავტორობითვე დაიბეჭდა ქართულ-იტალიური ანბანი რაცვეშითურთ და "ქართულ-იტალიური ლექსიკონი". აქვე 1670 წელს დაიბეჭდა ქართული ენის გრამატიკა.1/

თუ XV – XVI საუკუნეებში არც ერთი მნიშვნელოვანი საისტორიო ხასიათის ნაწარმოები არ შექმნილა გარდა "ქორონიკონებისა", XVII საუკუნეში უკვე საისტორიო მეცნიერება ერთგვარ აღორძინებას იწყებს; გაიაზრეს იქნა "ქართლის ცხოვრება" /საქართველოს ისტორია/, ფარსადან გორგიჯანიძემ /1626–1696 წწ./ დაწერა ორიგინალური საისტორიო ხასიათის ნაწარმოები "საქართველოს ისტორია". მანვე შეადგინა ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი. გარდა ამისა, მასვე ქართული უთარგმნია სხვადასხვა აღმოსავლური წერილობითი ძეგლები.

ამავე ხანებში აშენდა ისტორიული და მხატვრული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ძეგლები, ქარვასლები, აბანოები, ხიდები და სხვ. ამ პერიოდის საკულტო ნაგებობათა მნიშვნელოვან ძეგლებს მიეკუთვნება შუამთის მონასტერი /კახეთში/ და ანანურის ციხე სიმაგრე თავისი მრავალსართულიანი კოშკებითა და გუმბათოვანი ეკლესიებითურთ.

მართალია სამეფო ხახტზე როსტომის ასული პერიოდიდან დაწყებული აღმოსავლეთ საქართველოში შეიმჩნევა ერთგვარი ჭაობიცხება როგორც სოფლის მეურნეობის, ისე ქალაქური ცხოვრების დარგებში, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით იმერეთინდელ დასავლეთ სა-

---

1/ შ. კურდღელაშვილი, ქართული სტამბის ისტორიიდან, გვ. 126, თბილისი, 1959.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველობე. შინაფეოდალური ომები, სამოცავრო-სატაცაოდა ურთიერთობები და მკაცრი შატონობა და ფეოდალთა სულიერის საფოველთაო მძევნებარება დიდად აბრკოლებდა ქვეყნის ეკონომიური სიძლიერის აღდგენას. უკიდურეს მდგომარეობამდე მიყვანილ ქართველ ერს ფიზიკურად ანადგურებდა და უცხო ოსმალ მოძალადეებს მათ დაპყრობას უადვილებდა.

XVIII საუკუნის დასაწყისში სპარსეთის ვაენმა ქართლის მეფობა ისევ გიორგი XI-ს უბოძა, ხოლო მოადგილედ /ხანიშნად/ ვახტანგ ლევანის ძე დანიშნა.

ვახტანგის ხანიშნობა რვა წელს გაგრძელდა /1703-11 წწ./, მაგრამ ამ მოკლე ხნის განმავლობაში მან სამშობლოსათვის ბევრი სასარგებლო და საკეთილდღეო საქმეების მოგვარება შეძლო. აკრძალა ქვეყნების ყიდვა-გაყიდვა, რაც დიდი ხანია ძირს უთხრიდა მოქალაქეობრივი ცხოვრების საფუძველს. მანვე, მისი თანამედროვე მწერალი საბოგადოების მხარდაჭერითა და თანამშრომლობით შეადგინა ახალი სამართლის წიგნი, რითაც ულიესი ამაგი დადო ქართლისა და მთელი საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწესრიგებას.

ვახტანგ მეექვსის უშუალო მონაწილეობით, ქართლში აღდგინეს ძველი და გაიყვანეს ახალი სარწყავი არხები. ამ ირიგაციულ სამუშაოთა ჩატარებამ, მთელ რიგ გატარებულ სხვა ღონისძიებებთან ერთად /გლეხების ხელახლა დასახლება დიდი ხნის წინ დაცლილ სოფლებსა და მხარეებში და სხვ./, დიდად შეუწყო ხელი მრავალგზის აოხრებულ და გაჩანაგებულ ქართლის სოფლის მეურნეობის დარგების აღდგენა-აყვავებას.

აღსანიშნავია, რომ ვახტანგ ლევანის ძეს დროებით ქართლში

"პირველი კარი ჯოგის შეყრისა.- ჯოგის საქმეს ასე ეცადე გონიერ მაძიებელი ცხენთა და ცხენოსნობისაჲ. თუ ხელი შეგწევს, უცხის თვითი, გინა შენის აღგილით, რაც შეგეძლოს, შეიაყრს ცხენს ეცადენით გეარიანს გამორჩეულს..." /2 v - 59 r/.



სურ.37. ხელნაწერის 1ა გვერდი.

წინ უძღვის: "კარაბაღინი ცხენისა და ყოვლის მისის შეტ-
ყობისა და ცნობისა..." /1ზ. იხ.სურ. 37/.

დარბული აქვს: "ჭანიუკი ამის წიგნისა რომ არის ქამოსარ-
ჩევი და აქეთან ჰპოვებ..." /59ზ - 61ვ/. ჭანიუკში სულ 84
პარაგრაფის დასაბეჭდებაა ამოწერილი.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი ეკუთვნის VI-ის მიერ სპარსულიდან ქართულად თარგმნილი-შეკრებილი "ცხენის კარაბაღინის" ტექსტს შეიცავს.
2. ხელნაწერი ამოწერილი აქვს ე. ნიკოლაძეს[1].

სურ.38. ხელნაწერის 24ვ გვერდი.

1/ იხ. ხელნაწერთა ამოწერილობა, ტ.I, გვ. 401, თბილისი, 1953.

ეროვნული ბიბლიოთეკა

228

კარაბაღინი. 1818

52 ფ.; 19 X 15; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; სათაურები სინწული; დაწერილია მაგრამ მაგონიშვილის ხელით; 1818 წ. 4 თებერვალი. შემოწირულია ნაფაღია ალიაშვილისაგან.

ანდერძი: სამკურნალო ესე ცხენთა კარაბაღინი, რომელიცა გარდმოღებულ არს ფრანციცულისაგან რუსთა ენასა ზედა პეტრეს მიერ კოვლისა...თუმცა კარაბაღინნი ესენი ფრიად ერცხვინი იყვნენ, ვარნა მე რაოდენმიე საადვილონი და ადვილად შესაგონნი სენნი და უბარალონი მათნი წამალნი გამოვჰკრიბენ და ერთად შევაწყე და გარდმოვიღე ესენი ძალითა და შეწევნითა ღ ისათა მე, საქართველოს მეფის გიორგის ძემან, მაგრამან...ეს კარაბაღინი ვთარგმნე რუსულიან ქართულად წელსა 1816, იანვრის 14 და ახლად გარეუწერე მათს შვილიშვილებას სწუილად იმერთა სარდალს ალიასძეს დავითს, რომელიცა არს ამჟამს თვით სანკტ პეტერბურგსა შინა. წელსა 1818, თუ სა თებერვალსა 4 სრულ იქმნა. მაგრამ". /46 v - 47 r/.

დარბული აქვს: "ანდრუკი ანუ საძიებელი სნეულებათა.-

გაციებისათვს ცხენისა 1:ა

მჭლისათვს და ყიფიღურობისა 2:ბ

მუცის ტკივილისა და ტრფობისა 3:გ

ხველისა 4:დ"... ანდრუკში სულ"30:ღ" კარის დასათაურებაა აღწერილი. /3 v - 4 v/.

ხელნაწერის 48 r,v -ზე შესრულებულია ვეტერინარული მანიპულაციების ჩასატარებელი იარაღების სურათები, ხოლო 2 r - 3 r-ზე დახატულია იმ ცხოველებისა და ფრინველების სურათები, რომლებსაც ავტორი ტექსტში განიხილავს - ცხენის, ძროხის, ცხვარის, ხბის, ფარშევანგისა და ინდოურის.

როგორც ხელნაწერის 5 r-ზე დაწერილ მაგრამის მიმართვის შინაარსიდან ირკვევა, იგი მას, იმ პერიოდში პეტერბურგში მყოფ იმერეთის მაჟაღისათვის - სარდალ დავით აბაშვილისათვის გადაუწერია და მიუძღვნია. /იხ. სურ. 39/.

იმასვე, რომ ხელნაწერი მაგრამს უძღვნა იმჟამად პეტერბურგში მყოფ მაჟაღს - სარდალ აბაშვილს, იუწყება ხელნაწერის სატიტულო ფურცლის v-ზე შესრულებული მინაწერი, რომელიც აბაშვილისეულ მინაწერად უნდა იქნას მიჩნეული:

"მისმან უკანასკნელობამ საქართველოს მეფის ძემან, ბაგრატმან ბაგრატის შვილმან, მიმოძა კარაბაღიში ესე, მე იბერიის თავადის სარიას აგიაშვილის ბაქარის, სამეფოსა ქარაქსა შ/ინ/ა პეტერბურს. სახსოვრად მისის უკანასკნელობისა"

სურ.39. ხელნაწერის 5 ა ფურცელი.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი ბაგრატ ბაგრატიონის მიერ, რუსულ ენაზე არსებულ ვეტერინარულ წყაროთა თარგმნა-შეწყობის შედეგად დაწერილი შრომის "საბუნებისმეტყველო ცნებას" ტექსტს შეიცავს.

სურ.40. ხელნაწერის 39ზ გვერდი.

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. ნიკოლაძეს[1/].

1/ იხ. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ.I, გვ. 407, თბილისი, 1953.

239

ცხენის კარაბაღინი. 1763

31 ფ.; 21 X 15,5; ქაღალდი; მუქაოს ყდა; მხედრული; საათურები სინქურით; 1763 წ. დამიანეული; გადამწერი ავთანდილ ათინასშვილი; დამკვეთი: როსტომ ერისთავი /31 ვ/. ტექსტი დაწერილია ორ სვეტად.



სურ.41. ხელნაწერის IV ტყავი.

წინ უძღვის: წიგნი ესე იყო პირველ ტქმული სპარსთა და არაბთა შინა...გამოცხადება დარგმანებითა და შეკრიბნა ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღ ვთივ დიდებულმან ძემან მეფეთმან თჳთ განგებელმან ბა-
ტონმან ვახტანგ". /იხ. სურ. 41/.

სურ.42. ხელნაწერის 14ა გვერდი.

ხელნაწერს 29ა - 31ბ გვერდებზე დართული აქვს სარჩევ-საძიებელი: "კარი ჯოგის შეცრისა", "კარი ხელგენ შუბაურის ცხენის გაშვებისა"... სარჩევ-საძიებელში სულ 115 კარის და-სათაურებაა აღნერილი.

აღნერძი გაიაანწერისა: 1. "სრულიად ეს მცირე კარაბაღინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასიათქუსმეტი კარი არის და ზემოთ ყოველის კარისათვის თავიდან ვიწრე ბოლომდე რიცხვი დამიწერიათვს... ეს საძიებელი დეღანს არ ჰქონია, ჩვენ მიაპარს და უცოდველეს მწიგნობარიათანს ავთანდილს შეგვიძენია..."

2. "დიდებულის ბრწყინვალებითა და ბედნიერის სიმდიდრით ამაგებულს მაღალსა მთავარს ერისთავს ბაგონს /როსტომს ეხახელით რა ფერხსა მაღისა ტერფით მონანი საქართველოს კორელი თავისასწავლი, ყოველად უღირსი და უმეცარი მწიგნობარი ავთანდილ, ესე მცირე კარაბადინი ქაბუკად მხედართათვს სახელოვანთ და მთავართათვს და ჯოგთა მწყემსთა ფრიად მარგე, ქართველი მეფის ვახტანგისაგან შენაწყობარნი, გვიბრძანა აღსანერად... აღსრულდა მაისის 8, ქართველთ ქრონიკონს ულა". /31ა/.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი ვახტანგ VI-ის მიერ სპარსულიდან ქართულად დარგმნილ-შეკრებილი შრომის "ცხენის კარაბადინის" ტექსტს შეიცავს.

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. ნიკოლაძეს[1].

243

ფრინველთა კარაბადინი. XVIII

104 ფ.; 19 X 14; ქაღალდი; მუყაოს ყდა; ნაკლული; მხედრული; სათაურები სინგურით; /ბაუერელია 5v /; XVIII ს.

წინ უძღვის: აქა აბშაკი ბრძენთა და ფილოსოფოსთა ნათქვამი და დასაწყისი წიგნისა ამის, რომელსა ეწოდების ყოველთა ფრინველთა კარაბადინი. დარიგები ეჰა ყოველნი ცნობა უკლებნი და მრავალგნის მეცნიერნი ბაბიარ ბული და ბინებრა მიაპყარ სწავლასა ამას, დაიმარხე სრული და უკლები სიტყვა ესე ჩემი. ბაბიერობის თავი და ცნობა ესე არს, რომე ბაბიარს ფრინველი დიდად გულით უყვარდეს და ვერცა უფრინველოდ გასძლებდეს, ფრინველის ერთული და მოყვარული უნდა იყოს..." /1ა .იხ.სურ.43/.

---

1. იხ. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ.I, გვ. 423, თბილისი, 1953.



სურ.43. ხელნაწერის 1ა გვერდი.

ბოლო: "...კარგი კელი შეუწყვე დამბრიდა და გასახსნელით, შიგნით გამოწმინდე, გარეთ გააასუქე, შენგუნებაა ჭორცი დააჭერინე, ტვარა მჭიე და მწვრიანი შეინახე, არას გარგებს..."

მიწაწერი: "აქა დედის აკრძა" /5ვ/.

სურ.44. ხელნაწერის 4 v გვერდი.

შენიშვნა: 1. ხელნაწერის ტექსტი სხვა "ფრინველთა კარაბაღინების" ტექსტის მცირედ განსხვავებული ვარიანტს წარმოადგენს.

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. ნიკოლაძეს[1].

1/ იხ. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ.I, გვ. 428, თბილისი, 1953.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცული ხელნაწერები. მოხსენებული ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში სულ დაცულია სამი ვეტერინარული ხელნაწერი, რომელთაგან ორი - ცხენის კარაბაღინებს, ხოლო მესამე ფრინველთა კარაბაღინს წარმოადგენს.

M-37

კრებული

M-№ 37 ხელნაწერში, მსგავსად Q-№ 311 ხელნაწერისა, სხვადასხვა ავტორის მიერ დაწერილი, ორი, განსხვავებული შინაარსის შემცველი ვეტერინარული შრომაა აკინძულ-გაერთიანებული, ამიტომ კრებულში შესული თითოეული შრომა ჩვენს მიერ ქვემოთ აღწერილი იქნება ცალ-ცალკე. ამასთან კრებულის I ნაწილში აღწერილ შრომას შესაბამისად M-№ 37:1 ნომერი მიეკუთვნება, ხოლო მეორეს M-37:2 ნომერი.

კრებული გარედან ტყავშემოსილი მუყაოს ყდაშია ჩასმული და 119, 32,5 X 20,5 სმ ზომის ცისფერსა და თეთრ ქაღალდფურცელს შეიცავს.

M - 37:1

ცხენის კარაბაღინი. 1791

4-98 ფ.; ქაღალდი /ცისფერი/; მხედრული; საშაურებში სინკურიო; 1791 წ. 23 აგვისტო /ჩხეჟა აგვისტოს კგ". 4 v/.

ანდერძი: იოარგმნა უკე წიგნი ესე რიცხვსა სომეხთასა ცხრაას ორმოცდა ათასმეცხრა 953: რომელსა ეწოდების საბკურნალო ცხენისა და სხვათა პირუტყვთა დაბასა სევასტიისასა არაბის წერილისაგან სომეხთა ენასა ზ/ე/ა... და თქვი წიგნი ესე შე

იოანე ოსეს ძემან იკონიმოს დეკანოზმან ტფილისის სიონისამან აღვწერე ჴელითა ჩემითა ბრძანებითა ჩემი სა ბრძანებელითხზია /იგულისხმება გიორგი ბატონიშვილი, შემდგომ გიორგი XII.ა.ხ./ და შევაწყე ძველი ვიღრეშე კარაბადინი..." /47,V .იხ.სურ.45/.



სურ.45. ხელნაწერის 3V - 47 ფურცელი.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი გიორგი ბატონიშვილის /შემდგომ გიორგი XII/ ბრძანებით იოანე ოსესძის მიერ გადმოღებულ-შეგენილი "ცხენის კარაბადინის" ტექსტს შეიცავს.

2. ხელნაწერში შესრულებული მინაწერია უნეტესობა ბატონიშვილის ხელით უნდა იყოს დაწერილი.

3. ხელნაწერი უხვადაა ილუსტრირებული დახატული სურათებით, რომელთა ნაწილი მოგვყავს ქვემოთ.

4. ხელნაწერი პირველად ჩვენს მიერ არის აღწერილი.

სურ.46. ხელნაწერის 85 v - 86 r მხრები.



სურ.47 ხელნაწერის 23 v - 24 r გვერდი.

სურ.48. ხელნაწერის 9-10 ფურცლებს შორის ჩაკრული ქაღალდზე შესრულებული სურათი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სურ. 49. ხელნაწერის 33-34 ფურცლებს შორის ჩაკრული ქაღალდზე შესრულებული ნახატი.

სურ.50. ხელნაწერის 38-39 ფურცლებს შორის ჩაკრული ქაღალდზე შესრულებული ნახატი.



სურ.51. ხელნაწერის 41-42 ფურცლებს შორის ჩაკრული ქაღალდზე შესრულებული ნახატი.

M - 37:2

საბკურნალო ცხენობა. 1816

21 ფ.; /კრებულის 99-119 ფ./; ქაღალდი; ფეთრი ფერის; მხედრული; 1816 წ. 14 იანვარი. ს. პეტერბურგს.

"ფ:1. ა. სისხლის გამოშვებისათვს:- ცხენი, რომ დიდხან დაბმული იქნება საჯინიბოში..." /100 ზ - 119 ვ/.

"განეკუთვნება სამედიცინო სენისათვს:- სისხლის გამოშვებისათვს, გასანეზების ოფნისათვს"... /116 ზ/. განეკუთვნება სულ 23 ჯერია აღნერილი.



სურ.52. ხელნაწერის 99 ვ - 100 ზ ფურცელი.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი მაგრამ მაგონებელის ავტოგრაფული ნაწერია. იგი მის მიერ შეკრებილია ჩუსური ენაზე არსებული ვეტერინარული წყაროთა გამოკრებით თარგმნის შედეგად და ბრონის "საბკურნალო ცხენობას" პირველ ვარიანტს წარმოადგენს.

2. ხელნაწერი პირველად ჩვენს მიერ არის აღნერილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

С - 16

ფრინველთა კარაბადინები. XVIII

25 ფ.; 17 X 10,3; ქაღალდი; ხელნაწერი; მხედრული; სამაურები სინგურით; XVIII ს.

იწყება: "ხორცში იმით ნაკლებ გააძღევ და იმ დამეს ეძინები მიეც და მეორეს დღეს მიცხარი ან ბრინეული..." /1v - 21v/.

"განეკუკი ამის წიგნისა რომ არის გამოსარჩევი და აქედან იპოვება.- მეექვსი მიწერი ამ წიგნის შესავალი და მიწერი ქორისა. ა. კარი პირველი ქორს რომ ცაფაღები დაეხარების. ბ. კარი მეაცი სუნი რომ შეეყარის ქორსა"... /20v - 21v/. განეკუკში სულ 30 კარი დასათაურებაა აღნერილი.



სურ.53. ხელნაწერის 9v- 10r ფურცელი.

შენიშვნა: 1. ბოლო 22, 23, 24, 25 ფურცლები დაუნერელია.

2. ხელნაწერში აღნერილი ტექსტი მცირე განსხვავებით ემთხვევა სხვა "ფრინველთა კარაბადინების" ტექსტს.

3. ხელნაწერი პირველად ჩვენს მიერ არის აღნერილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. ფერავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული ხელნაწერები. ფერავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში სულ ორი ვეტერინარული ხელნაწერი ინახება. ერთი მაიგანი /№ 2476/ ცხენის კარაბადინს, ხოლო მეორე /№ 2482/ ფრინველთა კარაბადინს წარმოადგენს.

2476

ცხენის კარაბადინი. XVIII

25 ფ.; 22,2 X 18; ქაღალდი; დაღაქულ-დაზიანებული; უყდო; აუკინძავი; ფავ-ბოლონაკლული; ხმხერული; XVIII ს.

ხელნაწერის ტექსტის დასაწყისში პირველი 4-5 სტრიქონი /დაზიანების გამო/ ვერ ამოითხვა.

დაზიანებას გადარჩენილი ტექსტი იწყება: "... კიდევ ასე ფქმულა კბილები ახლო ახლო მიჭრილი უნდა ჰქონდეს წმიდა და ფეთრი შუბლი გაშლილი ყურები შავი განიერი..." /1ა/.

ხელნაწერის 20ა გვერდზე აღწერილია პარაგრაფი: "კარი ხუნაგისა.- ხუნაგის იადი, რომ ჰქონდეს ვეჭიშ სირაჯას ეძახიენ. ხუნაგს, რომ ჯერ პირი არ ეჭნას..." /იხ. სურ.54/. მოცემული პარაგრაფი /"კარი"/ სხვა ამავე ტექსტის შემცველ ხელნაწერებში წოდებულია: "სონამისა იადი, რომ ჰქონდეს, ვეჭიშ სონამ სირაჯა ერქვას". /Q-№ 281/.

ტექსტი ბოლოდება: "კარი ცხენს შირიმის იადი რომ ჰქონდეს.- მისი წამალი ქერი და ქონი დანაყე და იმ ადგილს დაადევ. ანძროთი და მურიასანგი დანაყე ზეთის ხიდის ზეთით შირიმზედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაადევ კიდევ სიავეზნის". /25v/.



სურ.54. ხელნაწერის 207 ფურცელი.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი ეახტანგ VI-ის მიერ სპარსულიდან ქართულად თარგმნილი-შეკრებილი "ცხენის კარაბადინის" ტექსტს შეიცავს.

2. ხელნაწერი პირველად ჩვენს მიერ არის აღწერილი.

2482

დრიგულეთა კარაბადინი. XVIII

56 ფ.; 20,4 X 15,5; ქაღალდი ტვიფრშებოსიერი მუყაოს ყდა; ოავ-ბოლონაკერული; ხელნაწერი; XVIII ს.



სურ. 55. ხელნაწერის 12 გვერდი.

დასაწყისი: "ია და არა უყვარს ცუდად ნუ იტყვების და ნურც ქების აიღებს..." /12. იხ. სურ.55/.

შენიშვნა: 1. ხელნაწერის ტექსტი მცირე განსხვავებით ემთხვევა სხვა – ჩვენს მიერ ბეჭდილ აღწერილი "ფრინველთა კარაბადინეში" ტექსტს.



სურ. 56. ხელნაწერის 53ა ფურცელი.

2. ხელნაწერი პირველად ჩვენს მიერ არის აღწერილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერები

Ს - 75

ცხენის კარაბაღინი. /ფრაგმენტი/. XIX

3 ფ.; 22 X 18; ქაღალდი; ცალმოყვითალებული; დაზიანული; კიდურები რესტავრირებული; უყდო; აუკინძავი; ფრაგმენტი; ხელნაწერი; XIX ს.

/ცხენის კარაბაღინი/.- "...ცამოუშვი და ცასქელისა... ფავი - ი - ცხენის შაღახის ფუ ქერის შირევნისა და ძრე-ვ-ფაფუს სამ დღეს ცააბას აღვირიო ფავი აუკრას..." /12- 3 v/.

შენიშვნა: "ფავი /ჯო/ ნიშელი ქარი რო სჭირდეს მუცელი ცაბერილი ექნების შარდის ცაღევის /უნდა იყოს "შარდსა და წეხს" კ.ჯ./ ძნელად ცააგღებს არგიშებე".

შენიშვნა: 1. ხელნაწერი /ფრაგმენტი/ ვახტანგ VI-ის მიერ სპარსულიდან ქართული თარგმნილი-შეკრებილი ნრომა "ცხენის კარაბაღინის" ტექსტს უნდა შეიცავდეს. /შეადარე Q-№ 281 "ცხენის კარაბაღინში" აღწერილ შესაბამის "კარი ცხენის ნიშიის ქარისას", სადაც სწერია: "ცხენს რომ ნიშელი ქარი სჭირდეს მუცელი ცაბერვით ექნება, შარდს და წეხს ძნელად ცააგღებს. არგიშებე ცახლას ცაიწყებს..." /Q-№ 281, კარი "ოა"/.

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ც. ჩიკვაშვილს[1].

1/ იხ. კ. მარქსის სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერებისა და საარქივო მასალების კატალოგი, გვ. 41, თბილისი , 1964.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს- 106

სამკურნალო ცხენისა. 1791

170 ფ.; 20,5 X 15; ქაღალდი; ხის ტვიფრებიანი ყდა; ადგილ-ადგილ სათაურები სინგურით; გაიამბერი ტრინკე ერისთავი; 1791 წ. აგვისტის 23.



სურ.57. ხეინამერის ე.წ. ტვერდი.

"კარი პირველი ჯოგის შეცრისათჳს.- ჯოგის საქმეს ასე ეცადე გონიერ მაძიებელი ცხენთა და ცხენოსნობისა. თუ ჰკლი შეცნევს უცხოს თემით გინა შენის ადგილით..." /12v/.

წინ უძღვის: 1. "შესაცაცი წიგნისა ამისა წინამძებრისა რომელსა ეწოდების სამკურნალო ცხენისა..." /12r/.

2. "ზანდუკი წინამძებრისა წიგნისა ამისა, რომელსა ეწოდების სამკურნალო ცხენისა..." /3r - 11r/.

სურ.58. ხელნაწერის 103r გვერდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდერძი: "იოარგმნა ჯ[illegible] წიგნი ესე რიცხვსა სომეხთა 953; რომელსა ეწოდების სამკურნალო ცხენისა და სხვათა პირუტყვთა დაბასა სევასტიისასა, არაბის წერილისაგან სომეხთა ენასა ჩ ა... ხ[illegible] ქვეშრიანა ქართულსა ენასა ჩ ა ქარგმოღებაჲ სომეხთა ვიღრეშე ენით ჳ[illegible]ისა საქართველოჲსა მეფისა ირაკლი მეორისა პირველსაჲსა ძისა უფანაღიებულესისა საქართველოჲსა მეშვიდისა ციორგის მიერ მეფეღესა ოსეს ძეს იოანეს... და აღესრულეთ ბრძანებული... სრულ იქმნა ან დაწერით წელსა ჳ[illegible]სსა 1791 აგვისტოს 23". /12v - 27/.

მინაწერები: 1. "კარაბაღინი ესე უფანაღიებულესის მეფის ძის არჩილისა არის" /103r ქვერის ბოლოს. იხ.სურ.58/.

2. "ჴელითა ითრნიკესითა წერილ არს" /2v/.

3. "ერისთაჲის ძის ითრნიკეს მიერ უნიაბრებულად მიიღეთ მოწყალეე ხელმწიფეე" /35v/.

შენიშვნა: 1. ფურცლები 38r - 46v დაუწერელია. დახატულია მხოლოდ ორნაჯახებები, რომლებშიც სხვადასხვა ფერის ჯუფენილ ცხენთა განმასხვავებელი ბალიშის ფორმის სურათები უნდა ყოფილიყო ჩახატული.

2. 35-36 ფურცლებს შორის ჩაკრული ორმაგ ფურცელზე დახატულია ცხენის სურათი.

3. ხელნაწერი ციორგი ბატონიშვილის /შემდგომ ციორგი XII/ ბრძანებით, იოანე ოსესძის მიერ ქარგმოღებულ-შედგენილი "ცხენის კარაბაღინის" ტექსტს შეიცავს.

4. ხელნაწერი აღწერილი აქვს ც. ჩიკვაშვილის[1].

საქართველოს სსრ სახელმწიფო ცენტრალურ ისტორიულ არქივში დაცული ხელნაწერები. მოხსენებული არქივში დაცულია მხოლოდ ორი ვეტერინარული ხელნაწერი.

359

ცხენის კარაბაღინი. XVIII

52 ფ.; 16,3 X 10,5; ქაღალდი; ყდით; თავ-ბოლონაკლული; მხედრული; საბაურები სინგურით; XVIII ს. /ხელის მიხედვით/; შემოსულია 1924 წ. ნაცვლიშვილისაგან /თელავი/.

1/ იხ. კ. მარქსის სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში დაცულ ხელნაწერებისა და საარქივო მასალების კატალოგი, ტ. 9, თბილისი, 1964.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იწყება: "ღმერთ წარემართების, მრავლისაგან ცოცას ვიტყვით. ეს იცოდე ადამიანის გუნება მხურვალე და გრიგი არის..."

ხელნაწერში 73 კარია /პარაგრაფი/ აღწერილი.

"კარი ჯიგის შეყვრისა", "კარი აჯილოს გარევისა", "კარი ბედაურის ხელზე გაბვებისა"... /1 v - 52 v/.

ტექსტი მთავრდება: "...ნაკბენს აღგილს წაუსვი და ყინწრით ეცით, ერთიც დაღითაც დაჭირეთ და წქით და შაქრით მოშანდეთ".



სურ.59. ხელნაწერის 44 v - 45 r გვერდები.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი ეახტანგ VI-ის მიერ სპარსულიდან ქართულად თარგმნილ-შეკრებილი "ცხენის კარაბადინის" ტექსტს შეიცავს.

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს პ. ცაგიშვილს[1].

619

ცხენის კარაბაღინი /ფრაგმენტი/. XVIII

6 ფ.; 25 X 18; ქაღალდი; უყდო; თავ-ბოლონაკლული; მხედრული; სამაურები სინგურით; XVIII ს. /ხელის მიხედვით/; შემოსულია 1925 წ.

იწყება: "მოიღე ღომი ანუ ფქვი **ბაქმიღი**, მოხარშე ძმრითა ფაფასავით, აურიე ღორის ქონი, ბევრი ტიტოზედ ცაკაკარი და ბურგზედ ბააღევი დახუჭულზედ..."

ტესქტი მთავრდება: "...ეკრძალე დაუწმენდებს მჟავე პურის ცომი, შეწნავარი ხახვი და ღორის ქონი ერთად არეული უნდა დაღვა ბევრი ღუმში".

შენიშვნა: 1. ხელნაწერი ძალზე ნაკლებ კალიგრაფიით არის დაწერილი.

2. ხელნაწერი ვახტანგ VI-ის მიერ სპარსულიდან ქართულად თარგმნილ-შეკრებილი "ცხენის კარაბაღინის" ფრაგმენტს უნდა წარმოადგენდეს.

3. ხელნაწერი აღწერილი აქვს ს. კაკაბაძეს[2].

1/ იხ. ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, II, გვ. 20, მ. ცაბრიჩაძის და სხვ. საერთო რედაქციით, საქართველოს სსრ მშს საარქივო სამმართველო, ბათუმი, 1950.

2/ იხ. იქვე, გვ.161.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერები. მოხსენებული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია მხოლოდ ერთი ქართული ვეტერინარული ხელნაწერი.

S - 3447. /F 140-/

ცხენის კარგაზადინი. XVIII

77 ფ.; 16,5X 10,5; ქაღალდი; ფეხავშეხსიერი ხის ყდა; ბილინაკური; მხედრული; საშაურები სინგურით; XVIII ს.

სურ. 60. ხელნაწერის ერთ-ერთ გაბერიდფურცელთა ფიტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იწყება: "კარაბადინი ცხენისა მისის შეცდომისა და ცნობისა და ყოვლის რიცხვისა და ტკარის სნეებისა და წამლობისა და მისი მოვლისა.

პირველად, რომ მცოდემ ცხენი ჯამოიცვანეს პირობა კაცმა ასე მისცა: დაღალული არ შემაციოთო. უწმინდური არავინ შემსვათო, საპარნე არ ამკიდოთო..." /12/.

"ან ვინათგან ყოველი სარგებელი უფრისი ერთი მისის ყოლებითა ტკბილს და იქნების..." /1v/.

ტექსტი მთავრდება: "...ცხენს, რომ წელკავის სენი სჭირდეს ძაღლის ტყავი წელზე დაკაპევ, ვიდრემდის ეღვას დახურე, არჯასპი,ქაფური დანაყოს და ერთმანერთში აური" /77 v/.

მინაწერები: 1. "ქ. ხიმოყლოვის მცივ სვიმონის ძეს იი/ბ/იისა ვარ..." /ამოფურცელი/.

2. "ლოლიბერიძე იოსები" /გარეკანის შიგნითა ტკერდი/.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი ვახტანგ VI-ის მიერ სპარსულიდან ქართული დარგმნილი-შეკრებილი ცხრომის "ცხენის კარაბადინის" ტექსტს შეიცავს.

2. ხელნაწერი პირველად ჩვენს მიერ არის აღწერილი.

<u>სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ხელნაწერი.</u> აღნიშნულ მუზეუმში დაცულია მხოლოდ ერთი ექვსტომეულის ქართული ვეტერინარული ხელნაწერი /უნომრო/.

<u>უნომრო</u>

<u>ცხენის კარაბადინი. 1874</u>

43 ფ.; 21,5 X 17; ქაღალდი; უყდო; ნაკლული; მხედრული; სამაურები იისფერი მელნით; 1874 წ. /"ჩვიდ"/; შემონირულია ა. მჭედლიშვილის მიერ.

ტექსტი იწყება: "მისი სახმაროვნობისა კაცთაფვის დამატე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბა და მეცნიერებით გამოეხსნენ ფიქის პირს მყოფ ცხენსა და ეიმაერ გამოიყვანეს აქა... პირველად, უწმინდური და ფინთი კაცი არ შეშჯდესო. მეორედ, ჩემგან უწმინდური დედაკაცი არ შეშჯდესო. მესამედ, საპაერნე არ ამკიდითო. მეოთხედ, წმინდა აიაცს დამაშინოთ, რომ ფინთმა ადამიანმა არ დამინახოსო..."

სურ.61. ხელნაწერის 127 გვერდი.

დარბული აქვს სარჩევ-საძიებელი, რომელიც დღით არის ნაკლული. მასში პარაგრაფთა დასათაურების აღწერა იწყება "ი"

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარიდან და მთავრდება "რიე" კარის აღწერით.

"იჱ. კარი კვიცის დახერხისა და მხეხრობისა,
იჱ'. კარი იელ ყაფინისა,
ით. კარი ჩაღუდისა რომ ჩაღუდება ამას ჰქვიან,...
.....
რჱ. კარი ლაქის წამალი,
რჱ'. კარი ფრიაქის წამალი,
რთ. კარი შუდაცის წამალი,
რია. კარი მაცაის წამალი,
რიჱ. კარი საცაის ძროხის ნეხვისა,
რიგ. კარი ოქის წამალი,
რიე. კარი ძელისა რომ გაუჩნდეს ცხენსა". /27/.

ანდერძი:

"ვიპყარ კალამი, ვიშრომე, ვეტრფე კეთილ-მარჯვედ წერასა,
ცხენია შეღაური კურნებას, ვეწყე კვიცების მჭერასა,
სპარსთა ენიდგან თარგმნულსა, წუნსა დასდებენ ვერასა,
მეფის ვახტანგის ნათარგმნი, მაღხენდა ვეთტრი მღერასა.

სხუანიცა წიგნნი მრავალნი, არს ჩემგან თხზული-დანაწერები,
სადაც იხილოთ ნაღვაწნი და შრომა ჩემ მიერები,
გთხოვთ ვერცხლითა ყოველთა, ერნი შეჰხედეთ თუ ბერები,
ღიცვით მახსენოთ, ღმერთმან თქვენც შეგიწყალოთ მაგიერები.

კეთილი დამიწერეს რომელთა, ნაშრომნი სიტყვად შთებიან,
წინანი წაველენ ახალნი, მოველენ და შემოკრებიან,
იგი განელიან საწუთროს, სამახსოვრად დამტოვებიან,
შენ ღირს ქმას ღმ[ერ]თ, საღ მარჯვნივ წმინდა კუნტრი დგებიან".
/128/.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი ვახტანგ VI-ის მიერ სპარსული-დან ქართულად თარგმნილი შრომის "ცხენის კარაბადინის" ტექსტს შეიცავს.

2. ხელნაწერი პირველად ჩვენს მიერ არის აღწერილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალიტკურ-ეჩეერიერინის სახელობის ლენინგრადის სახელმწიფო საკავშირო შიშველიდან დაცული ხელნაწერი. ხსენებული ბიბლიოთეკის ხელნაწერთა გარეთიდებაში დაცული არის მხოლოდ ერთი ეგზემპლარი ქართული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი.

24/20/

ცხენის კარაბაღინი. XIX

"ცხენის კარაბაღინი" აღწერილია ერთ-ერთ ხელნაწერი კრებულის 61-93 ფურცლებზე. 20,8 X 17; ქაღალდი; მხედრული; XIX ს. /საბინინის კოლექციაა/.

ანდერძი: "ქ. ეს კარაბაღინი ესრეთი აქიმის ნაშრომში ცხენის კარგისა და ავის შეცდომა და ფერაღისა ავადყოფისა ნამღები და ესე კარაბაღინი არაბულად ნაშრომია..."

/83. 61-62. იხ.სურ.62/.



სურ.62. ხელნაწერის 61-62 ფურცლების ფოტო.

ხელნაწერს 62 გვერდზე დარჩული აქვს სარჩევ-საძიებელი: "1. ცხენების ქება, 2. ლაშო, რომ ავად ხელევედეს"...

სარჩევ-საძიებლის შემდეგ, რომელიც 64 გვერდზე მთავრდება, ქარდული ტრანსკრიბციით დაწერილია რუსული ტექსტი: "какъ хорошая лошадь скрытая хорошая: Описатели у лошади и плохие.."! ტექსტის ეს ნაწილი მთავრდება: "Приходъ Приставъ и Епископъ ли Корнетъ или Сей Приказъ". /გვ. 64-66/.



სურ.63. ხელნაწერის 71-72 გვერდები.

"1. ანე თუ გინდიოეს სიკეთე და სიავე შეიცნო ცხენისა მაღალი და შეკერული და ქუთხი ლაში გეითხისაგან მიგეთ. ცხენის ნაპობი ფარდი..." /გვ.66-83/.

ხელნაწერის ქარდული ტექსტი მთავრდება: "... და ბერძე მოიტანე ფიცხერის ჭრჭყალი, დაფხიკე, რაც გინდიოეს, და პირზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაატარე და შეაქამე და მორჩება". /გვ.83/.

ხელნაწერის 83 გვერდზე ისევ ქართული ტრანსკრიბციით რუსული ტექსტია დაწერილი. ტექსტის ეს ნაწილი მთავრდება 93 გვერდზე: "... აშჩე სადო უ ღოშელი სუშიც რაკოვინუ ი ფრისიფათი სირიარიუ ღობრო".

შენიშვნა: 1. ხელნაწერის ტექსტი სიტყვა-სიტყვით ემთხვევა S-№ 3728 ხელნაწერის ტექსტს.

2. ხელნაწერი პირველად ჩვენს მიერ არის აღწერილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეტერინარული ხელნაწერთა ქრონოლოგიური ჩამონათვალი

წელი ან საუკუნე	ხელნაწერის №	წელი ან საუკუნე	ხელნაწერის №
XVI-XVII	H- 414	1807	Q-311:2
XVII	Q-562:2	-"-	S- 268
1763	239	1815	200
1775	S- 1737	1816	M- 37:2
1788	M- 37:1	1817	Q-311:1
-"-	A- 652	1818	228
-"-	H- 2156	1826	A- 1229
-"-	Q-956:2	-"-	S- 14
1791	Q- 1135	1833	Q- 1187
1791	S- 3467	1834	Q- 281
1791	S- 106	1867	H- 2212
XVIII	243	1874	უნიწრი /სიღნაღი/
-"-	2482	XIX	220
-"-	359	-"-	A- 671
-"-	619	-"-	A- 1229
-"-	S- 3447	-"-	S- 226
-"-	C- 16	-"-	S- 2401
-"-	24/20/	-"-	H- 352
-"-	S- 26	-"-	H-1255:ბ
-"-	S- 225	-"-	S- 75
-"-	S- 325		
-"-	S- 330		
-"-	S- 3728		
-"-	Q- 198		
-"-	H- 297		
-"-	H- 3260		
-"-	2476		

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეტერინარული ხელნაწერების /კარაბადინების/ საერთო მიმოხილვა და კლასიფიკაცია

ჩვენ მიერ, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებისა და ლენინგრადის სახელმწიფო წიგნსაცავებში, მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში ჩატარებული მუშაობის შედეგად სულ გამოვლენილია 47 ეგზემპლარი ქართული ვეტერინარული ხელნაწერი - კარაბადინი. ამათგან, ორი ხელნაწერის /Q-№ 311:2 და S-№ 268/ გამოკლებით, რომლებიც ერთი ხრომის, სახელდობრ ვეტერინარული რეცეპტების ნუსხებს წარმოადგენენ, შინაურ ცხოველთა და ფრინველთა მოვლა-მოშენებისა და მკურნალობის საკითხებია განხილული.

ქართული ვეტერინარული კარაბადინები, გარდა ერთი /H-№ 414/ ხელნაწერისა, დაწერილია მხედრული ასოგრაფით. მათი უმრავლესობა, როგორც ამის შესახებ ხელნაწერთათვის დართული ავტორის ან მისი გადამწერის ანდერძისა და ხელნაწერთა პალეოგრაფიული ნიშნების შესწავლის შედეგად ირკვევა, XVIII-XIX საუკუნეებშია დაწერილი. შემორჩენილი და დაცულია აგრეთვე უფრო ადრე პერიოდში შესრულებული ხელნაწერი. მაგალითად, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად.კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის H კოლექციაში 414 ნომრით დაცული ხელნაწერის შიგნით შესრულებულ მინაწერში მოხსენებული არიან კათოლიკოსები ევთიმენი და ექვთიმე მეორე საფუძველიძე, რომლებიც მეჩვიდმეტე საკუნის სამოციან წლებში მოღვაწეობდნენ. ეს მტკიცდება საშუალებას იძლევა ხსენებული ხელნაწერი მეჩვიდმეტე საუკუნის პირველსა და მეორე ნახევრის მიჯნაზე დაწერილად მივიჩნიოთ.

და გავითვალისწინებთ იმ მომენტს, რომ საქართველო წინათ

მრავალგზის ხსრებითია და წაგებულებითია უცხოელ, უმთავრესად ბურჟ-სპარსთა დამპყრობლების მიერ, რომლებიც თავის ბატონობის პერიოდში მახვილით სპობდნენ და ცეცხლის ალში ახვევდნენ ქართველი ხალხის კულტურის რეალურ სულიერ, ისე მატერიალურ ძეგლებს, რომელთა ალში, თავისთავად ცხადია, არა ერთი და ორი ვეტერინარული კარაბადინი დაიფერფლებოდა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მათი, ე.ი. ვეტერინარულ ხელნაწერ კარაბადინთა რიცხვი თავისი ეროვნული ბუნების გამო უფრო მეტი იქნებოდა, ვიდრე დღეისათვისაა შემორჩენილი და დაცული.

ქართულ ვეტერინარულ ხელნაწერთა კუთვნილ ხვედრსაც შეეხება ე. ლორთქიფანიძის სიტყვები, რომელსაც იგი ქართულ ლიტერატურულ ქმნილებათა სავალალო ბედის შესახებ წერილში ეუბნება:

"ჟამთა სიავემ შთანთქა ის კულტურული მემკვიდრეობა, რაც იმ პერიოდში /იგულისხმება XVII - XVIII სს. კ.ხ./ იქმნებოდა საქართველოსა, რუსეთსა და უკრაინაში ქართული მოღვაწეების მიერ. ან რა გასაკვირია, როდესაც დიდგვაროვანი ქართველობა რუსეთში მიემგზავრებოდა, მათ თან მიჰქონდათ ძვირფასი ხელნაწერები... მრავალი ხსნულება დაიღუპა ნებაყოფლობით თუ იძულებით ემიგრანტის ქართველ ემიგრანტებში. მრავალმა უბედურმა შემთხვევამ აოცდაათი-რიოდან არა მარტო ძველი, არამედ ახალი ლიტერატურაც.

ამ მემკვიდრეობას ორგვარი უბედურება ხვდა წილად, საქართველოში დარჩენილი წიგნები და ხელნაწერები ნაგებულებითია ახალი შემოსევებით, ხოლო თან წაღებული იღუპებოდა იმითომაც, რომ წამკითხველთა რიცხვი სულ უფრო და უფრო კლებულობდა რუსეთში. მაგრამ აბა რა დაემართებოდა მათ უცხო ქვეყანაში, როცა ვინმეს გაუგებარ ენაზე დაწერილი წიგნების ნაღლეთები ჩაუვარდებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელში"[1].

გამოვლენილი 47 ხელნაწერ ვეტერინარული კარაბაღინთაგან, 34-ში ძირითადად მოთხრობილია ცხენის მოვლა-მოშენებისა და დაავადებათა მკურნალობის შესახებ[2].

ერთ /S-№ 226/ ხელნაწერში აღწერილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხენის, ცხვარის, ძროხისა და ღორის დაავადებები და მათი სამკურნალოდ საშუალებები. ამავე ხელნაწერში ინდიურის მოვლა-მოშენებისა და მის კვებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხია განხილული, მაგრამ ვინაიდან ხსენებული ხელნაწერი შაგრაფ შატონიშვილის მიერ დაწერილი შრომა "სამკურნალო ცხენთას" ფრაგმენტს წარმოადგენს, ამიტომ იგი ჩვენს მიერ მიკუთვნებული იქნა ცხენის კარაბაღინთა ჯგუფს. ასე ამგვარად, S-№ 226 ხელნაწერის ჩათვლით ცხენის კარაბაღინთა ჯგუფში ჩვენ მიერ სულ განხილული იქნება 35 ხელნაწერი.

ერთი /Q-№ 198/ხელნაწერი "ძაღლის კარაბაღინის" ფრაგმენტია.

1/ ტ რ ო ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ე., ვახტანგ VI და ქართული სტამბის მოღვაწენი, გვ. 22, თბილისი, 1962.

2/ A-№№ 652, 671, 1127, 1229; S-№№ 14, 75, 106, 225, 2401, 3447, 3467, 3728; Q-№№ 281, 311:1, 1135, 1187; H-№№ 352, 414, 956:2, 1255:ბ, 2156, 2212, 3260; №№ 200, 220, 228, 239, 359, 619, 2476, 24/20/; M-№№ 37:1, 37:2 და სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული /უნომრო/ "ცხენის კარაბაღინი".

№ 228 ხელნაწერში, გარდა ცხენის დაავადებებისა, მოთხრობილია მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრის, ძროხისა და ღორის ზოგიერთი დაავადების შესახებ. ამავე ხელნაწერში მოკლედ აღწერილია ინდიურის მოვლა-მოშენებასთან და დაავადებებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი.

შარადაგინი ჩამოთვლილ ხელნაწერთაგან A-№ 671 და S-№2401 სხვადასხვა კოლექციაში და სხვადასხვა ნომრებით არიან დაცული, მაგრამ მოკვლევით ჩვენ მიერ იქნა გარკვეული, რომ ისინი ფაქტიურად ერთი ხელნაწერის სხვადასხვა ნაწილებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრა ხელნაწერი შინაურ ფრინველთა მოვლა-მოშენებისა და მათ მოგვიერთ დაავადებათა წინააღმდეგ რჩევა-დარიგებების შემცველი ტექსტის კარაბაღინებს წარმოადგენს[1/]. და მოღის ორი ხელნაწერი /S-№ 268 და Q-№ 311:2/ ვეტერინარული რეცეპტურის შემცველი კარაბაღინებია.

დღეისათვის შემორჩენილი ყველა 47 ქართული ვეტერინარული ხელნაწერი, მათი სარგებლობით დანიშნულების მიხედვით, უმთავრესად იმ მოხმენის დათვალისწინებით თუ რა სახის ცხოველებს შეეხება მათში აღწერილი მასალა შემდეგ ოთხ ძირითად ჯგუფად დავყავით:

I - ცხენის კარაბაღინები /35 ხელნაწერი/.

II - ძაღლის კარაბაღინი /1 ხელნაწერი/.

III - ფრინველთა კარაბაღინები /9 ხელნაწერი/.

IV - ვეტერინარული რეცეპტურის შემცველი კარაბაღინები /2 ხელნაწერი/.

ხელნაწერთა ძირითად ჯგუფებად დაყოფის შემდეგ მოვახდინეთ მათში დაცული ხელნაწერთა ტექსტის ურთიერთ შეჯერება, რის შედეგად დადგინდა იქნა საკითხი იმის შესახებ, რომ ჩვენს ხელთ არსებულ 47 ხელნაწერში, რაც სხვადასხვა, ტექსტობრივად მეტნაკლებად განსხვავებული, შრომაა წარმოდგენილი.

ხელნაწერებში წარმოდგენილი რაც შრომათაგან ხუთი - მიძღვნილია ცხენის მოვლა-მოშენებისა და მისი დაავადებების

1/ ფრინველთა კარაბაღინებს წარმოდგენს შემდეგი ხელნაწერები: S-№№ 26, 325, 330, 1737; Q-№ 562:2; H-№ 297; №№ 243, 2482, C-№ 16.

მკურნალობისადმი. ხუთივე შრომა წარმოდგენილია ვეტერინარულ ხელნაწერთა I-ლ ძირითად ჯგუფში გაერთიანებულ 35 ხელნაწერში, რის გამოც ხსენებული ჯგუფი ხუთ ქვეჯგუფად დავყავით. /თითოეული ქვეჯგუფში გაერთიანდა ერთი და იგივე შრომის შემცველი ხელნაწერები/; მეექვსე შრომა, მოწვეული ჩვენამდე ფრაგმენტის სახით, მეორე ძირითად ჯგუფში შესულ ერთ ხელნაწერშია წარმოდგენილი და როგორც შრომის შემორჩენილი სარჩევში /"განუკში"/ აღნერილ პარაგრაფთა დასათაურებებიდან ჩანს მასში ძაღლის მოშენების, ნვრთნა-დაგეშვისა და მისი მოგიერთი დაავადების მკურნალობის საკითხები განხილულია; მეშვიდე შრომა, ხელნაწერთა მესამე ძირითად ჯგუფში გაერთიანებულ 9 ხელნაწერშია წარმოდგენილი. იგი შინაურ ფრინველთა მოვლა-მოშენებისა და მათი დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ხერხებისა და საშუალებებისადმია მიძღვნილი; დასასრული, უკანასკნელი მერვე შრომა ვეტერინარულ რეცეპტურას წარმოდგენს. იგი მეოთხე ძირითად ჯგუფში გაერთიანებულ ორ ხელნაწერშია აღნერილი.

გემოხსენებული მასალა, რომელიც შეეხება ვეტერინარულ ხელნაწერთა დაჯგუფებას, ცალკეულ ხელნაწერთა ნომრების ჩვენებით, ჩვენს მიერ გამოსახულია სქემა 3-ში, რომელშიც წარმოდგენილი ძირითადი ჯგუფებისა და ქვეჯგუფების ფარმიმდევრობის დაცვით ქვემოთ ცალ-ცალკე განვიხილავთ ხელნაწერებში აღნერილ თითოეულ შრომას.

სქემა 3

სსრ კავშირის სახელმწიფო მიწისმოსაკვლევი და მაძებრობითი სამსახური
ძველი ასაწყობი ვერანდიანური ხერხემლების /კრანტაფილების/ ძარღვების სქემა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეტერინარული კარანტინის პირველი ხელმძღვანელი

დღემდის შემონახული და ჩვენამდის მოღწეული წერილობითი ვეტერინარული ძეგლების დიდი უმრავლესობა "ცხენის კარაბადინებია".

ცხენი ძველ დროში ისეთ აუცილებელ და შეიძლება ითქვას შეუცვლელ შინაურ ცხოველს წარმოდგენდა, ურომლისოდაც შეუძლებელი იყო როგორც სოფლის მეურნეობის, ისე სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგების წარმოება.

ცხენის რაოდენობრივსა და ხარისხობრივ შემადგენლობაზე, ასევე მის ავკარგიანობაზე დიდად იყო დამოკიდებული ქვეყნის როგორც ეკონომიური, ისე სამხედრო ძლიერება. სწორედ ამიტ უნდა იყოს გაპირობებული ის ფაქტი, რომ სახელმწიფო წიგნსაცავებში, მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში დაცულ და გამოქვეყნილ 47 ეგზემპლარ ქართულ ვეტერინარულ ხელნაწერთაგან, ცხენის მოვლა-მოშენებისა და დაავადებათა მკურნალობის შესახებ მოთხრობილია 35 ხელნაწერ კარაბადინში[1].

ცხენის კარაბადინები გვხვდებიან როგორც დამოუკიდებელი წიგნების სახით, ისე სხვა ხასიათის /ლიტერატურული, ტექნიკური, რელიგიური და სხვ./ ხელნაწერი წიგნების ცალკე თავებში მოთავსებული.

ხელნაწერებში, რომლებიც ცხენის სამკურნალოებს წარმოადგენს და დამოუკიდებელ /ცალკე/ წიგნების ან ფრაგმენტების სა-

---

1/ A-№№ 652,671,1127,1229. S-№№ 14,75,106,225, 226,2401,3447,3467,3728. Q-№№ 281, 311:1, 1135,1187. H-№№ 352,414, 956:2, 1255:6, 2156,2212,3260. №№ 200,220, 228,239,359,619,2476. M-№№ 37:1, 37:2. № 24/20/ და უნიშნო /სიონაული/.

ხიდია დაწერილი, სულ 24 ეგზემპლარია დაცული.

ცხენის კარაბაღინია ამ სახის ხელნაწერთაგან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება 12[1], ქ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში 3[2], საქართველოს სსრ სახელმწიფო ცენტრალურ ისტორიულ არქივში 2[3], კ. მარქსის სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში 2[4], საჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში 2[5], ტბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში 1[6], თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში 1[7] და სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში 1[8] ეგზემპლარი.

გარდა მოხსენებულ დამოუკიდებელ წიგნებად არსებული 24 ეგზემპლარ ცხენთა სამკურნალოდ გამოყენებული ხელნაწერებისა, თერთმეტ შემთხვევაში ერთ ხელნაწერ წიგნშია აღწერილი როგორც ცხენის, ისე ფრინველთა დაავადებები და მკურნალობა, ან სამედიცინო, მხატვრული, რელიგიური, ტექნიკური და სხვა ხასიათის ლიტერატურა. მაგალითად, Q-№ 281 და 1187, აგრეთვე S-№ 14 ხელნაწერებში წარმოდგენილია როგორც ადამიანის, ისე ცხენის კარაბაღინები და ამისთვის შესაბამისად წოდებულნი არიან "ადამიანისა და ცხენის კარაბაღინებად". Q-№ 311 ხელნაწერის I ნაწილი "სამკურნალო ცხენთას", ხოლო II - ვეტერინარული რე-

---

1/ A-№№ 652, 671, 1229. S-№№ 225, 2401, 3467. Q-№ 1135. H-№№ 352, 1255:8, 2156, 2212, 3260.
2/ №№ 200, 220, 239.
3/ №№ 359, 619.
4/ S-№№ 75, 106.
5/ M-№№ 37:1, 37:2.
6/ S-№ 3447. იგივე /F 140/
7/ № 2476.
8/ უნომრო /სიღნაღი/.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეპტურას წარმოადგენს. S-№ 3728 და № 24/20/ ხელნაწერებში, სამ სხვადასხვა ხასიათის ნაწარმოებთა /მათ შორის "ცხენის კარაბადინის"/ შემცველ "კრებულებს" წარმოადგენს. ცარცა მოხსენებულისა ცხენის კარაბადინთა ამ კატეგორია მიეკუთვნება A-№ 1127, S-№ 226, H-№№ 414, 956:2 და № 228 ხელნაწერები.

აქვე აღვნიშნავთ, რომ იმ 24 ხელნაწერთაგან, რომლებშიც მხოლოდ ცხენის მოვლა-მოშენებისა და დაავადებების საკითხებია აღწერილი, კარგად შემონახული და უნაკლოა 12 ხელნაწერი[1], დანარჩენ თორმეტთაგან კი ოცდაერთი ნაკლებ /მაგ., A-№ 652/, ოცდაერთი კი იმდენად ნაკლული და დაზიანებულია /A-№ 671, S-№№ 75, 2401 და სხვა/, რომ ვეტერინარიის წარსულის შესწავლის ობიექტად თითქმის არ გამოდგებიან[2].

ხელნაწერ ცხენის კარაბადინთა ერთიდაიგივეობის /ანალიზურების/ საკითხები. ცხენის სამკურნალო ცანკუთვნილი ყველა ზემოთ მოხსენებული 35 ხელნაწერში აღწერილი მასალის შინაარსის გაცნობისა და მათი ტექსტობრივი შეჯერების შედეგად დადგინდა, რომ ისინი ხუთ სხვადასხვა ვეტერინარულ შრომათა, მცირედ ან საკმაოდ განსხვავებულ ნუსხებს /ვარიანტებს/ წარმოადგენს.

მოხსენებული 35 ხელნაწერთაგან 20-ში წარმოდგენილია "ცხენის კარაბადინი", რომელიც სპარსულ ენაზე არსებული ვეტე-

---

1/ S-№№ 106, 3447, 3467. Q-№ 1135. H-№№ 2156, 2212, 3260. M-№№ 37:1, 37:2. №№ 200, 220, 239.

2/ A-№№ 652, 671, 1229. S-№№ 75, 225, 2401. H-№№ 352, 1255:ბ. №№ 359, 619, 2476. უნიშნო /სიღნაღი/.

რიწარული შრომის ქართულად დარგმნა-შეკრების შეიქმნა დაწერილია /1703-11 წწ./ ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის მიერ[1]. 5 - მღვდელ ბაგრატ ბაგრატიონის მიერ 1816-18 წწ. დაწერილი შრომის "სამკურნალო ცხენთას" ეკუთვნის[2]. 7 - იოანე იესეძის მიერ 1788 წ. გადმოღებული-შეკრებილი შრომის "ცხენის კარაბადინის" ტექსტს შეიცავს[3]. 2-ში წარმოდგენილია 29 /30/ პარაგრაფისაგან შემდგარი შრომის "ცხენის კარაბადინის" ტექსტი[4] და ბოლოს 1-ში - ხუცური ასოებით დაწერილი "ცხენის კარაბადინი"[5].

ჩამოთვლილი, ცხენის სამკურნალო ლიტერატურიდან, ხუთ ნაშრომიდან, უმთავრესად პირველი სამის, ე.ი. ვახტანგ VI-ის მიერ სპარსულიდან ქართულად დარგმნილ-შეკრებილი "ცხენის კარაბადინის", ბაგრატ ბაგრატიონის შრომა "სამკურნალო ცხენთას" და იოანე იესეძის მიერ გადმოღებული-შეკრებილი "ცხენის კარაბადინის" გადაწერა-გამრავლების შედეგად ცხენის კარაბადინმა რიცხვმა 35-ს მიაღწია.

ხსენებულ შრომებს იწერდნენ როგორც მათი ავტორები, შრომაში რაიმე ცვლილებების ან დამატებების შეტანის, მეგობარ კი

1/ ვახტანგ VI-ის შრომა "ცხენის კარაბადინის" წუსხებია: A-№ 671, 1127, 1229. S-№ 14, 75, 225, 3447, 2401. Q-№ 281, 1187. H-№ 956:2, 1255:ბ, 2212, 3260. №№ 200, 239, 359, 619, 2476 და უნომრო /სიღნაღი/.

2/ ბაგრატ ბაგრატიონის "სამკურნალო ცხენთას" წუსხებია: S-№226 /ფრაგმენტი/, Q-№ 311:1, H-№ 352 /ფრაგმენტი/, M-№ 37:2 და № 228 ხელნაწერები.

3/ იოანე იესეძის შრომა "ცხენის კარაბადინის" წუსხებია: A-№ 652, S-№ 106, 3467. Q-№ 1135, H-№ 2156, M-№ 37:1 და № 200 ხელნაწერები.

4/ S-№ 3728 და № 24/20/.

5/ H-№ 414.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაჩუქრებისა და სხვა მიზნით, ისე ვეტერინარიით დაინტერესებული პირები. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელნი ხელნაწერებს ბოგიერთ შემთხვევაში იწერენენ მთლიანად და შეუცვლელად, ბოგჯერ კი მათგან მერჩევით იწერენენ იმ თავებს, რომლებსაც ისინი პრქტიკული გამოყენებისათვის უფრო საჭიროდ მიიჩნევენენ. ამ გარემოების გამო უნდა იყოს, რომ ერთი და იგივე შრომის სხვადასხვა ნუსხები პარაგრაფთა განსხვავებულ რაოდენობას შეიცავს და მათი ტექსტი ბოგჯერ სიტყვა-სიტყვით, ხოლო ბოგჯერ მეტ-ნაკლებად ემთხვევა ერთმანეთს.

წამოჭრილი საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა აღინიშნოს, რომ შაგრაგ შაგრაგიონის შრომა "საბჯურნაღო ცხენთას" ხუთ ეგზემპლარიდან - სამი ავტორის /შაგრაგ შაგრაგიონის/ ავტოგრაფიულ ნაშრომს წარმოადგენს.

ყველა 35 ეგზემპლარი ხელნაწერი კარაბადინი, რომლებიც ცხენის საბჯურნაღოდაა განკუთვნილი, ბოგორც ამის შესახებ ზემოთაა მოხსენებული, ხუთი სხვადასხვა შრომის ნუსხებს წარმოადგენს. ამ მოძღვრების გათვალისწინებით ხელნაწერთა ეს ძირითადი ჯგუფი - ცხენის კარაბადინები - 5 ქვეჯგუფად დავყავით. თითოეულ ქვეჯგუფში, მათი დაწერის ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით, განვიხილავთ ცალკეულ შრომას და მის ნუსხებს.

<u>ცხენის კარაბადინთა პირველი ქვეჯგუფი:</u> "ცხენის კარაბადინი", რომელიც H-ს 414 ხელნაწერი კრებულის 91 ბ - 94 ა ფურცლებს მოიცავს, მასში წარმოდგენილი შრომის ხასიათით, ძირითადად განსხვავდება ყველა დანარჩენ ხელნაწერებში აღწერილი მასალისაგან და შეიარებით - ქრონოლოგიურად ყველაზე ადრე დაწერილ ნაშრომს წარმოადგენს, ამიტომ იგი ცალკე გამოვყავით

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ცხენის კარაბაღინთა I ჯგუფს მივაკუთვნეთ.

ხელნაწერში "ცხენის კარაბაღინი", ისევე როგორც კრებულის დანარჩენი ნაწილი, რომელიც მოიცავს ცნობებს ადამიანის მკურნალობის შესახებ, დაწერილია ხუცური /წუხსური/ ალფაბეტით. მისი დაწერის თარიღად ე. ქუთათელაძისა და ნ. კასრაძის მიერ XVI-XVII საუკუნეებია მიჩნეული[1].

მასში წარმოდგენილი მასალის გაცნობის შეღეგად ირკვევა, რომ წარსულში ქართულ ხალხურ ვეტერინარიაში სხვადასხვა დაავადების შემთხვევებში ხშირად გამოიყენებოდა გახურებული შანთით ცხენის დადაღვა. ანასთან იმისდა მიხედვით, თუ რა დაავადებასთან ჰქონდათ საქმე, სხეულის სხვადასხვა ნაწილზე გარკვეული ფორმისა და მოცულობის დაღს ასვამდნენ. მაგ.: ერთ-ერთი დაავადების შესახებ, რომელსაც ძველად "ჩხვერას" უწოდებდნენ, ეკ[ვ]ხურობით:

"თუ ცხენს ჩხვერა წაეკიდოს და ჭიპი უსივდეს, იქით აქეთ დახი /დაღი კ.ხ./ დაადგე, რომ ჭიპი შუაზე დარჩეს ასრე ⊡, მერმე მარცხენისა ცხვირისა ახეური რომელი არის, ორი შანთი გაადგე ასრე // ".

"თუ ცხენსა ყელი გაუბერდეს და თავსა ადმა ვეღარ აიღებდეს, იქით-აქეთ ფაფრის ძირებიდა გაწით ჩამოადგე ასრე ⊟, მერმე სამჯერ ახალი ცხვრის ფლავი დასდე მხარზედა..." და სხვ.

გარდა მოხსენებულისა, რომელიც ირკვევა, ცხენის რიგ დაავადებათა შემთხვევაში, სამკურნალო მიზნით საშუალებათა გამოყენებასთან ერთად, მიმართავდნენ სისხლის გამოშვებას.

1/ იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ხელნაწერთა აღწერილობა, /ჰ კოლექცია/, ტ.I, გვ. 309, თბილისი, 1946.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა მოხსენებულისა, ხელნაწერში მოცემულია მოკლე ცნობები და დარიგებანი, თუ რა საშუალებები უნდა იქნას გამოყენებული ცხენის შარდის შეკავების /შეხუთვის/, ყაბზობის, ჭირკნელების, თვალის, საჭმლის მომწყალებელი სისტემისა და ხველა ორგანოთა მოკლერთი დაავადებების შემთხვევებში.

<u>ცხენის კარაბაღინთა მეორე ქვეყანუჲ</u>. ცხენის კარაბაღინთა მეორე ქვეყანუჲში გავაერთიანეთ ცხენის სამკურნალოდ განკუთვნილი ის ხელნაწერები, რომლებიც ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის მიერ სპარსულ ენაზე არსებული ვეტერინარული შრომის ქართულად თარგმნა-შეკრების შედეგად დაწერილი "ცხენის კარაბაღინის" ნუსხებს წარმოადგენენ[1].

შრომა რომ სპარსულ ენაზე არსებული წიგნიდან ქართულად ვახტანგ VI-ის მიერ არის თარგმნილ-შეკრებილი, ამის შესახებ ნაწილად მეფეყველებს მოცემულ ქვეყანუჲში გაერთიანებული იმ ხელნაწერთა ანდერძი, რომელთაც ასეთი შემორჩენილი აქვთ.

"წიგნი ესე იყო პირველ ჩუნული სპარსთა და არაბთა შინა და უფრისად ქვეყანასა ამას შინა კეთარისასა, რომელსა უწოდიან ქართულად. გამოცხადენა თარგმანებითა და შეკრიბნა ერთად ჩ̄ითა დიდებულთან ძეთან მეფეთამან თჳთ განმგებელთან ბატონთან ვახტანგ"[2].

1/ A-№ 671, 1127, 1229. S-№ 14, 75, 225, 2401, 3447. Q-№ 281, 1187. H-№ 956:2, 1255:ბ, 2212, 3260. №№ 220, 239, 359, 619, 2476 და სიონაულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული /უნომრო/ ხელნაწერი "ცხენის კარაბაღინი".

2/ ხელნაწერი № 239, 1v .

ასეთივე შინაარსის მქონე ანდერძი დართული აქვს S-№ 14 /IV/ და Q-№ 281 /291ზ/ ხელნაწერებს, ხოლო სიონაულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულ ხელნაწერს "ცხენის კარაბაიდნს კი ანდერძი მაუწყებული იმისა, რომ მისი ტექსტი სპარსული ენიდან ქართულად ნამდევილად ვახტანგ VI-ის მიერ არის თარგმნილ-შეკრებილი, დამოწმებულია ლექსში:

"ესპყარ კაცამი, ესრომე, ვეფრე ჯელმარჯვე წერასა,
ცხენია ბედაური კურნებას, ვეწყ კვიცების მწერასა,
სპარსთა ენიდგან თარგმნულსა, წუწსა დასდებენ ვერასა,
მეფის ვახტანგის წათარგმნი მარხენია, ეჰყოფი მღერასა"1/
.....

აქვე შევნიშნავთ, რომ ხსენებული ხელნაწერის გადამწერი საკმაოდ ცნობილი ისტორიული მწიგნობარი უნდა ყოფილიყო, რომელსაც გარდა "ცხენის კარაბაიდნისა", "მრავალნი" სხვა "წიგნნი" ჰქონია "დანაწერები".

..."სხუანიცა წიგნნი მრავალნი არს ჩემგან თხზულ-დანაწერები,
საიაც იხილოთ ნაღვაწნი და შრომა ჩემ მიერები,2/...

Q-№ 281 ხელნაწერის 291ზ ფურცელზე დართული ანდერძის შინაარსი იმაზე მეტყველებს, რომ ხელნაწერის ტექსტი სპარსული ენიდან ქართულად თარგმნილ-შეკრებილია ვახტანგ VI-ის მიერ. ფაქტს, რომ მისი ტექსტი ნამდევილად ვახტანგ VI-ის მიერ არის სპარსულიდან ქართულად თარგმნილ-შეკრებილი ადასტურებს Q კო-

---

1/ სიონაულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული /უნომრო/ ხელნაწერი, 1ზ.

2/ იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექციაში დაცულ ხელნაწერად /ტ.I/ № 281 ხელნაწერის აღმწერ ქრ. შარაშიძის მიერ ჩ 3-ის დართული "შენიშვნა: 1. კარაბადინი ვახტანგ VI მიერ არის თარგმნილი და შეკრებილი"... მაგრამ ამ შენიშვნაში გამოთქმულ მართებულ მოსაზრებას იგი უარყოფს S კოლექციაში დაცულ ხელნაწერად აღწერილობის /ტ.I/ № 225 ხელნაწერ "ცხენის კარაბადინის" აღწერისას - შენიშვნაში, სადაც მიუთითებს: "არ არის სწორი Q -№ 281 ხელნაწერის ჩ 3-ის აღწერილობისადმი დართული შენიშვნა, თითქოს "ცხენის კარაბადინის" ეს ტექსტი ვახტანგ VI მიერ იყოს თარგმნილი და შეკრებილი". სამაგიეროდ Q -№ 281 და S -№ 225 ხელნაწერად ტექსტს მაინ აღწერი ქრ. შარაშიძე იოანე ოსეძეს და ტერ-პეტროსის მიერ სომხურიდან ქართულად ნათარგმნ "ცხენის კარაბადინის" ტექსტს აკუთვნებს. იგივე უნდა ითქვას A-კოლექციაში 1127 ნომრით დაცულ ხელნაწერ "სამკურნალო ცხენთას" შესახებ. სწორი არ არის ქრ. შარაშიძის განმარტება თითქოს "სამკურნალო ცხენთა" /ლაპარაკია A -№ 1127 ხელნაწერის შესახებ კ.ჯ./ ერეკლე მეორის ძის /შემდგომ გიორგი XII/ ბრძანებით სომხურიდან თარგმნილ ტექსტს წარმოადგენს"[1].

სინამდვილეში A -№ 1127 ხელნაწერი, როგორც ეს ჩვენ მიერ ხელნაწერთა ურთიერთ შეჯერების შედეგად იქნა გარკვეული, ვახტანგ VI-ის მიერ სპარსულიდან ქართულად თარგმნილ-შეკრებილი "ცხენის კარაბადინის" ტექსტს წარმოადგენს.

ჩვენი აზრით პატ. ქრ. შარაშიძე Q -№ 281, A -№ 1127

1/ იხ. ხელნაწერთა აღწერილობა /A კოლექცია/, ტ. IV, გვ. 148, თბილისი, 1954.

და S -ში 225 ხელნაწერებში წარმოდგენილი ტექსტის გარკვევის საკითხში უშველებს უნებლიე შეცდომას, როცა ხსენებული ხელნაწერ-და ტექსტს - იოანე ოსესძისა და ტერ-პეტროსის მიერ სომხური-დან ქართულად ნათარგმნ "ცხენის კარაბაღინის" ტექსტად მიიჩ-ნევს.

საქმე იმაშია, რომ იოანე ოსესძის "ცხენის კარაბაღინი" წარმოადგენს კომპილაციას, რომლის დასაწერად სხვებთან ერთად, ერთ-ერთ წყაროდ ვახტანგ VI-ის მიერ სპარსულიდან ქართულად თარგმნილ-შეკრებილი "ცხენის კარაბაღინის" ტექსტიც არის გამო-ყენებული. მოხსენებულის გამო, როგორც ვახტანგ VI-ის, ისე იოანე ოსესძის შრომის 58 პარაგრაფში საუსებით იდენტური ტექ-სტია წარმოდგენილი, რამაც ჩვენის აზრით გაანაპირობა ზემოხსე-ნებული შეცდომის დაშვება.

მოცემულ ქვეყგუფში გაერთიანებულ 20 ხელნაწერთაგან მხო-ლოდ 4 ხელნაწერს /S -ში 14, G -ში 281, H 239 და სიონაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულ "ცხენის კარაბაღინს"/ აქვს დართული ანდერძი, რომელთა შინაარსი უფლებას გვაძლევს მათი ტექსტის სპარსულიდან ქართულად მთარგმნელ-შემკრებლად ქართლის მეფე ვახტანგ VI მივიჩნიოთ. რაც შეეხება დანარჩენ 16 ხელნა-წერს, მათ ანდერძის სახით წამძღვარებული არ აქვთ არაფერი.

საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ არ გააჩნიათ მოხსენე-ბულ 16 ხელნაწერს ანდერძი, მაშინ როდესაც ისინი ნამდვილად ვახტანგ VI-ის მიერ თარგმნილ შეკრებილი ვეტერინარული შრომის "ცხენის კარაბაღინის" წუსხებს წარმოადგენენ, შეიძლება აიხს-ნას შემდეგით:

1. ამ კატეგორიის, ე.ი. ანდერძის არმქონე ხელნაწერთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი ნაწილი, ნაკლული და დაზიანებულია, რის გამოც მათ, ალბათ ანდერძი ალარ შემორჩათ.

2. რაც შეეხება იმ ხელნაწერებს, რომლებიც დაზიანებას გადარჩენია და უნაკლულონი არიან, მაგრამ მაინც არ გააჩნიათ ანდერძი, მათ შესახებ უშვებთ მოსაზრებას, რომ ისინი ვეტერინარიით დაინტერესებულ სხვადასხვა პირთა მიერ დეით იქნენ გადაწერილი ისეთ ხელნაწერთაგან /დედანთაგან/, რომელთაც დაზიანების გამო არ გააჩნდათ შესაფერისი ანდერძი.

იმის გასარკვევად თუ ვისი ბრძის ტექსტს წარმოადგენდა დაზიანებული, აგრეთვე დაუზიანებელი და ფრაგმენტების სახით წარმოდგენილი ცხენთა სამკურნალო ხელნაწერები, რომელთაც ანდერძი არ გააჩნიათ, რიგორც ამის შესახებ ზემოთაც გვაქვს მოხსენებული, ჩვენ მოვახდინეთ მათი ტექსტოლოგიური შეჯერება. ტექსტოლოგიური შეჯერების შედეგებმა ცხადყო, რომ ჩვენ მიერ მოცემულ ქვეჯგუფში გაერთიანებული ხელნაწერთა ტექსტი /მცირე სტილისტური და ტექსტოლოგიური განსხვავებების გამონაკლისის ჩათვლით, რაც, ალბათ, მათ გადაწერთ უნდა მივაწეროთ/ გუსტად ემთხვევა S-N 14 ხელნაწერ "ცხენის კარაბადინის" ტექსტს. S-N 14 ხელნაწერში წარმოდგენილი ტექსტის თარგმნა-შეკრება კი, რიგორც ამას მისი აღმწერი ე. ქუთათელაძე მიიჩნევს, ეახტანგ მეექვსეს მიეკუთვნება.

ყოველივე ზემოთ მოყვანილი მსჯელობა-მოსაზრებები და მოცემულ ქვეჯგუფში გაერთიანებული ხელნაწერ "ცხენის კარაბადინთა" ტექსტოლოგიური შეჯერების შედეგი /ტექსტთა იგივეობა/, უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქვეჯგუფში გაერთიანებული ყველა 20 ხელნაწერი ნამდვილად ერთი ვეტერინარული ბრძა

ეროვნული ბიბლიოთეკა

"ცხენის კარაბაღინის"წესხებს წარმოადგენს, ხოლო მისი ტექსტი სპარსულ ენიდან ქართულად ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის მიერ არის დარგმნილ-შეკრებილი.

დასკვნას იმის შესახებ, რომ ხსენებული ვეტერინარული ნაშრომი - "ცხენის კარაბაღინის" ტექსტი ნამდვილად ვახტანგ VI-ის მიერ არის დარგმნილ-შეკრებილი, კიდევ უფრო განამტკიცებს და ეჭვმიუტანელს გახდის, თუ გავიხსენებთ, რომ ვახტანგ VI-ეს, კულტურისა და მეცნიერების სხვა დარგებთან ერთად, დიდი, დამსახურებული და ნაყოფიერი შრომა აქვს გაწეული სამკურნალო დარგის განვითარება-პოპულარიზაციისა და მისი წერილობითი ძეგლების გადაწერა, განახლება-აღდგენის საქმეში. მაგალითად, ცნობილია, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში /ე.წ. კოლექცია/ 877 ნომრით დაცული, გაგა ფანასკერტელ-ციციშვილის მიერ შეკრებილი "სამკურნალო წიგნი" ვახტანგ VI-ის მიერ, ხსენებული ხელნაწერის აღსადგენად ჩატარებული სამუშაოს შედეგად, განადგურებას იქნა გადარჩენილი.

მოხსენებულის გამო უდავოდ მივიჩნევთ, რომ სამედიცინო დარგის პარარელურად, სამშობლოს კეთილდღეობისათვის დავალებული, მეცნიერების სულ სხვადასხვა დარგში მოღვაწე ვახტანგ VI თავის მგზნებარეობას არ დააკლებდა ვეტერინარული დარგის პოპულარიზაციისა და მისი წერილობითი ძეგლების დარგმნა-შეკრების საქმეს. ეს მით უმეტეს დასაჯერებელია, რომ ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის პერიოდში ქართველი ხალხის ერთ-ერთ მთავარ საგრუნავს უცხო დამპყრობელთაგან თავდაცვა წარმოადგენდა, ცხენი კი, როგორც ცნობილია, ძველად ქვეყნის საბრძოლო ძალების

მიაყარ განმსაგზავნელ ფაქტორს წარმოაგენდა.

მართალია, ცხენის კარაბაინთა მეორე ქვეჯგუფში გაერთიანებული ყველა ხელნაწერი ერთი შრომის წუსხებს წარმოადგენს, მაგრამ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მათ სარჩევში - "განყოფილებში" აღწერილი პარაგრაფთა /"კართა"/ რაოდენობა ერთი და იგივე არ არის. მაგალითად, H -№ 2212 და G -№ 281 ხელნაწერებში ერთი და იგივე შინაარსის შემცველია და მათი ტექსტი /მცირე გამონაკლისის გარდა/ წუსტად და სიტყვა-სიტყვით ემთხვევა ერთმანეთს, მიუხედავად ამისა, H -№ 2212 ხელნაწერის სარჩევსაძიებელში აღწერილია მხოლოდ 77 პარაგრაფის დასათაურება, ხოლო G -№ 281 ხელნაწერისაში კი 114.

ერთი შრომის შემცველ სხვადასხვა წუსხათა საძიებელში აღწერილ პარაგრაფთა რიცხვობრივი სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ H -№ 2212 ხელნაწერის ერთ პარაგრაფში - "კარი კვიცის ცნობისა, ფერისა, გვარისა, ნიშნებისა და ასოებისაში" აღწერილი ტექსტი, G -№ 281 ხელნაწერის შემდეგ 13 პარაგრაფშია წარმოდგენილი: "კარი კვიცის ცნობისა ფერისა გვარისა", "კარი ცნობა კვიცისა უთქვამთ მეცნიერთა მკედართა", "კარი მეორე თავი მეშაირული" /უნდა იყოს შეერაური კ.ხ./, "კარი - მესამე თავი მეშაირული" /უნდა იყოს შეერაური/, "კარი ცხენი რომ თქმულა ორგვარი არის", "კარი - ჯიღს ესე სჭირს", "კარი მეშაირული კვიცი /უნდა იყოს შეერაური კვიცი კ.ხ./ თუ ცხენი", "კარი - კიდევ ასე თქმულა კბილები ახლო ახლო", "კარი - ერთი რიგი ცნობა კვიცისა", "კარი - კიდევ ასე იციან მინდაოდან საკუთემდინ", "კარი - კიდევ ასე იციან ორივე წინა ქაჩაჩებში", "კარი - როგორ კვიცში ესეები იცნა", "კარი თუ კისრის სიგძეს მეცხა სწამობდე".

აღნიშნული ფაქტის მოტანა ჩვენ საჭირო მივიჩნიეთ იმიტომ, რომ მოხსენებული ხელნაწერებიდან დაინტერესებული პირები და ხელნაწერთა ტექსტებს წინასწარ არ შეაფარებენ, შეიძლება შეცდომაში შევიდნენ, და თუ მარტო "ბანდუკში" აღწერილ პარაგრაფთა რიცხვობრივი რაოდენობას მიაქცევენ ყურადღებას, ხელნაწერებს სხვაგასხვა ვეტერინარული შრომებად მიიჩნევენ.

ვახტანგ VI-ის მიერ სპარსულიდან ქართულად თარგმნილ-შეკრებილი ვეტერინარული შრომის - "ცხენის კარაბადინის" სრული ტექსტი 114 პარაგრაფისაგან /"კარისაგან"/ შედგება. მასში განხილულია როგორც თეორიული, ისე ვეტერინარული საკითხები. თეორიული საკითხები გაშუქებულია ხელნაწერის პირველ 43 პარაგრაფში, ხოლო დანარჩენ 71-ში წარმოდგენილია ვეტერინარული საკითხები.

ცხენის კარაბადინთა მეორე ქვეჯგუფში გაერთიანებული ხელნაწერებში აღწერილი შრომაზე უკეთ წარმოდგენისათვის ქვემოთ უკეთესია მოვიტანოთ ყველაზე სრულყოფილი /ე.ი. დაუზიანებელ და უნაკლულო/ ხელნაწერის სარჩევს - "ბანდუკს" Q-№ 281 "ცხენის კარაბადინის" მიხედვით.

"ცხენის კარაბადინის სარჩევი არის

ა. კარი ცხენის ჯიგის შესწორისა.
ბ. კარი პირველი ახიღის გარეგნისა.
გ. კარი ჯიგი ნაბირისაგან ცხენის დაღერღისა.
დ. კარი კვიცის ცნობისა ფერისა ჯვარისა.
ე. კარი ცნობა კვიცისა უფლებამდე მეცნიერთა მკვიდრთა.
ვ. კარი მეორე ბავი მებადური.
ზ. კარი მესამე ბავი მებადური.
თ. კარი ცხენი რომ ფლობდა ორგვარი არის.
ი. კარი ჯიღს ესე სჭირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. კარი მეშაბური კვიცი და ცხენი.
ია. კარი კიდევ ეს ქმნულა კბილებში ახლო ახლო.
იბ. კარი ერთი რიგი ცხოშა კვიცისა.
იგ. კარი კიდევ ასე იციან მინდიოდამ საკუთმრინ.
იდ. კარი კიდევ ასე იციან ორივე წინა ქაჩაჩები.
იე. კარი როგორც კვიცში ესეები იცნა.
ივ. კარი და კისრის სიგრძეს მეცსა სწამობდე.
იზ. კარი კვიცის დახეხნისა და მხეხროშისა.
ით. კარი იელ ყაფინისა.
ით. კარი ჩაიუყისა რომ ჩაიყოშა ამასა ჰქვიან.
ე. კარი და გამგიდევარისა.
ეა. კარი ცალ საღავისა.
ებ. კარი ქალაგოშისა.
ეგ. კარი.ფრთხილის დამრთებისა.
ედ. კარი მხეხრის ხელის საქციელისა.
ეე. კარი ხუთის წლის ცხენის გაჭენებისა.
ევ. კარი ცხენის ვაკეცეე სიარულისა.
ეზ. კარი ცხენი ხუთის წლისა რომ შეიქნას უკუღმა სიარული.
ეთ. კარი ლაგმის პირის საშუქისა და მძიმისა.
ეი. კარი ცხენის დალაგმაცე უარშიოშისა.
10. ფეხის ძარღვ გაიხსნება სიმსივნისათვს და შიგნით ჭრილობისათვს, ნაკრდობისა და დაჟეჟილისათვს და დაკორებისათვს სისხლისა.

11. იღლი/ი/ს ძარღვ წინა ფეხისა გაიხსნება მძიმის ამოწუნისათვს და მკერდის ჭკივილისა და სიმსივნისათვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. ენის ძარღვ გაიხსნება ენის ტკივილისა და ენის გასიებისათვს და თავ-პირის გასიებისათვს.

13. ცხვრის ძარღ გაიხსნება ფეალში ფეხის ღიპრის გარეკერისათვს და სიბრმავისათვს და თავბრუს სხმისათვს. ესენი არიან ძარღენი, სადაცა გამოეცვება ცხენთა სნეულთა სისხლი. ხოლო სხვათა ცხოველთა, ესე იგი ხართა და ძროხათაცა არგებს ამ ძარღუთა სისხლის გამოშვება, რომელიცა სენი მათი აღწერილ არს მათ კარაბადინთა შინა".

ავტორის - ბაგრატის მიერვე შესრულებულია მინაწერები: "ფეალის წამალი, რომელსაც შინდი გადაეკვრის კაცთა ანუ პირუტყვთა.

მოიღე თაგმარილა და ბურნუთი ერთნაწილში არეული, დანაყე წმიდად და გასცერი ორი წილი ბურნუთი და ერთი წილი თაგმარილა. ესენი მასრით ფეალში შეადარე და მაშინვე მოარჩენს და მცირედრე შეაწუხებს, მაგრამ ნუ იშიშევი.

შაღრის ამოყვანის წამალი: ჭიყვავის ქონი გა/ა/ნეთ და თავზე წაისვით. შანარს ამოიყვანს. ეკრეთვე ფეჭის ქონიც გა-/ა/ნეთ და წაისვით ამოიყვანს შანარს. ეკრეთვე ბრიჭის წვენიც კარგი არის, რომ იშანოთ ამოიყვანს შანარს.

ჭინჭრის ფოთოლი და ვარდის ყვავილი გაახმეთ, შეინახეთ, ვისაც ხველა აუტყდეს ეს სამი ჩაისავით გაუკეთე, და/ა/ლევიეთ, უთუოდ ხველას გარდაუცდებს".

მოქანილი მინაწერის შემდეგ სხვა ხელით /ალბათ, აქიმის მიერ/ მინერილია:

"ვიყვენით დიდსა ქალ/აქ/სა შინა პეტერბურხს, სარდალი ციხის თავი ქეშიკთ უხუცესი აქიმეთი დავით".

ხელნაწერი H-№ 352 - ძალზე დაზიანებული და ნაკლოვანია. ყდრ, შეიცავს თავი მეხენით, მხედრული ასოთმეტით დაწერილ 21,8 X 17,6 სმ ზომის 9 ქაღალდ-ფურცელს. ამათგან 3 v და 4 r გვერდები დაუწერელია.

ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს ბაგრატ ბატონიშვილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრონა "სამკურნალო ცხენთას" შემცველი რომელიმე ხელნაწერიდან არც თუ ისე განსხვავებული პირონების მიერ.

ხელნაწერის იმ 9 ფურცელზე, რომლებიც დაზიანებას განიცდის, წარმოდგენილია ცხენის ის 8 დაავადება, რომლებიც მაგრად მაგრაციონის წინამდებარე ხელნაწერებშია განხილული.

სრულად მოგვყავს მასში აღწერილ პარაგრაფთა დასათაურებანი:

"გაციებისათვს ანუ სურდოსათვს", "წყლისა და გმირებისათვს ცხენისა", "მუცლის ტკივილისათვს ცხენისა", "ჭლეისათვს ცხენისა", "ქუბისათვს ანუ ნაფაგისათვს ცხენისა", "ყელის ტკივილისათვს ანუ ყელის სიმსივნისათვს ცხენისა", "თვალის ტკივილისათვს ცხენისა", "ჭიისათვს ცხენს რომ ჭია სჭირდეს".

ხელნაწერი S-№ 226 - წარმოადგენს მაგრად მაგონიშვილის მიერ დაწერილი ბრონა "სამკურნალო ცხენთას" ფრაგმენტს და შეიცავს № 228 ხელნაწერის ბოლოში აღწერილ ტექსტს, რომელშიც განხილულია: ძროხეულის, ცხვრის, ფხის, ღორის გოგირდი დაავადება და ინდოურისა და ფარშევანგის მოვლა-მოშენებასთან დაკავშირებული გოგირდი საკითხი. ხელნაწერს ეწოდება "სამკურნალო ნამაღნი პირუტყოთათვის" და 226 ნომრით დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის S კოლექციაში.

ხელნაწერის ტექსტი იწყება ყოველგვარი წინასიტყვაობისა და შესავალის გარეშე.

ეინაიდან მასში აღწერილ პარაგრაფთა ნუმერაცია "/1. ა/"-ით იწყება, ამითომ შეიძლება ტექსტი უნაკლოდ ან, ყოველ შემთხვევაში, ძალზე მცირე ნაკლულად მივიჩნიოთ, მაგრამ როგორც ეს განსახილველ ხელნაწერისა და № 228 ხელნაწერის ტექსტთა შემდგომი ურთიერთ შეჯერების შედეგად ჩუსტად იქნა გარკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეული, იგი მაგრამ მაგონიშვილის № 228 ხელნაწერში წარმოდგენილი ვეტერინარული შრომის მიღო თავებში აღწერილ მასალას შეიცავს.

ქვემოთ უცვლელად მოგვყავს იმ პარაგრაფთა დასათაურებები, რომლებიც განხილულია № 226 ხელნაწერში.

"/1. ა/ სისხლის აღელვებისათვს ძრახისა",
"/2. ბ/ ძუძუს გასიებისათვს მწველის ძრახისა",
"/3. გ/ სისხლზედ რომ შარდაველეს",
"/დ/ რძის გაბრუნებისათვის",
"/ე/ ძრახის ციებისათვის",
"/ვ/ ხბოს რომ მუცელში იყვანდეს ჩირქჭედა",
"/ზ/ სენისათვის ძრახისა ანუ ხარია /რუსულად ჰქვიან შარაბანნი/. გაბერვისათვის წაწყლია გახეთქვისა",
"/თ/ ენის და პირის გაშრობისათვის და გახმობისათვის",
"/ი/ ძრახას ან ხარსა რომ დაუსიდეს სიცხიჲა მკერდი ან კისერი: /ამ სენს რუსულად ჟელუკი ჰქვიან/",
"/ი/ სენისათვის რომელი დაემართება ხარსა ფურდა ძრახასა, ფეხებში, ჩიქებში და პირში: /ამას ჰქვიან ფურქული/",
"/ია/ ძრახას რომ დიდი ჭირი დაერიოს",
"/იბ/ მუნუკი რომ დაჰყარის კანსა და დაგმურდეს და მოღად მუნუკად სცვიდეს და ჩირქი სდიოდეს და მაგდი ეხვეოდეს",
"/იგ/ ხარს რომ კისერი დაუსიდეს და წაუხდეს უღისაგან".

წვრილი ცხოველების დაავადებებისაგან ხელნაწერში განხილულია ცხვრის, ხბისა და ღორის შემდეგი დაავადებები:

"/1. ა/ ჩვიღის შაგნისათვის",
"/2. ბ/ ცხვარს რომ ქცია დაემართოს",
"/3. გ/ თავბრუსხმისათვის და რქიანობისათვის და ტრიალისათვის ცხვარისა",
"/4. დ/ ყვავილი რომ შეეყაროს ცხვარსა და იმით იხოცებოდეს",
"/5. ე/ სიყვითლე რომ დაემართოს ცხვარსა",
"/6. ვ/ ცხვარი რომ სისხლისაგან გაიბეროს",

ეროვნული ბიბლიოთეკა

"ცხვრის ტურქულისათვის",
"ხბის სნეულებისათვის, მუნისათვის",
"ხბის მუცლის დასიებისათვის წყალმანკისათვის",
"სისუსტისათვის ხბისა სუსტად რომ იქნება",
"ღიპრი რომ გადაეკვრას თვალზედ ხბას ანუ ცხვარსა",
"მუცლის ტკივილისათვის ხბის",
"ფეხის წახდენისათვის ხბისა ანუ ცხვრისა ან ძროხის და ხარისა და კოჭლობისათვის მალამო",
"ხბას რომ სისხლი აუღელდეს და იმისგან გაიბეროს",
"ფეხის მოტეხისათვის ცხვრისა, ხბისა, ხარისა და ძროხისა",
"ღორის სნეულობისათვის",
"ყელის გასიებისათვის ღორის",
"ღორს რომ უკანა ფეხები და წელი დაეხუთოს და იმრევდეს და უკანა ნაწლავიც კარში გამოეკიდოს",
"ღორი რომ ძალიან ჭახდეს და ავადმყოფობდეს ამას ჰქვიან ჭიქი ღორისა".

მოცანილი პარაგრაფია დასაბაურებანი და ტექსტი იდენტურია და სიტყვა-სიტყვით ემთხვევა № 228 ხელნაწერისა და მისი ტექსტის შემცველ სტამბურად გამოცემული წიგნის შესაბამის პარაგრაფებში აღწერილ ტექსტს.

ხელნაწერის ტექსტი მოთავსებულია მე-20 გვერდზე. ამ გვერდზე წარმოდგენილია პარაგრაფი "ფარშევანგისათვის", რომლის ტექსტი გადასულია და ვერ იკითხება. გადასული ტექსტის აღდგენა, სანამ განსახილველი Ѕ-№ 226 ხელნაწერის ტექსტის წარმოშობა-რაობა დაუდგენელი იყო, ვერ ხერხდებოდა, ხოლო ახლა, როცა ~~ხელ~~ გარკვეულია, რომ იგი ნამდვილად მაგრად მატონიშვილის ბრონა "სამკურნალო ცხენთას" ფრაგმენტს წარმოადგენს, მისი აღდგენა შეიძლება უშეცდომოდ.

<u>სტამბურად გამოცემული წიგნი "სამკურნალო ცხენთა და ძღვენტყუეა"</u>. მეშით, მაგრად მატონიშვილის ავტოგრაფიული ხელნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერია განხილვისას, გაკვრით მოვიხსენიებ იმის შესახებ, რომ ბაგრატ ბატონიშვილის მიერ გაღებული ხარჯებით, ქ. პეტერბურგში, 1818 წ. სტამბურად გამოიცა მის მიერ დაწერილი ვეტერინარული წიგნი - "სამკურნალო ცხენია და პირუტყუთა". ამ წიგნის ერთ-ერთი ეგზემპლარი ვნახეთ კ. მარქსის სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიბლიოთეკის მხარეთმცოდნეობის კაბინეტში /F $\frac{654}{3}$ /. მისი ნახვა და არსებობა ინტერესს იწვევს იმდენად, რამდენადაც, როგორც ირკვევა, ის ქართულ ენაზე დაბეჭდილი პირველი ვეტერინარული წიგნს წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ იმდროინდელი პოლიგრაფიული საქმისა და ტექნიკის განვითარების დონესთან შედარებით, წიგნი კარგად გამოცემულის შთაბეჭდილებას ტოვებს. ტექსტი დაბეჭდილია ფურცლის ორივე გვერდზე /20 X 13 სმ/. მასში ანთვრიულია 148 გვერდი. წიგნის ბოლო ორი ფურცლის სამ გვერდზე დართულია "განრუკი ანუ საძიებელი სნეულებისა". ამ ფურცლების ნომერაცია აღრიცხულ 148 გვერდში არ შედის. მათ თავისი /1, 2 და 3/ ნომრები აქვთ დასმული. წიგნი ჩასმულია რუხი ფერის ტყავშრატისიან მუყაოს ყდაში.

წიგნი ხელნაწერში განუხილავს ქართველ კახეთის სამეფოს კარის მსახურს გიორგი ფირალიშვილს, რომელიც იმჟამად პეტერბურგში იმყოფებოდა. დაბეჭდილია "საქართველოს აზნაურის" გიორგი ელიოზიშვილის ბეჭდამხედველობით იოსებ იოანესოვის სტამბაში.

წიგნის პირველ სათაურ ფურცლის V-ზე დახატულია ცხენისა და მის წინ მდგომი შუბიანი კაცის სურათი. მე-2 სათაურ ფურცლის ორივე გვერდზე ბაგრატ ბატონიშვილის მიერ დართული ანდერძია დაბეჭდილი, რომლის ტექსტი მოგვყავს სრულად:

"განდაბებულმან სიყვარულითა ძეთა მამულისა ჩემისათა, დაჰსდევ ღუაწლი, და გარდმოვიღე კარაბაღინი ესე ცხენთა, და პირუტყუთა, რუსულისა საუცხოოთა კარაბაღინთაგან, რომელი იყო ფრიად სარგებელ ყოველთა პირუტყუთა, და დამტკიცდა მაოდა ამას შინა ხსენებულთა სენთა. კარაბაღინი ესე შეწყობილ არს სამკურნალოთა წამალთა შეგაველებითა ესრეთ რომელ კაცად კაცადსა ძალ-უძს ხმარება ფხისი, და შეგაველებაჲ წამალთა ვითა ნებაჲ არს ხოლო დაბეჭდა ესე სიტყუანი წერილთა სანკტპეტერბურგსა შინა წელსა, 1818, საქართუელოს მეფის ძე, და კამერტერი მისის იმპერატორის დიდებულებისა ყოველად მოწყალის კელმწიფის სასახლისა და სხუათა,

ბაგრატ ბაგრატიონის სტამბურად გამოცემული წიგნის "სამკურნალო ცხენთა და პირუტყუთას" 1 და 2 სატიტულო გაბრიელურიანთა სურათი.

დაიბეჭდა ესე საფასითა ჩემითა სანკტპეტერბურღსა შინა წელსა, 1818, საქართუელოს მეფის ძე, და კამერტერი მისის იმპერატორების დიდებულებისა ყოველად მოწყალის კელმწიფის სასახლისა და სხუათა, და სხუათა ორიენთა კაეაიერი ბაგრატ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო წიგნი ესე იქნა განხილულ სახელმწიფოსა კოლეგიასა შინა უცხოს მხრისათა მმსახურებელისა ნაბეჭრნის სოფლისკისა და კავკაზიისა კოლერძი ფილარიოვის მიერ.

და დაიბეჭდა ზედა მხედველობითა და განწარდებითა, საქართველოს აწნაურის გიორგი ერეოსოვისაცა. ს.პ-ბურღს სტამბასა შინა იოსებ იოანესოვისაცა წელსა 1818 თვესა ივლისსა 28 ქ. ფასი ამის არის, ერთი რუბლი ოთხი ფული".

სტამბურად გამოცემული აღნიშნული წიგნის ტექსტი, როგორც ეს ამ წიგნისა და ჩვენ მიერ შაგრან შატონიშვილის ზემოთ განხილულ ავტოგრაფიულ ხელნაწერთა ტექსტების ურთიერთ შეჯერების შედეგად იქნა დადგენილი, ტექსტობრივად ყველაზე ახლო დგას № 228 ხელნაწერთან.

დასასრულს, მოცემულ წიგნში აღწერილ დაკვალიანებათა შესახებ უკეთ წარმოდგენისათვის, ასევე ქვეკუთხში გაერთიანებულ ზემოთ განხილულ ხელნაწერებსა და სტამბურად გამოცემული წიგნის ტექსტთა სხვაობა-იდენტურობაზე წარმოდგენის მიზნით, ქვემოთ სრულად მოგვყავს შაგრან შატონიშვილის "საბჯრნაო ცხენთა და პირუტყუთას" განუკი-სარჩევი.

"განუკი ანუ საძიებელი სნეულებისა	თავი
ტაციებისათჳს ცხენის	1. ა.
მჭლეისათჳს და მწორებისათჳს ესე იგი ყიბილ ყურთისა	2. ბ.
მუცლის ტკივილისათჳს	3. გ.
ხველისათჳს ცხენისა	4. დ.
ქუშისა და ნაფაგის შეხუთჳსათჳს	5. ე.
თავბრუსხმისათჳს ცხენისა	6. ვ.
ყელის სიმსივნისა და ტკივილისა	7. ზ.
თუალის ტკივილისა	8. ჱ.
ყუანისათჳს	9. ტ.
ჭიისათჳს	10. ი.
სიმსივნისათჳს	11. ია.

სირაკისათჳს 12. იმ.
ბარშისაგან ცხენი რომ დაიჭიროს მხრებში 13. იგ.
გაციებისა და სრული ცანის გაბერებისათჳს 14. იდ.
მაგათსაც რომელიც რომ ჩირქი ეკიდება ცხვირიდ 15. იე.
მუნისა და ქუცისათჳს 16. ივ.
ბარდის შეხუთვისათჳს 17. იზ.
ქანთელისა და სრული პირის სენი ერთად იძიე 18. ით.
დაჭრილისა, კუსი, იაბანისა, წუკვატისა, ბურგის ნახელისა მეჭეჭისა და ბაღლისა 19. იი.
ფეხში წყლის ჩადგომისა 20. კ.
ცხენი რომ არას ჰსჭამდეს საჭმელს 21. კა.
ცხენირში რომ სისხლი ჰსდიოდეს ეს წამალი კაცსაც არგებს 22. კბ.
დამწურისათჳს კაცსაც არგებს 23. კგ.
გასახსნელი სიცაგისა მუცელში ოყნაჲ გაბერებისათჳს მუცლისა და ქვენისათჳს 24. კდ.

ძროხისა და ხარის სნეულებისა. თავი

ძროხისა, ხბოსი და ყოელისა პირუტყვისა ერთად ჰსწერია 25. კე.
ცხვრის სნეულებისათჳს 26. კვ.
ძხის სნეულებისათჳს 27. კზ.
ღორის სნეულებისათჳს 28. კთ.
ინდოურის ქათმისა, და ფარშევანგისა 29. კი.

მუცლის გაბერებისა და ქოშინის ამას /ჩარი ჰქვიან:/ ბოლოს ფურცელში იძიე".

<u>ბაგრატ ბატონიშვილის შრომა "სამკურნალო ცხენთა და პირუტყუთას" ორიგინალობის საკითხი.</u> მოცემული შრომის შემცველ ბაგრატ ბატონიშვილის ავტოგრაფიულ ხელნაწერებსა და სტამბურად გამოცემული წიგნის ანდერძსა და სხვადასხვა მინაწერებში ხშირად არის მოხსენებული და გაწმარტებული იმის შესახებ, რომ მაში წარმოდგენილი შრომის ტექსტი თარგმანს წარმოადგენს.

"მე მეფის ქაიხრის ძემან ბაგრატმან ეთარგმნე ესე კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაშაირნი რუსული ქართულსა ენასა ზ"ა"[1].

"ესე კარაშაირნი ეჰსთარგმნე რუსულიდამ ქართულად..."[2]

"სხვაძა და სხვაძა რუსულა წიგნთაგან ფრიად ცამოცრიე ცხენთა სამკურნალოჲსაძა გარდმოვიღე ქართულად..."[3]

შრომის ტექსტის ორიგინალობის საკითხის გასარკვევად თუ მარტო ხელნაწერთა ჩემთა მოცანილი ანდერძისა და მინაწერების შინაარსით ვისხელმძღვანელებთ, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ იგი ჩვეულებრივ თარგმანს წარმოადგენს. საკითხის ასე ცალმხრივად და უმართებულოდ გადაწყვეტის უფლებას ჩვენ არ გვაძლევს იმავე ანდერძსა და მინაწერებში შაგრაცის მიერ გამოთქმული შემდეგი განმარტებები:

"თუმცა კარაშაირნნი ესენი ფ/რია/ე ერცერნი იყვნენ /ლაპარაკობს მრავალთაძა რიცხვში კ.ხ./, გარნა მე რაოდენნიმე საადვილონი და ადვილად შესაცქონი სენი და უჭარალონი მაონი წამაწინი გამოვჰკრიბენ და ერთად შეეაწყე..."[4]

"გამოვჰკრიბე რაოდენნიმე სენნი და წამაწინცა უფლის ივან ანდრეევიცკის კარაშაირნისაგან..."[5] და სხვ.

მოცანილი სიტყვებიდან გამომდინარე, შესაძლებლობა გვეძლევა მსჯელობა შაგრაც შაფინიშვილის შრომა "სამკურნალო ცხენთას" ორიგინალობის საკითხის გასარკვევად სულ სხვა მხრივ იქნას წარმართული.

როგორც ვხედავთ, შაგრაც შაფინიშვილი მის მიერ დაწერილი ხელნაწერებისათვის დართულ ანდერძსა და მინაწერებში სრულიად

1/ ხელნაწერი Q-№ 311:1, 7ვ.
2/ -"- -№ 228, 47ვ.
3/ -"- M-№ 37:2, 99ვ.
4/ -"- -№ 228, 46 .
5/ ი ქ ვ ე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარკვევით იძლევა განმარტებას იმის შესახებ, რომ ხელნაწერებში აღწერილი ტექსტი პირდაპირი და უშუალო თარგმანი კი არ არის, არამედ წარმოადგენს არსებულ სხვადასხვა /"სხვათა და სხვათა"/ მრავალ საუკუნესო /"მრავალთა საუკუნესოთა"/ ქვეყნიერულ წრომებისაგან გამოკრეფილ და ერთად შეწყობილ /"გამოჰკრიბენ და ერთად შეუანყე"/ ნაწრომს, რომელსაც შაგრამ შაფინიშვილი 1816 - 1818 წლების მანძილზე სრულჰყოფდა და ამდიდრებდა სხვადასხვა ქვეყნიერული წყაროებიდან მოპოვებული მასალით. /"კუალად შევჰსძინე და გამოვჰკრიბე რაოდენნიმე სენნი და წამაინიცა"/.

ამრიგად შესრულებულ-შეწყობილი წრომა, ეჭვის მიუტანლად, შეიძლება კლასიფიცირებული იქნას როგორც ორიგინალური ნაწრომი. რაც შეეხება იმ მრავალ "კარაბადინებს" და "სხვათა და სხვათა" ქვეყნიერულ წრომებს, რომლებითაც უსარგებლია შაგრამ შაფინიშვილს, ისინი მხოლოდ წრომის დასაწერად გამოყენებული ძირითად ლიტერატურულ წყაროებად უნდა იქნან აღიარებულნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაგრატ ბაგრატიონის /ბაგრატიონის/ შრომა "სამკურნალო ცხენთას" წყაროები

№№ რიგზე	შენახვის ადგილი	კოლექცია	ხელნაწერის №№	დაწერის ან ქაღალდის წელი, საუკუნე	ფურცლთა რაოდენობა და ზომები /სმ-ში/
1.	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი	Q	311:1	1817	89. /42 - 92v/ 19,5 X 15,5
2.	-"-	H	352	XIX	9. 21,8 X 17,6
3.	-"-	S	226	XIX	10. 22 X 17,5
4.	ქ.ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი	-	228	1818	52. 19 X 15
5.	სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი	M	37:2	1816	21. /99 - 119 გვ./ 32,5 X 20,5
6.	კ.მარქსის სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა	F	654/3	1818	/სტამბურად გამოცემული/. 76. 20,7 X 12

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენის კარაბაღინი და მეხუთე ქვეყანა. მოცემულ ქვეყანაში გავაერთიანეთ იერუსალიმის ტექსტის შემცველი ის ორი ხელნაწერი, რომლებიც "ცხენის კარაბაღინაა" ნოტებული.

ერთი მათგანი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის S კოლექციაში 3728 ნომრით დაცული ხელნაწერი კრებულის ცალკე ფაქტია წარმოდგენილი, მეორე კი საეკლესიო-მუზეუმის სახ. ლენინგრადის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში 24/20/ ნომრით დაცული ხელნაწერი კრებულის ცალკე ფაქტი.

ხელნაწერი იწყება ანდერძით, რომლის შინაარსი იმაზე მეტყველებს, რომ "კარაბაღინი" პირველად არაბული ნაწყვეტი ყოფილა, ხოლო შემდეგში არაბულიდან იგი სპარსულ ენაზე ხელმეორე ალექსანდრესაგან გადმოუთარგმნიათ.

"ეს კარაბაღინი ესრეთი აქიმის ნაწყვეტი ცხენის კარგისა და ავისა შეცდომა და ფერაიისა ავადმყოფობისა წაღებები, და ესე კარაბაღინი არაბული ნაწყვეტია ალექსანდრე ხელმეორესაგან სპარსული გარდმოსწერეს, რომე ვისაც უნდოდეს, ამ კარაბაღინით ცხენის ამბავს შეიცნობენ, და იცოდეთ კარი არის"[1].

ხელნაწერს გარდუკი აქვს "გაწერკი" - სარჩევი.

ხელნაწერის ანდერძში გარდაღია ნაწყვეტია, რომ მასში "...იცოდეთ კარი არის", მაგრამ სინამდვილეში ორივე ხელნაწერთა სარჩევში პარაგრაფ № 28-ის დასათაურების დასახელება მოცემული არ არის, ასევე არც ერთ ხელნაწერში ალწერილი არ არის პარაგრაფ № 28-ის ტექსტი, ხოლო მათ დასაწერად განკუთვნილი ადგილი, როგორც ჩანდუკში, ისე ტექსტში დატოვებულია

1/ ხელნაწერი № 24/20/, გვ. 61-62.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგოვილი, - წერია მხოლოდ "№ 28".

ხელნაწერთა პირველ რვა და 24, 25, 27 პარაგრაფებში განხილულია ბოტანიკური საკითხები, ხოლო დანარჩენში ვეტერინარული საკითხებია წარმოდგენილი.

ბოტანიკურ საკითხებიდან მოხსრობილია იმის შესახებ, თუ როგორი ექსტერიერით, ნიშანთვისებებით, ფერითა და წნეჩვეულებებით ხასიათდება კარგი ან ავი წნის მქონე ცხენი. მაგალითად, სამეურნეო ექსპლოატაციისათვის გამოსაიქმი ცხენის ექსტერიერული მონაცემების შესახებ № 1 პარაგრაფში აღწერილია:

"ანუ თუ კინტიელს სიკეთე და სიავე შეიტყო ცხენისა და მაღალი და შეკრული და ქვეით ღაში წვეთისაგან მოშორებული, ცხვირის ნაპობი ფართო და თავი არც გრძელი და არც მოკლე. ყურები ისრის პირსავით გრძელი და წვრილი, კისერი გრძელი და სუფთა. ფეხის ძვალი ხმელი, ძუა გრძელი, თვალებში შავი. თვალების ქუთუთოები შავი და გრძელი, მკერდი ფართო...და რასაც ცხენს ესეები გააჩნიაეს ეცვარებოდეს მისი უკეთესი ცხენი აღარ იქნება".

ფერის მიხედვით ცხენის ავკარგიანობის გამოცნობის შესახებ № 8 პარაგრაფში ნათქვამია: "თუ კინ/დი/ელს ცხენის ფერად ფერადი უნარი და სიკეთე შეიტყო იცოდე, რომე ყოველს ფერს რასი ჰსჯობს, მაგრამ შუბრი შავი, შარკიები შავი და ქაჩაჩი შავი უნდა ჰქონდეს. და ფერადი უკეთესია რომე ყვითელი დასცემდეს და თვალები, ფაფარი და მკერდი შავი ჰქონდეს და ფეხები შავად იაჭრელებული ჰქონდეს...ჩაისფერი ცხენი ის უკეთესია, რომე ფეხ/ი/ შავად დასცემდეს, და სიტეხრე არსად ჰქონდეს, და შავი ცხენი დიაღ შავი იყოს და თვალები წითლად არ იყოს, რომე ცხენის დიდი წუნი ის არის, რომე თვალები წითლად ჰქონდეს..."

ვეტერინარულ საკითხებიდან ხელნაწერებში მოკლედ განხილულია ცხენის კანის /შუნი/, შუკაცი, სასუნთქი გზების /ხვეია, ქოშინი -"ქუში"/, ქირურგიული, საჭმლის მომნელებელი სისტემის

კბილებისა და ღრძილების დაავადებანი და სხვ. გარდა ამისა, მითითებულია დაავადებათა სამკურნალოდ გამოყენებული წამლიანი საშუალებებზე. მაგალითად, N 29 პარაგრაფში დაავადება ქუშის სამკურნალოდ მოხსენებულია: "წამალი ქუშის ანუ ჭაფალ. მოიტანე კანაფის ზეთი და ბაჭის ღაძე კვერცხი ერთმანეთის ტოლი და დანაყილი ნიორი კვერცხის ნახევრის ოდენი. ერთმანეთში კარგად აურიე და წააქციე ცხენი და პირში ჩაასხი. აუშვი და ცოტა ხანს თავი ჩამოუკარ და მერმე საჭმელი მიეც..."

მე-19 პარაგრაფში აღწერილია ცხენის საჭმლის მომნელებელი სისტემის ერთ-ერთი დაავადება, მუცლის ტკივილის სიმპტომის გამოვლინებით. მისი სამკურნალო შემდეგი საშუალებანია მოხსენებული: "ცხენს, რომ მუცლის ვერემდეს, უნდა ფეტვის ფქვილი წყალში ჩაყარონ და დაქნან და იმით ცხენს ოფლა უყონ და ცოტა კიდეც პირში ჩაასხან, მერმე შეჯდენ და არბენინონ მანამდის მუცელში გახსნას და კარგად შეიქნების".

განსახილველ ხელნაწერებში არც თუ ისე იშვიათად აღწერილია ცხენის ისეთი დაავადებები, რომლებიც სხვა, ცხენის სამკურნალოდ განკუთვნილ ხელნაწერებშიც არის აღწერილი. მოხსენებულის გამო დავინტერესდით საკითხით: მოცემული ხელნაწერებსა და სხვა, ცხენის სამკურნალოდ განკუთვნილ ხელნაწერებში ერთი და იგივე სათაურით აღწერილი დაავადების ტექსტი ხომ არ ემთხვევიან ერთმანეთს. საკითხის გასარკვევად მოვახდინეთ S-N 3728 და Q-N 281 ხელნაწერთა ტექსტის /შესაბამისი თავების/ ურთიერთ შეჯერება. /აქვე შევნიშნავთ, რომ Q-N 281 ხელნაწერის ტექსტი სპარსულიდან ეახტანგ VI-ის მიერ არის თარგმნილი-შეკრებილი და 114 პარაგრაფს შეიცავს/. შეჯერების შედეგებმა ცხად-

ყო, რომ მაში ტექსტი ზოგჯერ და არც თუ ისე იშვიათად სიტყვა-სიტყვით ემთხვევა ერთმანეთს. ზოგიერთ შემთხვევაში კი, მარ-თალია, მაში ტექსტი სიტყვა-სიტყვით არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ მაშში აღწერილი წინადადებებში ერთი აზრი და შინაარსია გადმოცემული. მოხსენებული ფაქტის დასადასტურებლად ქვემოთ მო-ვიტანთ რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს, S-№ 3728 და Q-№ 281 ხელნაწერთა შესაბამის ადგილებში აღწერილ ტექსტს.

ტექსტი S-№ 3728 ხელნა-წერის მიხედვით

"№ 23

ცხენი რომ ავად იკბინე-ბოდეს და იწიხლებოდეს ასე უნდა, გარეული ხახვი დანა-ყონ და ცხენის კბილებზედ წაუსვან და დაიცინცლებს".

"№ 21

ცხენსა რომე ქერმან ან-ყინოს ფშილის წყლისაგან იქნების და უნდა ოთხიოდ კვერცხი გატეხონ და ცხე-ნის პირში ჩაასხან და ცივს წყალში შეაყენონ და ცივი წყალი მხარგედ ასხან მანამ-დის თრთოლა დაიწყოს. მერმე გამოიყვანონ ორ დღეს ქერი და წყალი არ უნდა მისცენ და კარგად შაიქნების".

ტექსტი Q-№ 281 ხელნაწე-რის მიხედვით

"ჟმ

ცხენი რომ იკბინებოდეს და ავად იწიხლებოდეს. გარე-ული ხახვი დანაყე ცხენსა კბილებზე წაუსვი და დაიცინ-ცლებს..."

"ჟვ

კარი ქერნაწყენისა. ოთხიოდე კვერცხი გასტეხე ცხენს პირში ჩაასხი ცივს წყალში შეაყენოს და ცივი წყალი მხარგედ დაასხან მანამდინ რომ თრთოლა და-იწყოს. მერმე გამოიყვანე ორს დღეს ქერი და წყალი არ უნდა მორჩების".

"№ 27

თუ ცხენის კასუქება გინდოდეს ქერი დაასველე და წმინდა ანამტკიცი ზედ მოაყარე და ცოტცოტა აჭამე და წყალს ნუ დაუშურებ, წყალში მარილი ჩაუგდე და იმას ასმევდე, მჭლეს ცხენს ქერი ცოტა მოუმატე და ქვეშ წმინდად დაუტკიპენ და აპაჭიებენ და მაღე კასუქების ღვთის შეწევითა".

"№ 8

თუ გინდეს ცხენის ფერად ფერადი უნარი და სიკეთე შეიტყო იცოდე, რომე ყოველს ფერს რახსი ჰსჯობს, მაგრამ შუბრი შავი ბარკლები შავი და ქაჩაჩი შავი უნდა ჰქონდეს. და ბერადგი უკეთესია რომე ყვითლად დასცემდეს და თვალები, ფაფარი და მკერდი შავი ჰქონდეს და ფეხზედ შავად დაჭრელებული ჰქონდეს და სამანდი დაგანაცა კიდევ მოყვითალო დასცეს მისცა თვალებში, პირი, ყური, ჩუჩა, ფაფარი, კუდის პირი შავად ჰქონდეს. მხარზედ შავად გრძელად გაველებული იყოს პირი წითლად დასცემდეს.

ჩალისფერი ცხენი ის უკეთესია რომე ფეხი შავად დასცემდეს, და სითეთრე არსად

"რა. კარი ცხენის კასუქების

ქერი დაასუელე წმინდა ქერის ანმტკიცი ზედ მოაყარე ცოტცოტა აჭამე. წყალს ნუ დაუშურებ, წყალში მარილი ჩაუგდევი ამას ასმევდე, მერმე ქერი მოუმატე /ქუ/ე/შ წმინდად დაუტკიპე და მოიმატებს".

"ბ. კარი კვიცის ცნობისა ფერისა გვარისა ნიშნებისა და ასოებისა.

...რა ხასი ცხენი ყოველს ფერს სჯობია მაგრამ შუბრი შავი უნდა ჰქონდეს, ბერადგი იგი უკეთესია, რომ ყვითლად დასცემდეს. თვალებში, ძუა, ფაფარი და მკერდი შავი ჰქონდეს, ფერხი მუქუში სანამდის მოყვითალოდ დასცემდეს. იმასაც თვალებში, ყურებში, ჩუჩა, ფაფარი, კუდის პირი შავად ჰქონდეს და მხარზედ შავი გაველებული გრძელად ჰქონდეს. შავი ცხენი ის უკეთესი არის რომ ფერი მოშაოდ დასცემდეს, სითეთრე არსად ჰქონდეს. ერთი შავი ცხენი ასე

ჰქონდეს, და შავი ცხენი დიად შავი იყოს და თვალები ბიწიად არ იყოს რიმე, ცხენის დიდი ბუნი ის რიმე თვალი ბიწიელი ჰქონდეს. და ერთი რიგი ჭრელი ცხენი იქნების იმას სპარსნი აწყარს ეძახიან იმის შენახვა არ ეარგა..."

უნდა დიად შავი იყოს თვალები ბიწიად არ ჰქონდეს რომ ცხენის დიდი ბუნი ის არის. ერთი რიგი ჭრელი ცხენი იქნების იმას სპარსნი აბხაშს ეძახიან იმისი შენახვა არ ეარგა..."

ხელნაწერთა ტექსტის წარმოშობის საკითხი. თუ ჩვენ S №3728 და №24/20/ ხელნაწერთა ტექსტის წარმოშობის საკითხის გასარკვევად სახელმღვანელოდ მივიღებთ მხოლოდ იმ ფაქტს, რომ S-№3728 და Q-№281 ხელნაწერების შესაბამის პარაგრაფებში აღწერილი ტექსტი ზოგჯერ სიტყვა-სიტყვით, წინაარსობრივად კი ყველა შემთხვევაში ემთხვევა ერთმანეთს, მაშინ შესაძლებლობა გვექნებოდა გაგვეკეთებინა დასკვნა, რომ განსახილველი ხელნაწერთა ტექსტი წარმოშობილია ვეფხისტყაოსნის საკითხებით დაინტერესებული პიროვნების მიერ ქართულ ენაზე არსებული რომელიმე იმ ხელნაწერის გამოკრეფით გადაწერის შედეგად, რომლის ტექსტი სპარსულიდან ქართულად თარგმნილ-შეკრებილია ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის მიერ და 114 პარაგრაფს მოიცავს. მაგრამ ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს არ გვაძლევს ხელნაწერთა ანდერძის ის სტრიქონები, რომ "...ეს კარაბადინი არაბულად ნაქონამი არის აღექსანდრე ჰელმწიფისათჳს სპარსულად გარდმოსწერეს..."

S-№3728 ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს და საკითხის გარკვევისას, თუ რომელ ხელნაწერს აღექსანდრესათვისაა

ხსენებული ხელნაწერის ტექსტი არაბულიან სპარსულ ენაზე დარგმნილი, ვარაუდობს იმის შესაძლებლობას, რომ აღექსანდრე მაკედონელისათვის იყოს დარგმნილი[1]. ამ ვარაუდს ნაკლებ სარწმუნოდ მივიჩნევთ და ვფიქრობთ, ქრონარიტებასთან უფრო ახლო მდგარ მოსაზრებას გამოვთქვამთ, თუ S-№ 3728 და № 24/20/ ხელნაწერთა სპარსულ ტექსტს რომელიმე ქართველ აღექსანდრე ხელმწიფისათვის დარგმნილად მივიჩნევთ. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ განსახილველ ხელნაწერებში აღწერილი ყველა 29 პარაგრაფის ტექსტი ეახტანგ VI-ის მიერ სპარსულიდან ქართულად დარგმნილ-შეკრებილი წრთნა "ცხენის კარაბადინს" არის აღწერილი ამ ფაქტის ასახსნელად ორ შესაძლებლობას უშვებთ:

1. განსახილველ ხელნაწერთა და ეახტანგ VI-ის მიერ სპარსულიდან ქართულად დარგმნილ-შეკრებილი წრთნა "ცხენის კარაბადინის" სპარსულ ტექსტთა წარმოშობას საფუძვლად ედება არაბულ ენაზე არსებული ერთი პირველწყარო, რომელიც ასო A-ით აღვნიშნოთ ქვემოთ მოცემულ 1-ლ სქემაში. შემდგომ A ხელნაწერიდან /29/ 30 პარაგრაფი /შეიძლება/ დაიარგმნა სპარსულად მეფე აღექსანდრესათვის /α/. ეს უკანასკნელი /α/ ხელნაწერი კი ქართულად დაიარგმნა ეახტანგ VI-ის ან, შესაძლოა, სხვა პირთაგანის მიერ. α-ხელნაწერის ქართული დარგმანი ცალკე დაცული წარმოდგენილია S-№ 3728 და № 24/20/ ხელნაწერთა კრებულებში /α_1/.

ეინაიდან ეახტანგ VI-ის მიერ სპარსულიდან ქართულად დარგმნილ-შეკრებილი "ცხენის კარაბადინი" /A_2/ შეიცავს α_1 ხელნაწერებში აღწერილ ყველა 29 /30/ პარაგრაფს, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ სპარსულ ენაზე, გარდა α ხელნაწერისა, არ-

---

1/ Е. Такайшвили, Описание рукописей, т. I, вып. 1-4, стр. 819, Тифлись, 1902-1904.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეშობა A – ხელნაწერის ტექსტის სრული თარგმანი /A_1/, რომლის ქართულად თარგმნა-შეკრების შედეგად ქართლის მეფე ვახტანგ VI-მ 1703-11 წლებში დაწერა 114 პარაგრაფის/"კარის"/ შემცველი შრომა "ცხენის კარაბაღინი" /A_2/. ამ შრომის ტექსტი წარმოდგენილია Q-№ 281 ხელნაწერსა და მის ნუსხებში. /იხ. ცხენის კარაბაღინთა II, III და V ქვეჯგუფებში გაერთიანებული ხელნაწერთა ქართული ტექსტის პირველწყაროებისა და წარმოშობის სავარაუდო სქემა 1/.

2. გარდა განხილული მოსაზრებისა, შესაძლოა მივიჩნიოთ აგრეთვე, რომ სხვა /ჩვენ მიერ ქვემოთ მოცემულ სქემა 2-ში B, C და Д ასოებით აღნიშნული/ ვეტერინარული კარაბაღინებისა, არაბულ ენაზე პირველწყაროს სახით არსებობდა ვეტერინარული ხელნაწერი A, რომელიც შეიცავდა S-№ 3728 /A_2/ ხელნაწერში აღწერილ ტექსტს. შემდგომ, როგორც ამის შესახებ ნათქვამია A_2 – ხელნაწერთა ანდერძში, A – ხელნაწერი სპარსულად უთარგმნიათ მეფე ალექსანდრესათვის /A_1/, A_1– ხელნაწერი კი, უნდა ვიფიქროთ, რომ სხვა $(B_1C_1)Д_1$ კარაბაღინებთან ერთად 1703-11 წლებში ქართულად თარგმნა ვახტანგ VI-მ, რის შედეგადაც დაწერა 114 პარაგრაფის /"კარის"/ შემცველი "ცხენის კარაბაღინი" $A_1(B_1C_1)Д_1$. / Q-№ 281 ხელნაწერის ტექსტი... იხ. ცხენის კარაბაღინთა II, III და V ქვეჯგუფებში გაერთიანებული ხელნაწერების ქართული ტექსტის პირველწყაროებისა და წარმოშობის სავარაუდო სქემა 2/.

ცხენის კარაბაღინთა V ქვეჯგუფში გაერთიანებულ ხელნაწერებში აღწერილ საკითხებზე უკვე წარმოდგენისათვის, ქვემოთ უცვლელად მოვიტანთ S-№ 3728 ხელნაწერის "წანდუკს" – სარჩევს.

"განდეკი

1. ცხენის ქება.
2. ლამით რომ ავად ხელავენ.
3. ცხენის ხმისა.
4. სიყმოშისა.
5. სიმარცხნისა.
6. ფერის გამოცვლა.
7. ავისა და კარგისა.
8. უხელო გაწყობა.
9. ავად ყოფნისა და მისი წამალი.
10. გავის ქავილისა.
11. ჩუნჩის ქავილისა.
12. შუყვანისა.
13. ბიდი ხნის ხველისა.
14. ცხას სიმსივნისა.
15. თვალის სიფეთრისა.
16. ბურგის დაღლეტილობისა.
17. ცხაცელი გამოუვიდეს თუ სხვაგან რამ.
18. წყლისაგან შენახვა.
19. ბურგის ცყავი რომ გაძრობილეს.
20. მუცლის გრეშისა.
21. ჯოლინჯისა და წყლის ნაწყენისა.
22. ქერის ნაწყენისა.
23. გაღლეტის წამალი.
24. ავსაჭეშობისა.
25. სიარულის შეფყობა /ნასწავლა/.
26. ქერისაგან და ბჭისაგან შენახვა.
27. ნაბერვე და გაბაფხულისა.
28. /ორივე ხელნაწერში არაფერი არ სწერია, ცარიელი ადგილია გამოტოვილი კ.ჯ./
29. შეჯიბნა.
30. გასუქება."

ცხენის კარაბადინა II, III და V ტუმრებში გაერთიანებული ხელნაწერების
ურთიერთმიმართების სქემა I



ცხენის კარაბაჯინთა II, III და V ათეულებში ტარიანი ხელნაწერების ქარდული ფონდის პიროვნული=ვითარ და ნარმოშობის სვეტად-ი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეტერინარული კარანტინის მეოთხე ჯგუფი

ვეტერინარული ხელისუფლების კარანტინის ამ ჯგუფში მხოლოდ ერთი, "ძაღლის კარანტინი" წოდებული ხელისუფლების განვიხილავთ.

შინაური ცხოველებიდან ადამიანი ყველაზე პირველად -8000 წლის წინათ ჩვ. წელთაღრიცხვამდე - ძაღლს იშინაურებს.

მეგობრობის შეღებან დაწყებული, ჯერ კიდევ როცა ცნობილი არ ყოფილა არც ერთი შინაური ცხოველი, არსებობისათვის მკაცრ ბრძოლაში ადამიანს მეგობრობასა და თანამეწყობას ძაღლი უწევს.

ძაღლის ისეთ დადებით თვისებებს, როგორიცაა: პატრონისადმი უაღრესი ერთგულება, სასარგებლო ჩვევების სწრაფი ათვისება, გამძიერება-ამცანობა, გამჭრიახი სმენა, კარგი ყნოსვა და სხვა მრავალი, ადამიანი იმთავითვე აქცევს ყურადღებას, ადენებს მას თავის სამსახურში და სხვადასხვა ხასიათის სამეურნეო სამუშაოს შესასრულებლად იყენებს.

ხელისუფლების იმ მუხლების შინაარსი, რომლებიც ვეტერინარიას შეეხება, ნათლად მეტყველებს იმის შესახებ, რომ ძაღლი ძველ დროში აუცილებელსა და ძვირად ღირებულ შინაურ ცხოველს წარმოადგენდა. მაგალითად, ამ კანონთა 78ე მუხლში ნათქვამია: - თუ ვინმე დააშავებს მაკე ძროხას ან ცხენს და იქი მოაგდებს, უნდა გადაუხადოს ორი სეკლი ვერცხლი, - ხოლო ამავე კანონთა 88 მუხლში ჩამოყალიბებული კანონი: - თუ ვინმე დააშავებს მწყემსის ძაღლს, რის შედეგადაც იქი მოკვდება, უნდა გადაუხადოს 20 სეკლი ვერცხლი - ნათელი დამადასტურებელი საბუთია იმისა, რომ ძაღლი ძველად ძალზე ძვირად ღირებული, მაშასადამე, შეუცვლელსა და ძალიან სასარგებლო ცხოველს წარმოადგენდა.

მედიცინასა და ვეტერინარიაში ურთულესი ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური პროცესების შესწავლის საქმეში ძაღლი შეუცვლელ ლაბორატორიულ ცხოველად ითვლებოდა და დღესაც ითვლება. სწორედ ამიტომ იყო, რომ ი.პ. პავლოვი თავის დროზე შენიშნავდა იმ განსაკუთრებული როლის შესახებ, რომელიც ძაღლმა შეასრულა ადამიანის კეთილდღეობის საქმეში. ბოლოს, როცა ძაღლზე გვაქვს ლაპარაკი, შეუძლებელია გვერდი აუაროთ და არ აღვნიშნოთ ძაღლის მიერ გაწეული ის დიდი სამსახური, რომელიც მან, როგორც ბიოლოგიურმა საცდელმა ცხოველმა, შეასრულა კოსმოსში ადამიანის გაფრენის შესაძლებლობის დადგენის საქმეში.

იმისათვის, რომ ძაღლმა სრულფასოვნად შეძლოს ადამიანის სამსახურის გაწევა, საჭიროა მისი სათანადო აღზრდა და გაწვრთვნა-დაგეშვა.

კაცობრიობის არსებობის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ადამიანთა მიერ წარმოებული დაკვირვებების შედეგად ემპირიულად შემუშავდა და დაწინდა საკითხები, რომლებიც ძაღლის აღზრდა, წვრთნა-დაგეშვისა და დაავადებათა მკურნალობის საქმეს შეეხებიან. ამ შემუშავებული და დადგენილ საკითხთა გავრცელება ხალხში თავდაპირველად ტიპისიტყვიერი ხერხით-გადაცემით ხორციელდებოდა, რაც, რასაკვირველია, ზღუდავდა მათი გავრცელების შესაძლებლობას.

იმისათვის, რომ ქართველ ხალხს არ დაკარგოდა კაცობრიობის მიერ ემპირიულად შემუშავებული და დადგენილი ცნობები ძაღლის აღზრდა, წვრთნა-დაგეშვისა და დაავადებათა მკურნალობის საქმეში, აგრეთვე შესაძლებელი გამხდარიყო ამ საკითხებით სარგებლობის შესაძლებლობა მისცემოდათ ხალხის ფართო მასებს, შეც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხრამეტე საუკუნის პროგრესულ მოღვაწეს – იოანე ბატონიშვილის /გიორგი XII-ის შვილი/ დავი მიუყრია ძაღლის აღზრდა, წერილებისა და დაუწერია "ძაღლის კარაბაღინან" სახელდებული წიგნი. ამ წიგნის ტექსტის შემცველი ერთი ხელნაწერი ღღეს ფრაგმენტის სახითაა შემორჩენილი[1].

ხსენებული ხელნაწერი 198 ნომრით დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ინსტიტუტის Q კოლექციაში. ფრაგმენტი სულ 6 ფურცელს შეიცავს, რომლის პირველ სამ ფურცელზე სარჩევ-საძიებელია წარმოდგენილი.

ხელნაწერს შემორჩენილი აქვს ანდერძი, რომლის შინაარსიდან გამომდინარე საშუალება გვაძლევს მასში განხილული საკითხების ავტორად იოანე ბატონიშვილი ვაღიაროთ[2].

ფრაგმენტში შემორჩენილი სარჩევ-საძიებლის პარაგრაფთა სიმრავლე საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ რა მოცულობის უნდა ყოფილიყო სრული ტექსტის შემცველი ე.ი. უნაკლულო ხელნაწერი და როგორი ფანქრიმხედველობით იყო მასში

1/ ხელნაწერის სრული ტექსტი ჯერჯერობით მიუკვლეველია.

2/ ანდერძი: "ხოლო წიგნსა ამას, რომელსა ეწოდების კარაბაღინი, რომელიც იქმნა საქართველოს მეფის ძის ძის იოანესაგან /იგულისხმება ერეკლე მეორის ძის – გიორგი XII-ს ძე იოანე კ.ა./ ხოლო დაეწერ ამას წერა და ვიპოვე სნეულებანი და ცნობანი და წამალნი ამას შინა არიან დავ-დავის აღაგას მოხსენებულნი ამისთვის, რომ რაღაგან სოფელსა შინა ჯერ იყო შექცევა და წაღირობა, რაღაგან სახმარნი იყვნენ ძაღლნი და მასიამოვნებელნი დავ-დავის ჟამსა ჩვენც მოვნახეთ და გაუკეთეთ კარაბაღინი, რომელიც არს წიგნი სანკურნაღო ძაღლისა". /ხელნაწერი Q-№ 198, 42/.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოდგენილი მასალა აწერილი. მაგალითად, ფრაგმენტის სარჩევში აწერილია 99 პარაგრაფის დასახელება. გარდა ამისა მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ თვით სარჩევსაც აკლია ფურცლები, ვინაიდან იგი იწყება არა "ა", ე.ი. 1-ლი პარაგრაფით, არამედ "ღე", ე.ი. 35-ე პარაგრაფიდან. გამოდის, რომ ფრაგმენტის სარჩევში სულ აწერილი ყოფილა არა 99, არამედ /99+34= 133/ 133 პარაგრაფი.

სარჩევში შემორჩენილ პარაგრაფთა დასათაურებიდან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ, რომ მრომის პირველი ნაწილის /34+12/ 46 პარაგრაფში განხილული იყო ტექსტის ზოგადი ნაწილი: ძაღლის დაგეშვა სხვადასხვა ცხოველებზე, მისი მოშენების, მოვლა-შენახვის, კვებისა და სხვა საკითხები, ხოლო მეორე ნაწილში /87 პარაგრაფი/ წარმოდგენილი იყო ძაღლის დაავადებები და მისი მკურნალობა.

იმის წარმოსადგენად, თუ "ძაღლის კარაბაღინის" სრულ რედაქციაში რა საკითხები იყო განხილული, ქვემოთ სრულად მოვიტანთ Q -ს 198 ხელნაწერის /ფრაგმენტის/ სარჩევს.

"ღე ქ: სოროში შესვლის /ს/წავლებისათვის ანუ წყალში ნახვის ციცა მწკავი/.../

ღვ ქ: ლაკაძის ძაღლის დაგეშვისათვის ტორს გედა.

ღზ ქ: ლაკაძისა და სხვის ძაღლის დაგეშვისათვის ირემს გედა ანუ სხვას ნადირს გედა.

ღ ქ: ძაღლის დასაშვების აღგილისათვის.

ღთ ქ: ძაღლის ჭმევისათვის საჭმლისა.

მ ქ: მწევრის ჭმევისათვის როდეს გინდოდეს კურდღლის მოტევება.

მა ქ: დაჩვევისათვის მწევრისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშ ქ: აღრიცხვისათვის ძარღვთასა

მგ ქ: ცნობისათვის ძარღვთასა თუ რომელს აღაგას უნდა სისხლის გამოშვება ანუ რას სჭნს არგებს.

მდ ქ: სისხლის გამოშვებისა და ნებტრის მოქმედებისათვის.

მე ქ: დაღებისათვის თუ ვითარნი დაღი უნდა დაასვას ძაღლს ანუ რას სენისათვის.

მვ ქ: დაკოდვისათვის მწევრისა ანუ მეცხვრისა გინა სხვის ძაღლისა.

რომელ არს საჭიროვ

ქ: საღებრისათვის ძაღლისა და წამალთა მისთა

ა ქ: პირველად მოვიხსენიოთ თვალის ქუთუთოსათვის.

ბ ქ: თვალში სიმწარის შერევისათვის.

გ. ქ: თვალში მოხვედრისათვის.

დ. ქ: თვალზედ დადრი შბისათვის,რომელ არს მუნუკ რომე მოდიდი /ამ პარაგრაფს ხაზი აქვს გადასმული კ.ჯ./

ე ქ: თვალის გაწითლებისათვის შევრის სირბილისაგან.

ვ ქ: თვალების გაყვითლებისათვის რომელ არს არღანი სენი /"არღანის" მაგიერ უნდა იყოს "არაყანი" კ.ჯ./.

ზ ქ: თვალში ჩირქის მოსვლისათვის.

ჱ ქ: თვალში ვერ დანახვისათვის ღამით ანუ დღისით.

თ ქ: ცხვირის სენისათვის,რომელ დაფრუნტუნებას დაუწყის.

ი ქ: ცხვირის სენისათვის,რომელსა ჩირქი მოსდიოდეს ცხვირიდამ.

ია ქ: ცხვირზედ შიგნიდამ მუნუკი რომ ჰქონდეს.

იბ ქ: ყურის ტკივილისათვის ძაღლისა.

იგ ქ: ყურში ჩირქის დენისათვის.

იდ ქ: ყურში მუნუკის შბისათვის

იე ქ: ყურში ტკიპის შეძრომისათვის ანუ მაღიანჯოსი.

ივ ქ: ყურის ძირის ტკივილისათვის გარედამ.

იზ ქ: ენის ტკივილისათვის.

იჱ ქ: ენის ქვეშ მჭამელის გაჩენისათვის ანუ ღრძილებსა და კბილებში.

ქ: ყელში იამანის გაჩენისათვის.

ით ქ: ხუნაგისათვის რომელი ხორხში აღვარას.

კ ქ: ყელზედ ყიყვის შბისათვის.

კა ქ: ყელის ტკივილისათვის.

კბ ქ: კისრის ძვლის ტკენისათვის.

კგ ქ: კისრის გამრუდებისათვის.

კდ ქ: ხველისათვის ძაღლისა.

კე ქ: ნაფაზისათვის.

კვ ქ: ფილენჯისათვის.

კზ ქ: გაციჟებისათვის ძაღლისა.

კთ ქ: ცოფიანის ძაღლისათვის.

კი ქ: თავის ტკივილისათვის ძაღლისა.

ლ. ქ: თავში რეტიანობისათვის.

ლა ქ: მუცლის ტკივილისათვის რომელიმ ~~ლოგინს~~ ვერ გავა შარდსა და ჩონჩორიკს ზედა.

ლბ ქ: მუცლის ჩახვერისათვის.

ლგ ქ: გაფრისათვის.

ლდ ქ: შაღლამის განძღიერებისათვის რომელიც ერთ ნიჟი რამ ან მკერდსა ანუ მხარსა ზედა გაუჩნდეს.

ლე ქ: სენისათვის რომელ ძაღლი ავისაგან გამოიცვალოს.

ლვ ქ: სენისათვის რომელ მღერ/ი/ედ გაიიღეს ძაღლი შარდზედა.

ლზ ქ: სენისათვის რომელ მკერდზედ გამოუვა /.../ ანუ ყვერზედა.

ლთ ქ: სენისათვის რომელსა ეწიდების კოლინჯი რომელიც და-/ა/უძღურებს მწევარს ანუ სხვას ძაღლსა.

ლი ქ: სენისათვის ძაღლისა რომელსა ეწიდება მგლის სენი.

მ ქ: სენისათვის რომელი აჭშენდეს.

მა ქ: სენისათვის რომელ შინაგან გაჭრილობა ქონდეს ანუ წაწლევისა ანუ სხვის რომლისამე ასოსი.

მბ ქ: სენისათვის რომელსა ციაცხელება სჭირდეს.

ქ: ჭიის გახვევნისათვის ანუ მუცლიდან გაგანებისათვის.

მგ ქ: სენისათვის ღვიძლისა და ტკივილისა მისისა.

მდ ქ: ტყლის სენისათვის.

მე ქ: ტყირპის სენისათვის.

მვ ქ: შარდზედ შეკვრისათვის.

მზ ქ: ყვანისათვის.

მთ ქ: ყაშტიშისათვის ძაღლისა.

მი ქ: სისხლზედ ყვანისათვის.

ნ ქ: ტურის სენისათვის რომელ არს ძნელი.

ნა ქ: ნიკრის სენისაფვის.

ნბ ქ: სტომაქის სენისაფვის ძაღლისა.

ნგ ქ: ფილტვის სენისაფვის.

ნდ.ქ: სიმსივე სენისაფვის ძაღლისა.

ქ: კუთრუნებისაფვის ძაღლისა /ხაში აქეს გაეასმული ჰ.ჯ./.

ნე ქ: წერილის ჭიისაფვის რომელიც ექნება ფილტვებედ რომელ არს ყლერქი რომელიც სჭამს საჭმელს და არ მოიმატებს.

ნვ ქ: ხშირ დამწოლელის სენისაფვის.

ნზ ქ: ფირკნელის ტკივილისაფვის ძაღლისა.

ნთ ქ: ხბრეშის ტკივილისაფვის და დაჭერისა.

ნი ქ: დაღაღუღინი და ჭარშის მიცემისაფვის

ქ: ყვერეშის დასიეშისაფვის.

ქა ქ: ქარისაფვის რომელი ფეძოეშს აიფრევს სიარულში.

ქ: წელკავისაფვის.

ქ: შევრის სირშილისაგან რომ დაშაში წყალი ჩაშისხილეს.

ქბ ქ: ფეხის ტკენისაფვის.

ქგ ქ: ფეხის ამოგდეშისაფვის.

ქდ.ქ: ფეხის მოტეხისაფვის.

ქე ქ: ფეხის მოცვეფისაფვის.

ქვ ქ: პილნის ბალახის ჭამისა ანუ შაშაჭუა რომ შეაფანოს.

ქზ ქ: მძოვრის ჭამისაფვის რომელსაც გაეჭრუეშიოს.

ქთ ქ: მგლის დარჩომისაფვის რომელიც რომ მგელის სენმა ძაღლი შეაბუხოს.

ქი ქ: ძელის დაგდომისაფვის ყელგეა ანუ წევსის ჩაყლაპეშინფს ეისმე მფრობიფ.

ო ქ: ყველის ნაკშენისაფვის.

ოა ქ: წურშლის მოკიდეშისაფვის ყელში.

ობ ქ: კუთრუანის სენისაფვის.

ოგ ქ: მუნისაფვის ძაღლისა.

ოდ ქ: ქეცისაფვის ძაღლისა.

ოე ქ: ცილის დახვევენისაფვის და მის გაფრევინეშის წამალი.

ოვ ქ: მექეჭისაფვის.

ოზ ქ: ხორცმეტისაფვის.

ოთ ქ: მგლისაგან დაჭერისაფვის ანუ ძაღლისაგან დაცლეჯისაფვის.

ოი ქ: ხელიფ ანუ ხანჯლიფ დაჭრისაფვის.

პ ქ: მაღლის ჩახვევისათვის.
პა ქ: ღორისაგან დაჭრისათვის რომელსა ნაწლევი გამოსული ქონდეს გარეთ.
პბ ქ: გასუქებისათვის ძაღლისა რომელი მჭლე იყოს.
პგ ქ: სახმობის აშორშვევისათვის რომელი მოამატებს.
პდ ქ: ბერის ძაღლის დაღლისათვის რომელი ძაღას მისცემს.
პე ქ: ფრჩხილის გავარდნისათვის.
პვ ქ: ბაღნის გაცივნული მოკვრისათვის.
პზ ქ: სასირცხოს ასოს ტყავიდამ გარეთ ღარჩომისათვის".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეტერინარული კარაბადინის შესახებ ჯგუფი

ქვემოთ გაგვეცნობიერებინა ის 9 ვეტერინარული ხელნაწერის, რომლებშიც ფრინველთა მოვლა-პატრონობის, დაავადებებისა და მათი მკურნალობის მეთოდებისა და საშუალებების შესახებაა მოთხრობილი.

ჯამთა სიავეს გადარჩენილი, ზოგი ნაკლული, ზოგი კი უნაკლულო "ფრინველთა კარაბადინად" წოდებული ცხრა ეგზემპლარი ხელნაწერია შემორჩენილი.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ეს კარაბადინთა მიცემულ ჯგუფში გაერთიანებულ ხელნაწერთა ტექსტობრივი შეჯერების შედეგად იქნა გარკვეული, ყველა ცხრა "ფრინველთა კარაბადინად" წოდებული ხელნაწერი ან ერთმანეთისაგან, ან სხვა, ამავე შრომის შემცველ ხელნაწერიდან წარმოებულ-გადაწერილ წუსხებს წარმოადგენენ. მოხსენებულის გამო მათში აღწერილი ტექსტი, მეტ შემთხვევაში, სიტყვა-სიტყვით და ზედმიწევნით მისდევს ერთმანეთს, ზოგჯერ კი მეტ-ნაკლებად სცილდებიან, რაც მათი გადაწერის მიმწერში შეტანილი დამატებებით ან დეტალში არსებული ტექსტის გამოკლებით უნდა აიხსნას.

ჯგუფში გაერთიანებულ ხელნაწერთა უმრავლესობა გადაწერილია XVIII საუკუნეში. ყველაზე ადრე დაწერილი მათ შორის Q № 562:2 ხელნაწერია /XVII საუკუნე/. უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ ხელნაწერს დართული აქვს ფიტოიოლოგიური შესავალი, რომელიც ენობრივი ნიშნებით, როგორც პროფ. ი.აბულაძე გამოკვლევას ამბობს ამის შესახებ, მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნის წერი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობით ძეგლს უნია წარმოადგენენ[1].

ხელნაწერის ფიზიოლოგიური შესაფასი იწყება ტანცხადებით, რომ ყოველივე ხორციელი ოთხი ნივთისაგან შედგება: ქარის, ცეცხლის, წყლისა და მიწისაგან, ცოცხალ სხეულში ეს ოთხი ნივთი ერთმანეთთან შეთანასწორებულია.

შესაფასის შემდეგ იწყება ტექსტი, რომელშიც მოკლედ ფრინველის მოვლა-მოშენების შესახებ, ხოლო უფრო ვრცლად ფრინველთა სხვადასხვა დაავადებები განიხილება. ვრცელი ტექსტის ენა ხელნაწერისათვის დარგობრივი ფიზიოლოგიური შესაფასის ენისაგან განსხვავებით და მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნის ენას შეესაბამება[2].

ფრინველთა კარაბადინების ცხრა ხელნაწერის არსებობა და შემონახულობა იმის მაუწყებელი უნია იქნას მიჩნეული, რომ ქართველი ხალხი სათანადო დაინტერესებას და ინიციატივას იჩენდა მათი გავრცელება-გავრცელების საქმეში. როგორც ჩანს, საქართველოში ძველად, ცხენისა და სხვა სახის ცხოველთა მოვლა-მოშენებისა და მათ დაავადებებთან ბრძოლის გარდა, ფრინველთა მოვლა-მოშენებისა და მის დაავადებებთან ბრძოლის საქმეს სათანადო ყურადღება ექცა დაბმობილი, მეფრინველეობა ძველთაგანვე ქართველი ხალხის სამეურნეო ცხოვრებაში ერთ-ერთ მთავარ და წამყვან დარგად ითვლია აღიარებული და მათი ეკონომიური უზრუნველყოფის წყაროს წარმოადგენდა.

ფრინველთა კარაბადინის სრული ტექსტი 41 პარაგრაფისაგან შედგება. მასში ჩოგადად განხილულია ფრინველის მოვლა-მოშენე-

---

1/ ი. ბერიტაშვილი, მოძღვრება აღამიანის ბუნების შესახებ საქართველოში, გვ.175, თბილისი, 1957.

2/ იქვე, გვ. 178.

ბის მოცილების საკითხი, დაავადებები და მოწოდებულია დაავადებათა საწინააღმდეგო გამოყენებული სამკურნალწამლო საშუალებები.

ხელნაწერში ფრინველთა დაავადებებისაგან მთავარი ყურადღება დათმობილი აქვს ჰელმინთოზებს, მასთან ბრძოლის ხერხებსა და საშუალებებს. გარდა ფრინველთა ჰელმინთოზებისა, შრომაში განხილულია სხვა დაავადებები, რომელთა უკეთ წარმოდგენისათვის ქვემოთ სრულად მოვიტანთ S-N 3728 ხელნაწერის "ფრინველის კარაბაღინის" "განგაშს" - სარჩევს.

"განგაში წიგნისა ამის რომელიც აღწერილ არს

ა. მამიერს ფრინველი როგორ უნდა შეეჩვიოს.
ბ. ფრინველს რომ ჭია სჭირდეს.
გ. ცამბილის ჭმევისათვის.
დ. ხორასანის ჭმევისათვის.
ე. უდენელობისათვის.
ვ. ფრინველის კაპიტობისათვის.
ზ. უქრელობისათვის.
ი. გამოყვანისათვის
ი. კირის შეცრისათვის.
ი. კირის წამლობისათვის.
ია. ნაფაშის წამლობისათვის.
იბ. ფრინველი რომ შეიკრას და ვეღარ გაიხედეს.
იგ. ფრინველს რომ ცული სჭიდეს და უდრიდეს.
იდ. ფრინველი რომ თავ-პირში გაჭედით იყოს.
იე. კიდევ ნაფაშის წამლობისათვის.
ივ. ფრინველს თუ მუცლიდან აქშენდეს.
იზ. ანღლის წამლობისათვის.
იი. ოყნისათვის.
იი. ფრინველის ჭრენისათვის.
კ. ფრინველის პირის სიმყრალისათვის.
კა. წიწლაკისათვის.

კშ. ხორცის ამოღრისათვის.
კჩ. ტყლის ტკივილისა და ფეთქისათვის.
კც. მხრის ღვიძლისათვის.
კძ. მუდაიდის წამლებისა.
კწ. ცნობა და შეცდომა ფრინველის ქრილად ყოფნისათვის.
კჭ. ხორაგუდაგის ნიშნებისათვის.
კხ. კაეშნის ნიშნებისათვის.
ლ. ფილენჯისა და მისის ნიშნებისათვის.
ლა. ფუშის ჩამოსვლისათვის.
ლბ. ფილთისა შურფვლისა და წაკრთობისათვის.
ლგ. ფრინველთა ფეხის ტკივილისა და კოჭლობისათვის.
ლდ. ფრინველთ მტილისა და შურფვლის ცვენისათვის.
ლე. ყოველთა ფრინველთა ტილის სხმისათვის.
ლვ. ფრინველთა თავის ტკივილისა და მისის ნიშნისათვის.
ლზ. ფრინველთ ყურის ტკივილისა და მისის ნიშნისათვის.
ლთ. ფრინველთ თვალის ტკივილისა და ლიშრისათვის.
ლი. ფრინველთ ხრის შეკრისა და მისის წამლობისათვის.
მ. ფრინველთ დაღლილობისა და დაჭანჭვისათვის.
მა. ფრინველთ მავლისა და მჯრის ტკივილისათვის."

ეროვნული ბიბლიოთეკა

"ფრინველთა კარაბაღინების" ნუსხები

№№ რიგე	შენახვის ადგილი	კოლექცია	ხელნაწერის №	დაწერის ან გადაწერის წელი ან საუკუნე	ფურცელთა რაოდენობა და ზომები სმ-ში
1.	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი.	S	26	XVIII	31-დან 78 ფ-დამდე. 19 X 16.
2.	-"-	-"-	325	1832	37. 23,5 X 18,5
3.	-"-	-"-	330	XVIII	40. 21 X 17
4.	-"-	-"-	1737	1775	168. 19 5 X 16,3
5.	-"-	Q	562:2	XVII	183-დან 220 ფ-მდე 28,5 X 20,5
6.	-"-	H	297	XVIII	79. 20 X 15
7.	ქ.ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი	-	243	XVIII	104. 19 X 14
8.	ქ.ტელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი	-	2482	XVIII	56. 20,4 X 15,5
9.	სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი	C	16	XVIII	25. 17 X 10,3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეტერინარულ კარაბადინთა მეოხებაზე ჯგუფი

ხელნაწერ ვეტერინარულ კარაბადინთა მეოხებაზე ჯგუფში ჩვენ გავაერთიანეთ ერთი და იგივე ვეტერინარული შრომის შემცველი ორი: S-№ 268 და Q-№ 311:2 ხელნაწერი, რომელთა ტექსტი სიტყვა-სიტყვით ემთხვევა ერთმანეთს.

შრომაში განხილულია ვეტერინარულ სამკურნალოდ საშუალებათა ძირითადი ფორმები და სახეები, რაც საშუალებას გვაძლევს ხელნაწერებში წარმოდგენილი შრომა ვეტერინარულ რეცეპტურად მივიჩნიოთ. შრომის ხასიათის ასეთი განსაზღვრის საფუძველს აგრეთვე გვაძლევს მისი ავტორის - შაგრად შაფონიშვილის ხელნაწერისათვის დართული ერთ-ერთი მინაწერი, რომელიც ამავე დროს ხელნაწერის წინასიტყვაობასაც წარმოადგენს: "ესე არს აფთიაკი, რომელსაც გაჩუენებსთ ზემო სამკურნალო ცხენისა ყოველთავე წამალთა შემზადებათა და ცნობათა მათთა ვითა ლატინურად სახელებულთა წამალთა ეგრეთვე ქართულათაც სახელებულთა იმავე წამალთა სახელთა"[1].

Q-№ 311:2 ხელნაწერის 106 ვ-ზე შესრულებული ავტორისეული მინაწერი გვაცნობს, რომ იგი შაგრად შაფონიშვილის თავისი უფროსი ძმისათვის - იოანესათვის მიუძღვნია:

"უფანაძეებულესო მეფის ქიორქის ძეო იოანე: მოწყალეო ხელმწიფევ: უცხოებასა შინა მყოფსა თანა ამს შრომად ქანჩელისაჲს ერთსა რასა არა მიეცეს უმეტესსაა მწუხარებასა, და უმჯობეს არს ესე ვითარისა შრომისა ქვეშეთად, რომელიცა ნიშნევდეს სიბრძნესა და მისცემდეს კაცთა სარგებელისა და ესე არს

1/ ხელნაწერი Q-№ 311:2, 105 ვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიბეჭდი შრომისა ჩემისა ქარიმიოლებაზე სამკურნალოჲსა ცხენისა მისითა, რუსულითა ქარიუსისა ენასა გ ა, საჭიროდ განვსაჯე გამოჴჩრიბე და ერთად შევაწყე, რომელიც არს ესეცა ნაწილ სიბრძნისა და სარგებელ კაცთა და ეგრეთვე აღრიდგანვე უწყი სურვილი უგანათლებულესობისა თქვენისა სიბრძნისა მოყვარეობისაებრ და გამოცილებად სამკურნალოჲსა ჴელოვნებასა შინა ამისთჳს უმჯესად ეიტყვისმოგონე შეძლებად თქვენდამი, რათა მიიღოთ უმაღლესად უმცირესისაგან ძმისა თქვენისა და უკეთუ ნაკლულევანება რაჲმე ჰპოოთ სრულჰყოთ რომლისათჳსცა ვეტყვი:- მეფის ძე მაგრად 1807 დეკემბრის 14 მოსკოს"1/

მოცემულ შრომაში განხილულია 117 რეცეპტი, რომლებშიც ვეტერინარულ სამკურნალოწამლო საშუალებათა შემდეგი ძირითადი ფორმებია წარმოდგენილი: მალამინი, წყალი /Aqua/, დეკოკტი, შირა, ანუ ექსტრაქტი, მალამო /Unguentum/, ზეთი /Oleum/, მარილები, მტვერი /Pulvis/ და სხვ. მათში წარმოდგენილი წამლები სახელდებულია უმთავრესად როგორც წამლის ფორმის და რეცეპტის ძირითადი შემადგენელი ნივთიერების დასახელების, ისე მათი მოქმედების მიხედვით. მაგალითად, "მალამინი ტყვირიისა და თუთრის ნავთისა", "მალამო ქაფურისა", "მალამო სახსრის ტკივილისა", "შირა ფასაწმენდი" და ა.შ.

წამალთა მიმოქცევის სახის განხილვისას მიმოხილულია მისი შემადგენელი კომპონენტებზე, ლოგებზე, მიცემის /მიღების/ წესებზე, დამზადების ტექნოლოგიაზე და დაავადებაზე, რომლის სამკურნალოდაც არის გათვალისწინებული ესა თუ ის წამალი. მაგალითისათვის მოვიტანთ ხელნაწერებში აღწერილ რამდენიმე რეცეპტს:

"მალამინი ყოვლის სენის მარგებელი. მოიღე ვენეციის სალენი 12 მისხალი, ოპიო სამი მისხალი, ესენი ერთად აურიე და ქაღალდ ამათში სალენი და ჩაყარე ბუჭიკები და დაასხი ერთი სვიტი სპირტ იაუც პირსა მაგრა და დადგი ტბილს აღ-

---

1/ ხელნაწერი S-№ 268, გვ. 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციის ანუ მზეზე და მაღალ გააჭანჭყარებდე. რვას დღეს მერმე მოჰხადე პირსა და აურივე ნ მისხალი ქაფური. ეს ბალახინი დააღევინე ამგვარად: 12 მისხალს ოქაში დააწვეთებდე 3 ანუ ნ წვეთსა და მისცემდე ერთს დაღევად ფშიის წყლით. ესე ბალახინი ჰკურნებს შეკრულებასა ძარღვებისასა და მუცის ტკივილსა და ერევა ოცნებაც 3 მისხალი და ტარებამ წასასმელითაც არგებს ნაკრთობს და დახუთვის ძარღვებს"1/.

"წყალი შემკერელი ანუ დასაბანი წყლულებისათვს: მოხარშე ორი ფუნთი კირის წყალი და თუ კირი ვერ იშოვო ამის მაგიერ მოხარშე ხაში წყალი და აურივე ამ წყალში ბაში და ღურჯი ბაში-ამანი, ამათ თითოთაგან 18 მისხალი, ესე გამინარი ამ წყალში ტარებასწურე და ჩაასხი ბუტიკაში და შეინახე მოსახმარებლად. ეს წყალი ჰკურნებს სისხლის დენასა დაჭრილისასა, უნდა ჰბანი ის ადგილი და უნდა დააღო მჭრალი ამით დასველებული და შეუკრა მაგრა ის ადგილიცა"2/.

რა შეიძლება ითქვას შრომის ავტორობის, დაწერის თარიღისა და ორიგინალობის შესახებ?

Q-№ 311:2 ხელნაწერის ბოლო - 151ზ ფურცელზე შესრულებული მინაწერი იუწყება იმის შესახებ, რომ ხელნაწერი ავტორის ავტოგრაფიული ნაწერი არაა, რომ მის გადამწერი იოანე შამციეროვია, ხოლო შემდგენელი მაგრად მაფონიშვილი /საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შვილი/.

"ქ. ესე ცხენდა სამკურნალო წიგნი რუსულისაგან ქართულსა ენასა ზედა ნათარგმნი, მისი უკანასკნელ შეუსწორებელის საქართველოს 13 მეფის გიორგის ძე მაგრატის მიერ; ალბერტა ჭელიძა ცოდვილის ხუცის დეკანოზის იოანეს მაციეროვისაგან სამეუფოსა ქალაქსა შინა მოსკოვს"3/.

1/ ხელნაწერი Q-№ 311:2, 107ზ.
2/ -"- S-№ 268, 7ზ.
3/ საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი ერეკლეს ძე ბოლომდე მეთორმეტე, ბოლომდე კი მეცამეტედ იხსენიება.

ხელნაწერისათვის დართული ერთ-ერთი მინაწერი, რომელიც ავტორისეულად უნდა მივიჩნიოთ, ცნობას იძლევა იმ ცირიოდენი ვეტერინარული წყაროების შესახებ, რომლითაც უსარგებლია მაგრატს ქვეყანაში გაერთიანებულ ხელნაწერებში წარმოდგენილი თრომის შესადგენად. იმავ მინაწერში ნაჩვენებია თრომის დაწერის თარიღი - 1807 წლის 14 დეკემბერი.

"ესე ცხენთა სამკურნალო, რომელიცა აღუწერავს უფაის ლეონტის ევესტს მთელ არკაპრის: წელსა 1795 მისის შრწყინვალების ღრაფის ალექსი გრიგორიჩის ორლოვისათვის, რომელიცა იყო ფრიად ცხენთა მოყვარე. /ხოლო/ ესე იოარგმნა გამოკრებით ორთა ტომთა წიგნთაგან მისის უგანათლებულესობის საქართველოს მეფისა 13 გიორგის ძის მაგრატისაგან, სამეფოსა ქალაქსა მოსკოვს: წელსა 1807 დეკემბრის 14"1/

როგორც ავტორისეული მინაწერის მოტანილი სიტყვებიდან ჩანს, თრომის დასაწერად მას გამოყენებული აქვს რუსულ ენაზე არსებული სხვადასხვა ვეტერინარული წიგნები /...ხოლო ესე იოარგმნა გამოკრებით ორთა ტომთა წიგნთაგან..."/, რომელთაგან ცირიოდენ წყაროდ იონტი ევესტის მიერ დაწერილი და 1795 წელს რუსულ ენაზე გამოცემული წიგნი უნდა მივიჩნიოთ.

"ვეტერინარული რეცეპტურის" ტექსტი ჩვენ მიერ შეპარებული იქნა მის დასაწერად გამოყენებულ ერთ-ერთ ცირიოდენ წყაროსთან /დედანთან/ - იონტი ევესტის "Полный русский конской лечебник - თან. შეპარების შეედეგმა ცხადყო, რომ მაგრატის "ვეტერინარული რეცეპტურა" იონტი ევესტის ზემოხსენებული წიგნის ნნინდა თარგმანი კი არაა, არამედ, სრული ან სიტყვის ნნიშვნელობით, მის დასაწერად გამოყენებული ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს.

1/ ხელნაწერი S-№ 268, გვ. IV.

მარწყვია, შაგრამ შაფონიშვილი ხელნაწერისათვის დარწყულ ანდერძსა და სხვა მინაწერებში ხშირად ხმარობს სიტყვას "იოარგმნა", რის გამოც შეიძლება მისი "ვეტერინარული რეცეპტურა" რუსულ ენაზე არსებული წიგნის წმინდა თარგმანად მივიჩნიოთ. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ შაგრამი თვითონვე მიუთითებს: "...იოარგმნა ქამოკრებით ორთა ქიმია წიგნთაგან", "...საჭირო ქანვსაჯე ქამოეჭრიბე და ერთად შეეაწყე..." და სხვ. შაგრამის ეს სიტყვები, "ვეტერინარული რეცეპტურისა" და ე. ევესტის "Полный русский конской лечебник"-ის ტექსტთა ურთიერთ შეჯერების შედეგების გათვალისწინებით, უფლებას გვაძლევს "ვეტერინარული რეცეპტურა" კომპილაციურ ხრიმად მივიჩნიოთ, ხოლო მის ავტორად შაგრამ შაფონიშვილი ვალიაროთ.

"ვეტერინარულ რეცეპტურაზე უკეთ წარმოდგენისათვის ქვემოთ სრულად მოგვყავს მისი სარჩევი S-№ 268 ხელნაწერის მიხედვით.

"§-1. შაღაბინი ყოვლის სენის მარგებელი.

§-2. შაღაბინი სასისოცხლო.

§-3. შაღაბინი ანუ ლოგირისა და ყვავილისა.

§-4. შაღაბინი ლოგირისა და თეთრის ნავთისა ერთად შეშავებული.

§-5. შაღაბინი კარტოპილის ზეთისა.

§-6. ღუდგულის წვენის მოქმედებისათვს

§-7. წყალი შენკვრელი ანუ დასაშანი წყლულებისათვს ანუ მჭაღნელისათვს.

§-8. წყალი ვარდისა ორჯერ გამოხდილი.

§-9. წყალი კირისა დაჭრილობისათვს სახმარებლად.

§-10. წყალი სისხლის გასაშენებელი და მოსახმარებელი ჭრილობისა და ავის მუწუკებისათვს.

§- 11. წყალი თეთრი თვალის ტკივილის მარგებელი.

§-12. წყალი თვალისათვს ღურჯი.

§-13. წყალი დაჭრილისათვს.

§-14. წყალი ყვავილისა ტკივილის დამაშენებელი.

§-15. დეკოკტი ესე შეიკრიბება ხის ძირების და შაღახის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირებისაგან და ხის ქერქისაგან და ყვავილისაგან და ბალიშა მოხარშული წვენი ამის.

§-16. შეკრებილი ძირები და ყვავილი სხვა ფერი.

§-17. ძირები ერთად მოხარშული მუცლის შესაკრავი და კუჭის ტასამაგრებელი.

§-18. შეკრებილი ხის ქერქნი ტოტები და ფოთოლი.

§-19. ძირებნი და ქერქები და ყვავილნი მკურნალნი ციებისანი ერთად შეკრებული.

§-20. ძირები სასაქმებელი ერთად არეული.

§-21. ექსტრაკტი ანუ წინა მოხარშული ძირთაგან ანუ ყვავილთაგან.

§-22. შირა ანუ ექსტრაკტი ანღელიჩას ბალახისა.

§-23. შესანახავად აბრინდის შირა და თაფლამისა და სხვათა ყვავილთა და ვარდისათვს ტაკეთება როგორც სხვა შირა და შეინახება მოსახმარებლად.

§-24. სქლად მოხარშული ტყვიის ნაქერები ანუ ნაცარი.

§-25. შირა ანუ ექსტრაკტი სასაქმებელი ანუ ჯუღაში.

§-26. შირა ბწარე კუჭის ტასამაგრებელი და მარგებელი.

§-27. შირა ჯალაფის ძირისა.

§-28. შირა ტასაწმენდი.

§-29. ელექსტრი ესენცია ანუ სასაქმებელი.

§-30. ელექსტრი რ/ოზ/ელიცა ჰკურნავს ფაშვსა ტაუნაგრებს კუჭსა და ტაუწმენდს ნაწლევსა.

§-31. ელექსტრი თავლის ცაირისა.

§-32. ელექსტრი ქაღალდისა.

§-33. ოპიო მინერალი ანუ ტრიაქის ოქსა.

§-34. წასასმელი ანუ მუშანბა მოტეხილისა.

§-35. კალის ქვა ანუ ბორი სპანსკი.

§-36. ქვა ანუ ხის ნაფოტნი და ბეთნი ფეიის ტკივილისათვს.

§-37. ქვა შირიმისათვს საკურნებელი.

§-38. ქვა ტაჭრილისათვს.

§-39. ქვა საკვირველი.

§-40. ლეინის მარილის ტამოხდა კრემ თართაროთი ანუ ცილისაგან ანუ მარილისაგან ტამოხდება.

§-41. ყირმიზი მინერალი.

§-42. ოქრა.

§-43. ოქრა ტასაამებელი სნეულებისა.

§-44. ოცნა შესაკრავი.

§-45. ოცნა ქარის გამანმენელი ანუ მუცელ გაჭრილი-სათვს.

§-46. ოცნა გასამაგრებელი კუჭისა.

§-47. ოცნა გასაღებისელი.

§-48. ოცნა გასაწმენდი ახალი შემოღებული.

§-49. ოცნა ჭიისათვს.

§-50. ოცნა საჭმელმა ან ქერმა რომ გაამძიმოს და აღარას სჭამდეს ამისთვს.

§-51. ოცნა უკანისათვს.

§-52. ოცნა შარდის გახსნისათვს.

§-53. მაღამო რომელსაც სახელად ჰქვიან აღტენი ვიმი ბალშისა ძირისა ანუ ყვავილისა.

§-54. მაღამო ბებერიკონისა ბეთის მწვანე.

§-55. მაღამო სანდლისა და ცვილისა ნაცრისა.

§-56. მაღამო გასაღებელი ანუ მოსაჭმელი.

§-57. მაღამო გასამთელებელი.

§-58. მაღამო მისირული ანუ ეგიპტისა.

§-59. მაღამო ქაფურისა.

§-60. მაღამო სახსრის გკივილისა.

§-61. მაღამო აგურის ბეთისა.

§-62. მაღამო საპნისა.

§-63. მაღამო მუნუკისა რომ მაგრი დაეხეთოს ანუ წყლულისა.

§-64. მაღამო ღიმანცკი ქვისა და ფიღისათვს.

§-65. მაღამო, რომელსაც ფრანგული ჰქვან ეპოპეღევია.

§-66. მაღამო შეჭრილისათვს.

§-67. ბეთის საწოლა ანუ ბეთი ბეითუნისა.

§-68. ბეთი ღანაცილთაგან ანუ ხის ყლორტთა და ანუ ღაფნის ბეთის გამოხდა.

§-69. ბეთი ღანაცილის მოჭვისა.

§-70. ბეთი ღანაცილის ბეთის ხილისა.

§-71. ბეთი მოხარშული ანუ ნეხვის ჭიანჭველისა.

§-72. ბეთი მოხარშული ეარდისა.

§-73. ბეთი ყვავილთაგან და ფოთლთაგან შეკრებულთა.

§-74. მეთი ორჯერ მაკედონური და პრობა ნაქნარი.

§-75. მეთი შემოღებული ფილოსოფოსთაგან ანუ ატურისა.

§-76. მეთი ორჯერ გამხდარი ამბიწიის მაღახისა.

§-77. მეთი გამოხდილი ორჯერ ტერმენთინისა ანუ მეთრი ნავთისა.

§-78. მეთი კამისა.

§-79. მეთი მარილმა სხვითა და სხვათაგან.

§-80. მეთი მცერა ბოინისა[1]

§-81. მეთი ფილტრა ვენის დასადებელი.

§-82. მარშაფი თაფლისა ტკბის ტკბილისათვს.

§-83. მარშაფი მღვის ხახვისა.

§-84. ღვინის კენკრის წენი.

§-85. ტორტია გამწვარი ანუ გადახარისებული ანუ სარწუნელა.

§-86. მოთხრობა ჭაბებისა და მოქმედება და შემზადება ამისი და სარგებლობა.

§-87. ...გაკეთება ჭაბებისა მოხსენებულ არს 50 პუნქტსა შინა.

§-88. ჭაში ცაფრანისა ანუ ღიხტისა.

§-89. ჭაში სინგურისა.

§-90. ჭაში გასამაგრებელი ანუ შესაკრავი.

§-91. ჭაში სასაქმებელი რომელიცა გაკეთდება ორ გვარად ვითარ არს აღწერილი.

§-92. ჭაში დასურემენისა ესე იგი.

§-93. ჭაში მარილის გასახსნელი.

§-94. მუშანება ანუ მაღამი საცდელი.

§-95. მუშანება ანუ მაღამი /ლიმნიკოვისა ესე იგი/ /ანუ მელოდ ესე იგი/ ემპლასტრი დე მელიროდ.

§-96. მუშანება ანუ მაღამი გასამაგრებელი ლათინურად ჰქვიან პლასტრიამ დეფენციუმ.

§-97. მაღამი ანუ მუშანება საკვირველი ლათინურად მირა კოლუმნ.

§-98. მუშანება შავი ანუ მაღამი ლათინურად ემპლასტრი ნიგრუმ.

1/ კრაზანა მაღახი.

§-99. მაღალი მაგრანისა ლათინურად ემპლასტრუმ ოკსი კრო-ცეუმ.

§-100. მგველი /პუღისი ესე იგი/.

§-101. მგველი ტუჩის ტკივილისათჳს.

§-102. მგველი კუჭის მარგებელი.

§-103. მგველი მჟამ ჭამწენები ყოვლისა მაღალისა, ლა-თინურად პუღის აპსოიმენს.

§-104. მგველი სიცხის ჭამწენებელი, ლათინურად პუღის სანგვინეუმ პური ვიკანც.

§-105. მგველი ჭასამაგრებელი სადუათო, ლათინურად პუღ-ის ადსტრიგენს.

§-106. მგველი ხველისათჳს ლათინურად პუღის კონტრა-ტუშიმ.

§-107. მგველი ციებისა მარგებელი, ლათინურად პუღისის ანტიშროიის.

§-108. მგველი მუცლის სენისათჳს, ლათინურად პუღის კონტრავერმეს.

§-109. მგველი ბაკვამბეიის სნეულებისათჳს, ლათი-ნურად პუღის სპაგნი.

§-110. მგველი ბესანახავი ლათინურად პუღის ბაკციკუ.

§-111. მგველი შიგნიდამ ბაჭრიოშისათჳს, ლათინურად პუღის ურნელარია.

§-112. მგველი მარიის გასახსნელი, ლათინურად პუღის დეკრეტიკოს.

§-113. ბასაღებელი ანუ ბასამწიფებელი წაგკენისა ანუ მუწუკისა ლათინურად კგაგა პაგამაგა.

§-114. ბასაღები გევიდამა, ლათინურად პლატაპლაგმა ალაგარგუნე.

§-115. ბასაღებელი ფაფა ბასაღებლად, ლათინურად ტაპ-ლაგმა ემბრიონს.

§-116. ბასაღებელი მუწუკის ბასაღებლად

§-117. ძმარი ანუ ოქსიმელი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეტერინარულ ხელნაწერებში /კარაბაღინებში/ აღწერილი ბოტანიკური საკითხები

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ვეტერინარულ ხელნაწერ კარაბაღინთა უმრავლესობაში, მწირია ვეტერინარულ საკითხებს გარდა, აღწერილია ბოტანიკური საკითხებიც. ამ სახის მასალები როგორც წესი, კარაბაღინთა დასაწყისში, ე.ი. პირველ ნაწილებია წარმოდგენილი.

იმის გამო, რომ ბოტანიკური ხასიათის საკითხები, ისევე როგორც ვეტერინარული, ყველაზე უხვად წარმოდგენილია იოანე ოსესძის მიერ გადმოღებულ-შეკრებილ კომპილაციურ შრომაში "ცხენის კარაბაღინში", რომლის ერთ-ერთ წუსხას /ეგზემპლარს/ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის H კოლექციაში 2156 ნომრით დაცული ხელნაწერი წარმოადგენს, გადავწყვიტეთ დაგვეწებული საკითხი განვიხილოთ დასახელებულ ხელნაწერში აღწერილი მასალების მიხედვით.

გამოხსენებული H-№ 2156 ხელნაწერი "ცხენის კარაბაღინი", როგორც ამის შესახებ ქართულ ვეტერინარულ ხელნაწერთა საერთო მიმოხილვაში გვაქვს მითითებული, სულ 280 პარაგრაფისაგან შედგება. აქედან პირველ 56 პარაგრაფში ბოტანიკური საკითხები განიხილება[1].

1/ H-№ 2156 ხელნაწერში აღწერილი იმ პარაგრაფთა დასაწყისები, რომლებშიც ბოტანიკური საკითხები განიხილება /პირველი 56 პარაგრაფი/, იხილეთ მოცემული შრომის 168 გვერდზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელნაწერის პირველი პარაგრაფის სათაურია: "კარი პირველი ჯოგის შეერისათვის". მასში მოთხრობილია იმის შესახებ, რომ სანაშენედ შერჩეული და გამოყენებული უნდა იქნეს სანაწარმო ფერისა და დაღებითი ექსტერიერის მქონე ბეღაური ცხენი, რომ ცხენის სანაშენედ შერჩევისას მისი "საქციელი და დახელოვნებულობა" ცხენის აქკარგიანობის განსაზღვრელ ფაქტორად არ უნდა იქნეს მიჩნეული.

ერთ-ერთ პარაგრაფში, რომლის სათაურია: "კარი აჩიღის ჯარეულისათვის" მოთხრობილია იმის შესახებ, რომ კარგი აჩიღა /მწარმოებელი ცხენი/, თუ იგი შეღაურია, უმჯობესია ჯოგს გამოცვლის და სასურველი მიმართულებას მისცემს. /"კარგი აჩიღა ჯოგს გააკეთებს, ფაშატიცა და ულაყიც კარგი გამოვა"/.

ხელნაწერის იმავე პარაგრაფში, ცხენის მაკეთების ხანგრძლივობის გათვალისწინებით, მითითებულია იმის შესახებ, თუ წლის რომელ პერიოდში უნდა იქნეს აჩიღა ჯოგში გამშვებული. კერძოდ რჩევას იძლევა: იმ ჯოგში, რომელიც ბარში იმყოფება, აჩიღა გამშვებული იქნეს მარტის ათი რიცხვიდან, ხოლო მთაში მყოფ ჯოგში - აპრილის დაღევის შემდეგ.

"...აჩიღა ასე უნდა ბარის ჯოგის პატრონმა მარტის ათს გაურიოს, ახალმა კვიცმა გამოიღოს რომ დაიწყოს და მთის ჯოგის პატრონმა აპრილის გასულს, რომ მთაში აღრეული კვიცი დასვას, ღეღასა და კვცს სიცივე ორსავე ძალას მოსთხოვს".

მითითებულია იმის შესახებ, რომ მოკეთის წინა პერიოდში მაკე ცხენზე უნდა მიმაგრდეს საქმის მცოდნე და გამოცდილი პირი, რომელსაც "ქეშიკი" ეწოდებოდა. მის მოვალეობას წარმოადგენდა ჭეღამხედველობა და საჭიროების დახმარება ცხენის ორგანიზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის დატოვების მიზეზში.

ახალშობილი კვიცის კვეშის საკითხში რჩევა-დარიგებას იძლევა, რომ კვიცმა პირველი სამ დღეს დედის ძუძუ წოვოს, ხილო შემდგომ, ძრახისა და ტბის რძით კვიცის კვებაზე მიუთითებს.

პარაგრაფში: "კარი კვიცის ცნობისა, ფერისა, ჭვარისა, ნიშნებისა და ასოებისა", მოხსრობილია ცხენის ფერებზე და მათი მნიშვნელობის შესახებ ცხენის აკვარგიანობის შეცდომის საქმეში. მითითებულია, რომ კვიცს თავისი ფერი დაცხენებისას უკვე აღარ ჭაჭვეება.

"კვიცი კვლობისას სხვა ფერი იქნება და მერმე დაცხენებაში სხვას ფერს დაიჭერს...", ამასთანავე მითითებულია, რომ "...რახსი ცხენი ყოველს ფერს ცხენსა სჯობს..."

ცალკე პარაგრაფშია განხილული კვიცის ჭახედნისა და "მხედრობის" საკითხები. ლაპარაკია იმის შესახებ, რომ კვიცს სათანადო აღზრდა-წვრთნა სჭირდება, რათა მისგან ისეთი ავი ზნისა და ჩვეულებების მქონე ცხენი არ დაიჭეს, რომლებიცაა: "იელყაფინი", "ჩაღუჭი", "თავჭამიელარი", "ცაისარავე", "ქარაგობობა", "ფრთხილა" და სხვ. ასევე აწერილია ცხენის ჭახედნისა და წრთობის წესები და ხერხები, ცხენის ასაკის ჭანსაზღვრა ისეთი უწყვარი და ღესაც პრაქტიკაში მიღებული ნიშნებით, რომლებიცაა კბილების ცვეთა, კანის ელასტიკურობა /ტურგორი/ და სხვ. კბილების ცვეთით ცხენის ასაკის ჭანსაზღვრა-დაღგენის შესახებ ნათქვამია: "...თუ კბილების საღაჭე დასცუდია ბერია და თუ არ დასცუდია ჩუბოდ აქვს, არ არის ბერი. კისერი ჭაუსინჯე, თუ კისერზედ ჯაჭარიები ეტყობა, შეიტყევ რომ ბერია, კიდევ კისერზედ ტყავი მოუგრიხე თუ მალ ჭაიშალა არ არის ბერი, თუ ცოტა ხანს დაიჭა შუა ცხენად არის, თუ სულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიწყა დიად შერია. ასრულე ცმაწილ წახე..."

ხელნაწერში უფრო ვრცლად მოთხრობილია იმის შესახებ, თუ რომორი ექსტერიერული მონაცემები აქვს კარჩი ან აეი წნის ცხენს, რომორ უნდა ჭამოიცნო სწრაფი /"მაღი"/ ცხენი და სხვ.

ხელნაწერის "იე" და "იგ" პარაგრაფებში ჭაკი ცხენის დაგრიეებისა და მაკეობის მაჩვენებელი აღრეული ნიშნების შესახებ ნათქვამია:

"როდეს ჭაუშვან აჯიღა ჭდაიგე, მოხედე შენ პირველად, რომ მოჭესას მწვანეს მაღახვე, და ნაგე მეორეს დღეს, თუ რომ ჭამჭმარა მაღახი იმას შეუნახავს და თუ არ ჭამჭმარა არ შეუნახავს..."

ჭარდა ზემოთქმულისა, მითითებულია იმის შესახებ, რომ ცხენის ჯოგში არსებულ ყოველ ათ სულ ჭაკ ცხენზე ერთი აჯიღა იქნეს ჭაშვებული.

ცალკე პარაგრაფში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ რომორ იშობება ჯორი. /"ჭეიო ცხენს დაიჭერენ და მერმე ჭაუშვებენ აჯიღასა, და როდეს ჭაიყვანენ კარჭს ვირს კარჭს ჭდაიგე, ჭამოვა ამაოჭან სრული ჯორი. როდეს ჭაიყვანენ ულაყსა ვირგე, ისი შობს პაჭარას ჯორსა..."/ აწერილია აგრეთვე ჯორის ავკარჭიანობის დამახასიათებელი ექსტერიერული მონაცემები, ასაკის მიხედვით ცხენის კბილების ცვლის შესახებ და სხვ.

"კა" და "კჭ" პარაგრაფებში მოთხრობილი და მითითებულია, თუ რომორი ზნით ხასიათდება ამა თუ იმ ფერის ცხენი.

ხელნაწერის სამი ფურცლის ორივე მხარეზე დახატულია ცხენისათვის დასასმელი დაღების სხვადასხვა ფორმები, რომელთაც ქვეშ მიწერილი აქვთ წარწერა მაჩვენებელი იმისა, თუ რომელი ქვეყნის ცხენს უნდა ჭაუკეთდეს ისეთი ფორმის დაღი. მაგალითად: სხვადასხვა ფორმის 5 დაღს მიწერილი აქვს - "ჰამცანისი";

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრას – "ფაუტისა", ხუთს – "ამთაელისა", ჩვიდმეტს – "მქეისი", ერთს – "ატროპაჭანისა", ორს – "ქართველისა", თხუთმეტს – "ფურქისა", ხუთს – "არმენისა", შვიდს – "მაურიპისა", შვიდს – "მუსულმანისა" და სხვ.

ხელნაწერის 18 v-ზე დახატულია ცხენის სურათი, რომლის სხეულის სხვადასხვა ნაწილებზე გაკეთებული წარწერები გვამცნობენ მისი ავკარგიანობის შესახებ. მაგალითად, ქაჩაჩთან მიწერილია: "ქაჩაჩის ნაკვთი ფიქრი ქებულია. ქაჩაჩის პირი მაღალი კარგია. ფრთელი ხაიკი ესე იგი ბაყაყი მაგარი ქებულია ჰმელი ქაჩაჩი დაბუნებულია". "კოჭებსა და ქაჩაჩებს შუა მალები დაბუნებულია...სწორე კოჭები დაბუნებულია...უკანა ფეხების სიგრძე ქებულია...კუდის ძირი მსხვილი კარგი არის...გავა რამდენი მრგვალი იყოს და ფიქრი საქებელია..." და სხვ.

ქართულ ვეტერინარულ ხელნაწერთა ერთ ნაწილში, გარდა ცხენის მოვლა-მოშენებისა და მის პროფილაქტიკასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებისა, განიხილება შინაურ ფრინველთა მოვლა-მოშენების საკითხები/ხელნაწერები № 228, S-№ 226/.

ევინაიდან ინდოურის მოვლა-მოშენება სხვა დანარჩენ შინაურ ფრინველებთან შედარებით ყველაზე მეტ ყურადღებასა და მზრუნველობას მოითხოვს, ამიტომ საჭიროდ მიგვიჩნევია ქვემოთ სრულად მოვიტანოთ S-№ 226 ხელნაწერის ის პარაგრაფი, რომელშიც ინდოურის მოვლა-მოშენების საკითხებია განხილული.

"ინდოურის ქათმის შენახვისათვის და ფარშევანგისა

ინდოურის ქათამს დიდი მოვლა უნდა სხვა უბრალო ქათამზედა მეტი. ათს ინდოურს დედაკაცი ერთი მამაკაცი ეყოფა. ის მამაკაცი ერთს წელს უკან უნდა გამოუცვალო და ახალი გაუყიდო. დედალი ინდოური გასაძღებს ოთხ წელსა, წელიწადში დასდებს კვერცხს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცს ან ოცდაათს ამას უნდა კვერცხის დებაში ყურის ქდება, რომ უშრალო ალაგს არ ქაადგის, საბუდარი უნდა ქაუკეთო, რომ კვერცხი იმაში დაიბის. თითით უნდა უნახო თუ აქვს და საბუდარში თუ იწევეის და სურს რამე. კვერცხი რომ მოაგროვო უნდა შეინახო ქრილად მანამ კრუხად დაჯდებოდეს, როცა მოკრუხდეს მაშინ საბუდარში თივა ჩაუყო რბილად. თითოს ინდაურს დეკვსმეტი ან ჩვიდმეტი კვერცხი. ეს კრუხი უნდა ქიჯდეს სუფთა საქათმეში მოშენილოს და ცოტა მოთბოს აღგილს, კარი დაუკეტო, მამალი ინდაური არიდო, საკენკი და წყალი შიგ დაუდგა, რიდესაც საბუდარიდან საჭმელისათვის ან ფეხისაღაგისათვის ქადგომიდეს, მაშინ იმ კვერცხებზე ცხვრის ფლავი დაახურო, რომ არ ქაციდეს, როცა ქამოს ფლავი ისევ უნდა ახადო. ინდოური იჯდება ოცდარვა დღესა კრუხად ეს რომ შესრულდება ქამოჭჩეკავს, წიწიდები უნდა ამოიყვანო ცალკე და თბილად შეინახო, რომ მაგალმა ან დედალმა არ დახოცოს და უნდა მოუხარშო კვერცხი მაგრად და ამისი ქული უნდა აჭამო რბილს ბალიშზედ, რომ ნისკარტი არ დაუჭედოს და თუ ხშირად აჭამე უთუოდ ნისკარტი დაეჭედება და მოკვდება. სამ კვირას ასე ბალიშზედ აჭამე, სამ დღეს კვერცხის ქული აჭამე და მერმე სამ დღეს უკან ეს აჭამეთ: ბარდა მოხარშე ძალიან და კვერცხის ქული აურიე და ეს ეჭმევა რვა დღეს, მერე კიდევ მოხარშე ბარდა და აურიე დაკეპილი ჭინჭარი და სალათა და აჭამე დღეში სამჯერ ცოტცოტა მანამ მოიბედებოდეს, ორის კვირის შემდგომ აჭამე ბალახ შეწალი და ქაუშვი კარგს ბარში რომ კარში იარონ და ჭინჭრიანს ალაგს არიდე თორემ ჭინჭარი დახოცს. როცა ძალიერ დაცხეს ჩრდილში ამყოფე, ავდარში და ნოტიო დღეს კარში ნუ ქაუშვებ მანამ დაიბრუნდებოდენ მერე კი არა უშავს. ერთის თვისა, რომ შეიქმნას ჰურის არაქში დაღერღილი ფქვილი მოხარშე, ქაციე და აჭამე, ეს ცოტახანს დააშრობს და მერე ქამინდებს ეს ქაუმაგრებს სხეულსა და წიწილა აღარ დაიხოცებიან, ვარიან რომ ქახდეს და შიშიდომ, რომ ამისდა დაიწყოს ესეც შეაწუხებს დიდად მაშინ კანაფის ზეთი და კარაქი ერთად უნდა აურიო და ორს დღეში ერთხელ უნდა წაუსმიდე თავზედა, სიცხეში უნდა მატყლა ბალახი დაკეპო და ყურის დოში ან მაწონში აურიო და

ისე უნდა აჭამო შემოგთმად ისე შეინახო საკენკიც რომორც სხვა ქათამი და უკეთ თუ ავად ქახელს ავანყოფობა იცის ინის ნიშანი დაიბუნება და სკინტრე ყვითელდე ქავა, ამას უნდა დაალევინო ყოჩივარდა ბალახის ძირი ქალესილი წყალში და ქანურვილი ან ძმარი და შიქ ერიოს დანაყილი ნიორი ისიც ქანურვილი და თუ ბავის დასიებაც იცის და დაუსიებეს იმასაც ძმარი წაუსვი ნიორ არეული არგებს და ქათამს იხვს ასრევე უნდილ და შაფსაც. შაფი, რომ ავად ქახელს ისევ ნიორ ძმარი დაალევინე არგებს. სხვა ქათამზედ და შაფზედ ინდაურს დიდი მოვლა უნდა".

ვფიქრობთ, მოყვანილ პარაგრაფში ინდაურის მოვლა-მოშენება და მის კვებასთან დაკავშირებული რეკომენდებული მოგვიანო საკითხს დღესაც არ დაკარგავს პრაქტიკული მნიშვნელობა და ამდენად იგი ყურადღების მიქცევის ღირსია.

დაბოლოს აღვნიშნავთ, რომ როგორც მოცემული შრომის ქანხილი ბავიდან ჩანს, ვეტერინარულ ხელნაწერებში საკმაო ადგილი დათმობილი აქვს ზოოტექნიკურ საკითხებს. ამრიგად, ქართული ვეტერინარული ხელნაწერები საინტერესოა არა მარტო ვეტერინარიის ისტორიის საკითხის შესწავლისათვის საქართველოში, არამედ ზოოტექნიის ისტორიის შესწავლისათვისაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეტერინარულ ხელნაწერებში /კარაბადინებში/ აღწერილი შინაურ ცხოველთა და ფრინველთა ჭრილობის დაავადება

ვიდრე უშუალოდ მოცემულ თავში დაყენებული საკითხის განხილვას შეუდგებოდეთ, წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულ ვეტერინარულ ხელნაწერებში /კარაბადინებში/ აღწერილი შინაურ ცხოველთა და ფრინველთა დაავადებების დიდი უმრავლესობა სახელდებულია დღეისათვის უცნობი და ტაუტებარი სახელწოდებით. მოხსენებულის გამო უმთავრესად დაავადებების ამოცნობა-დადგენა, ხელნაწერებში აღწერილი დაავადებებისა და თანამედროვე ვეტერინარიაში ცნობილ დაავადებათა კლინიკური ნიშნებისა და სხვა ყურადსაღებ სიმპტომთა დამთხვევადობის ტათვალისწინებით გვიხდებოდა. ხელნაწერებში აღწერილ დაავადებათა დადგენა-ამოცნობის ასეთი მიდგომით ამოცნობილი იქნა რიგი დაავადებები, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ მათი საკმაო დიდი ნაწილის ამოცნობა-დადგენა მოხსენებული ხერხით მაინც ვერ მოხერხდა. საქმე იმაშია, რომ ბოდკერ ჩვენთვის ტაუტებარი, ძველი სახელწოდებით სახელდებულ რამდენიმე დაავადებისათვის ერთი და იგივე კლინიკური ნიშნები და სიმპტომებია დასახელებული. ბოდკერთ შემთხვევაში კი ამა თუ იმ დაავადების დასათაურების შემდეგ, კლინიკური ნიშნების აუცილებლად, პირდაპირ დაავადების სამკურნალწამლო საშუალებებია მოწოდებული.

ყოველივე ზემოხსენებულის გამო წინამდებარე შრომის მოცემულ თავში შესაძლებლობის ფარგლებში ტანვიხილავთ ჩვენს ხელთ არსებულ ქართულ ვეტერინარულ კარაბადინებში აღწერილ ცხოველთა და ფრინველთა იმ დაავადებებს და მათ სამკურნალწამლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეკომენდებულ საშუალებებს, რომელთა რაობა ცნობილია ან დადგენილ და გამოცნობილ იქნა ჩვენ მიერ.

ვეტერინარული ხასიათის ხელნაწერ კარაბადინთა უმრავლესობის თიქმის ყველა თავში /"კარში"/, ცხოველთა დაავადებების სამკურნალოდ საშუალებათა მითითებამდე, თანამიმდევრულად, მოკლედ და გასაგებ ენით აღწერილია დაავადების კლინიკური სურათი და ცალკეული სიმპტომები, რის შემდეგ მითითებულია წამლებზე, მათი მომზადების ტექნოლოგიასა და დოზებზე.

ის ფაქტი, რომ ხელნაწერებში ანატომია-ფიზიოლოგიისა და ვეტერინარიასთან დაკავშირებული სხვა თეორიული საკითხები თითქმის სრულებით არ განიხილება მასზე გვაფიქრებინებს, რომ ხელნაწერები პრაქტიკული მიზნებისათვის გამოსაყენებლად იყო განკუთვნილი, რომლებითაც სარგებლობა, საჭიროების შემთხვევაში, შეეძლო წერაკითხვის მცოდნე ყოველ ადამიანს.

უფრო ნათლად, რომ წარმოვიდგინოთ თუ როგორი თანმიმდევრობაა დაცული დაავადებათა აღწერისას, ქვემოთ სრულად მოვიტანთ Q-№ 281 ხელნაწერის "ნდ" და H-№ 2156 ხელნაწერის 57 v-ზე "ჟვ" კარში აღწერილ დაავადებათა ტექსტს.

"კარი ქუშისა

ქუშისა ამით იცან: ფეხები დაეთნებით ექნების, ტანში მოშლით. თვალები ასე ექნების თითქო სძინავსო, გზადგზა მარდია არ წავა. შარდი წითელი ექნების, თავი გაუსივდების, ტანში ჭანჭრიალებების ვეღარც წვალსაღა დაიკვეს. /ამით მთავრდება დაავადების კლინიკური ნიშნებისა და სიმპტომების აღწერა. შემდეგ მოხსენებულია დაავადების საწინააღმდეგო სამკურნალო საშუალებები. კ.ხ./

მარილი დანაყე აურიე და ცხენს ყელში ჩაასხი ენაგრძელაც წაუსვი:- მისთვისვე ქაღალდის კვამლი უყრჩოლე და ვარდის წყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ბეთი ცხვირში ჩაანვეთე:-

მიბრისვე: ორი რუში ძროხის ერში, ოთხი რუში შაქარი დაწანე, ერთად აურიე და ცხენს ყურში ჩაასხი:-

მისთვისვე:- კურდღლის ქონი ცხვრის ქონით მოარუე ცხვირში ჩაასხი. ამ დღემდინ გასუქდებაა:-

მისთვისვე: გველის ქერქი კარგად დაფშვნიტე, ქერში აურიე, აქამე და გასუქების.

მისთვისვე: შაში დაწვი, ძმარი აურიე დაალევინე თვალებიან სისხლი გამოუშვი და გასუქების". /Q-N 281/.

"ჟე ფეირპის ტკივილისაჱვს.

ნიშანი ეს არის რომ შუცეი გაუსიებება და მარცხენა მკარე დასიებული ექნება, თუ დავიბოდეს, და თუ იტყეს ქაქანს დაიწყებს და შეუმცირებება ფშვნა და დაბარება სიარულში. ამისი წამალი ეს არის: მოიტანე პანიის ესე იგი ღენცოფის ნაყოფის წვენი ოთხი სტილი, ძმარი და წყალი ექვსი სტილი, ერთმანერთში აურიე და ჩაასხი ყეღში. და თუ ვერ იშოო ღენცოფის ნაყოფი, მოიტანე მაყვლის ფიჩხი და ბეე დაასხი წყალი და ამდენი ხარშე, რომ იმ წყლის ნახევარი დარჩეს, და იმაბეე დაასხი ცოტა რამ ძმარი და ჩაასხი ყეღში ერთხეე ორჯერ. მოიტანე თიკა და ბეთი და ბეე ფეირჩეე წაუსვ:

კიდეე სხეა წამალი: თუ მაგარი იყოს ფეირპი წამალი ეს არის. მოიტანე ღენცოფის ხის ფესვ და ბეე დაასხი ძმარი და წყალი და ამდენი ხარშე, რომ მესამედი დარჩეს, და ყეღში ჩაასხი, ღობით არგებს". /H-N 2156, 57v/.

როგორც მოყვანილი პარაგრაფებიდან ჩანს, ხელნაწერებში აღწერილ დაავადებათა სამკურნალოდ რეკომენდებული წამლეული საშუალებანი რთული და მრავალფეროვანია. ამასთან ხშირად ერთი რომელიმე დაავადების სამკურნალოდ რამდენიმე ნაერთია მოხმარებული. გარდა ამისა, როგორც ამის შესახებ გვხდება მოხსენებული, მითითებულია ნაერთთა შემადგენელ კომპონენტებზე, დოზებსა და ცხოველთაგან წამლის მიცემის გზებსა და წესებზე, წამალთამზადების ტექნოლოგიაზე და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეინაიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის H კოლექციაში 2156 ნომრით დაცული ხელნაწერი კომპილაციურ და შეღარებით სხვა ხელნაწერებთან კაპიტალურ ნაშრომს წარმოადგენს, რომელშიც აღწერილია სხვა ვეტერინარული ხელნაწერების უმეტესობაში ჭარბიული დაავადებათა უმრავლესობა, ამიტომ ცხოველთა დაავადებებსა და მათი მკურნალობის საკითხებს ძირითადად ჭარიბილავთ მოხსენებული ხელნაწერში აღწერილი დაავადებების მიხედვით.

დვალის სნეულებანი. ცნობილია, რომ ცხოველი მხედველობის დაკარგვის შემთხვევაში სამეურნეო დანიშნულებისათვის და ექსპლოატაციისათვის გამოუსადეგარი ხდება, ამიტომ სხვა დაავადებებთან ერთად თვალის სნეულებებს სათანადო ადგილი აქვთ დათმობილი ქართულ ვეტერინარულ ხელნაწერებში.

H-№ 2156 ხელნაწერის ერთ-ერთ პარაგრაფში, რომელიც სახელდებულია: "პირველად მოვიხსენიოთ თვალის ქუთუთოს სენისათჳს" ლაპარაკია თვალის ქუთუთოს ანთების /blexaritis/ შესახებ. მასში ხსენებული დაავადების სამკურნალოდ, იმის გათვალისწინებით, თუ რა ეტიოლოგია უდევს მის წარმოშობას საფუძვლად, რეკომენდებულია სხვადასხვა სამკურნალო საშუალებები. მაგალითად, მიკრობული წარმოშობის ბლეფარიტისას მოწიდებულია მრავალძარღვას და საკმელის ბეიუნის ბეჭის ნახარშის წვენში დასველებული საფენების დადება თვალის ქუთუთოზედ.

"თუ ქუთუთოზედ წითელი მუწუკი ჰქონდეს, ამისი ნამალი ეს არის: მოიტანე მრავალძარღვა და საკმელი და ბეიუნის ბეითი მოხარშე და დაადევ უთუთ მორჩება"1/.

1/ ხელნაწერი H-№ 2156, 41 ზ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარდა მოცანილი საშუალებისა მიკრობული ეტიოლოგიის ბლეფარიტისას რეკომენდებულია სხვა რეცეპტიც.

"და თუ სხვა რიგად სტკიოდეს მოიცანე ქარვახუთო ერთი მისხალი და ორი მისხალი ბეითუნის ბეთი და სამი მისხალი ძმარი და ესენი ერთად მოადუღე ასე, რომ ბეთმა შეიწრის და ცოტა ირმის ქონიც მიეც. აღუღე ცალიერად და რომ გაცივდეს თვალზედ წაუსვი და უთუოდ მორჩების"1/.

ტრავმული წარმოშობის თვალის ქუთუთოს ანთების შემთხვევაში, პირველად ურჩევს მრავალძარღვას და მაყვლის ფოთლის ცამონაწურიში ქაქნილი კვერცხის ცილის თვალის ქუთუთოზედ დადებას, ხოლო შემდგომ - კრაზანა შაღახის ცამონაწურისა და ბეითუნის ბეთის ნახარშის ქუთუთოზედ წასმას.

"თუ მოხვედრებული ჰქონდეს რამე და ქუთუთო დასივებული და ღურჯად, მოიცანე მრავალძარღვა და მაყვლის ფოთოლი და ცამონურე, მერმე იმაში კვერცხის ცილა ქაქნე და თვალზედ ბამბით დაადევ, სიმსივნესა და სიღურჯეს დააცხრობს. მერმე კრაზანა შაღახი ცამონურე, ბეითუნის ბეთში ჩაასხი მოადუღე და ქუთუთოზედ წაუსვი და რაც რამ სენი აქვს მორჩება"2/

ქარდა ბლეფარიტისა, თვალის დაავადებებიდან ხელნაწერში აღწერილია ერთ-ერთი დაავადება, რომელიც დასათაურებულია: "ჰავკურ სენისათჳს რომელ არს ღამით ვერ დანახვა"3/. ამ დასათაურებით აღწერილია დაავადება, რომელიც დანამდერთვე მედიცინასა და ვეტერინარიაში ცნობილია ქამთის სიბრმავის - ჰემერალოპიის სახელწოდებით.

მოხსენებული დაავადების კლინიკური სურათი შემდეგნაი-

1/ ხელნაწერი H-Ⅱ 2156, 41 ზ.
2/ იქვე, 41 ზ,ვ.
3/ -"- 43 ზ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაა ჩამოყალიბებული: "წიშანი ეს არის, როდესაც მწვე დავა მაშინ ნაფელს ველარ დაინახავს, და წინა ფეხებს და უკანა ფეხებს უშრალოდ აქა იქ ამოვევს"[1].

აქვე შევნიშნავთ, რომ ფალიის სნეულება - ჰემერალოპია ხალხურ მედიცინაში "შაქურის" სახელწოდებით იყო ცნობილი. როგორც ვხედავთ "შაქურ" და "ჰაკურ" სიტყვებს შორის დიდი მსგავსებაა, ამიტომ დამაშად შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი ერთი და იგივე დაავადების, სახელდობრ ჰემერალოპიის გამომსახველი ტერმინებს წარმოადგენენ.

ამ დაავადების შესახებ სამედიცინო "უსწორო კარაბადინში" ვკითხულობთ: "ფალიის ცკივილი რომე შაქურ ქუიან ის არის რომე ღამით კაცი ვერას ხედვიდეს"[2].

ჰემერალოპიის, ანუ, როგორც მას წარსულში უწოდებდნენ, "ჰაკურ სენის" სამკურნალოდ ხალხანურის მიხედვით მოწოდებულია ხბის ნაღველის, ქურიაძის წყალის ანუ პრასის გამონაწნელისა და თაფლის ნარევის ფალებში დაღება.

"წამალი ეს არის. მოიტანე ხბის ნაღველი და ქურიაძის წყალი, ესე იგი პრასის წვენი და თაფლი, შეაგავე ერთმანერთში და ფალებში დაადევ"[3].

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც მედიცინაში, ასევე ვეტერინარიაში ხსენებული დაავადების სამკურნალოდ, რომელსაც როგორც ეხლაა ცნობილი, "A" ვიტამინის ნაკლებობა იწვევს, ძველად ერთი და იგივე საშუალება გამოიყენებოდა. მაგალითად,

---

1/ ხელნაწერი H-№ 2156, 43 ზ.
2/ ქ ა ნ ა ნ ე ლ ი, უსწორო კარაბადინი, საქმელგამი, ტფილისი, 1940, გვ. 209.
3/ ხელნაწერი H-№ 2156, 43 ზ.

"წიგნი სააქიმოს" 119 ფურცელზე ეკითხულობთ: "კურნებაზე მისი იგი არს /ლაპარაკია ჰემორაროიდის შესახებ. კ.ჯ./, რომელ ხხისა ღვიძლი ცეცხლსა ზედა დასდებას რომელ წყალი გამოვიდეს, მერმე იგი მისი წყალი თეთრსა შიშაგსა შიგან ჩაასხას და მიწყივ თვალსა შემოიცლებდეს..."1/

H-№ 2156 ხელნაწერ "ცხენის კარაბადინში" იგივე დაავადება ჰემორაროიდის ერთ-ერთ სამკურნალო საშუალებად, ისევე როგორც შეიცინაში, მოხსენებულია ღვიძლის წვენი /წამი, "სინოვიე"/, რომელიც გამოიყოფა მისგან მისი ცეცხლზე შეწვის პროცესში.

"სხვა წამალი. მოიგანე ქარეულის ხხის ღვიძლი და ზედ პილპილი მოაყარე და ცეცხლზედ შეწვი, და აიღე მისი სინოვიე, და ცხენს თვალზედ დაადევ არგებს"2/.

თვალის სნეულებებიდან გამოიხიალეთ აგრეთვე ტრიქიაზს /Trichiasis/. იგი მოკლედ აღწერილია ხელნაწერის ერთ-ერთ პარაგრაფში, რომლის დასათაურებაა: "ავის ბალნის მმისათ ს თვალის ქუთუთოზედ". მისი სამკურნალო რეკომენდებულია ამოგლეჯილ იქნას წამწამები, რომელზედაც წინასწარ წასხმული იქნება ცხრაფეხას დამწარი ცხიმი, ხოლო შემდგომ კალე ქვის მარილისა და თაფლისაგან მომზადებული მალამის ზედ დადება.

"...მოიგანე ცხრაფეხის ქონი დაადნე და წაუსვი. ოშნანი ესე იგი კალე ქვა და თაფლი და ცოტა რამ მარილი დანადე ერთად, დააკედე მალამისავით. დაგლიჯე ის წამებული ბეწვი და ზედ დაადევ არგებს"3/.

1/ წიგნი სააქიმოდ, ექ. ვ. კოტეტიშვილის რედაქციით, თბილისი, 1936.

2/ ხელნაწერი H-№ 2156, 43 ზ.

3/ იქვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცარიელ ზემოთ მოხსენებულისა თვალის დაავადებებიდან, რომლებიც ძველი ქართული ვეტერინარული წერილობითი ძეგლების - კარაბადინების შესწავლით ირკვევა, ცნობილი ყოფილა სხვადასხვა მიზეზებით გამოწვეული თვალის სხვა დაავადებებიც. მათ შემდეგი დასათაურებანი აქვთ მიცემული: "თვალში მოხვერისათჳს რომელსა ჰრქჳან დარტყა ესე იგი რომელ არის ერთი ძარღვი თვალში"1/ "თუთიისა და ბაფრის სენისათჳს რომ ძარღვსავით ექნება თვალში სითეთრეები"2/, "თვალის ტკივილისათჳს რომელსა ჰრქჳან სურად ბინდი გადაეკვრის"3/ და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ თვალის სიფვითრეს, რომელიც, როგორც ღუილისათვისაა ცნობილი, ორგანიზმში მიმდინარე რიგ პათოლოგიურ პროცესთა ერთ-ერთ დამახასიათებელ სიმპტომს წარმოადგენს, წარსულში დამოუკიდებელ დაავადებად მიიჩნევდნენ და "არაყანის", "იარაყანის" სენის სახელით იყო ცნობილი.

"იარაყანის", "არაყანის" შემთხვევაში ხელნაწერის მიხედვით რაჭიანას ან ვარდის წყალის თვალში ჩაწვეთებაა ნაჩვენები.

"წამალი ეს არის. რაჭიანის წყალი და ან ვარდის წყალი თვალში ჩაანვეთე ღ-ითი მორჩება"4/.

№ 228 ხელნაწერის მიხედვით თვალბუდის არეს შეშუპებისას რეკომენდებულია კვერცხის ცილაში გაჭყეფილი დანაცრები ვაშლის კურკისა და ვარდის ვარდის ფურცლის ნახარშის შეშუპე-

---

1/ ხელნაწერი Н-№ 2156, 42 v.
2/ ი ქ ვ ე.
3/ ი ქ ვ ე.
4/ ი ქ ვ ე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუღ აღწერებე დაიღება.

"...დასიყვებული რომ ჰქონდეს ქარშემო /იქყლისხმება თვალბუდის არის ქარშემო. კ.ჯ./ დანაყე ეაშლის კურკა და ეარდის ფურცელი, ესენი პირველად მიხარშე, ქარმომიღე და აურიე კვერცხის ცილით, დაადევ იმ სიმსივნეს ღიღად არგებს"1/.

ყელყურ-ცხვირის სნეულებანი. ქარდული ვეტერინარული წერილობითი წყაროების შესწავლით ირკვევა, რომ ძველად ქართველი ხალხისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო შინაურ ცხოველთა ყელყურ-ცხვირის ზოგიერთი დაავადება და მათ სამკურნალოდ სხვადასხვა ხერხებსა და საშუალებებს მიმართავდნენ.

ხელნაწერებში აღწერილი ყელის დაავადებებიდან უნდა აღინიშნოს ყელის სიმსივნე, რომელსაც "იამანს" უწოდებდნენ. მაგალითად, H-№ 2156 ხელნაწერში აღწერილი ყელის ერთ-ერთი დაავადების სათაურია: "ყელის დასიებისათჳს რომელსაც პატარა იმანს უხმობენ"2/. მის სამკურნალოდ მიმართავდნენ მაწონში არეული ნიორის სიმსივნეზე დაღებას.

იმავე ხელნაწერში ყელის ერთ-ერთი დაავადება დასათაურებულია: "იმ სენისათჳს რომ ცხენს ხუსკი ჰქონდეს ესე იგი /ამ დაუწერელი აღგილია ქამოტოვილი. კ.ჯ./ და ეს სენი უფრო კვცს ექნება და ამ სენს ჰქვან კვცის სენი და უწოდებენ ქურაც სენსა რომელსა ქოთაი"3/. მართალია, ამ დაავადების დასათაურებაში იხსენიება სიტყვა "ქოთაი", მაგრამ რომორც დაავადების კლინიკური სურათის აღწერით ირკვევა, საქმე სხვა დაავადებასთან, სახელდობრ მაღასთან უნდა გვქონდეს.

1/ ხელნაწერი № 228, 13 v.
2/ -"- H-№ 2156, 46 r.
3/ ი ქ ვ ე.

"კვცს რიმ ექნება ეს სენი, და დიდსა ცხენსა, იქუნდი ესე იგი მაჭარი სნეულება ექნება. ხამწუკს ქვეშ თავისთავად გასქდება და სისხლი გამოვა ცხვრიამ და გამოადგებს თავისთავად წვინტრსა და შაგრსა"[1]...

აღსანიშნავია, რომ მაღაზე მკურნალობის მიზნით, ისევე როგორც თანამედროვე ვეტერინარიაში, ქირურგიულ ჩარევას მიმართავენ.

"წამალი ეს არის, გაჭით დაუჭირე და გახეთქე ნაწლავი მთლად რომ შეძლო ადვილად იმ მუწუკის გამოღება..."[2]

ცხვირის ღრუს დაავადებებიდან ცნობილი ყოფილა ხორცმეტები /პოლიპები/, რომელსაც "თუთას" უწოდებდნენ, ხოლო მკურნალობის მიზნით მის ოპერირებას მიმართავდნენ.

"თუთისაჲს რომელი ცხვრში ექნების. თუ ჩნდეს გაუჭერ და არჯასპი და ძმარი წაუსევი"[3]. გარდა ამისა ცნობილი ყოფილა ერთ-ერთი დაავადება, რომელიც ცხვირის ამაღლებას იწვევდა. ამ დაავადებას "ნახუნას" უწოდებდნენ. "ცხვრის ამაღლებისაჲს ცხენისა, რომელსაც ნახუნა ჰქვან"[4].

ყურის დაავადებებიდან არჩევდნენ: გარეთა სასმენი მილის უცხო სხეულებს, სმენის დაქვეითებას ან სრულ დაკარგვას და სხვ.

სმენის დაკარგვის შემთხვევაში მიმართავდნენ ვირის ნაღველის ან აბუჭარატინის წვენის ყურში ჩაწვეთებას. იმავე მიზნით მიმართავდნენ ეაშლისა და კომბის კურკის გამონაწვეილის ყურში ჩაწვეთებას.

1/ ხელნაწერი H-N 2156, 46 ზ.
2/ იქვე.
3/ "", 44 ვ.
4/ იქვე.

"ვაშლის ტურკა და კომშის ტურკა ერთად გამოქყლიტე და ყურში ჩაასხი არგებს"1/.

სხვადასხვა ხასიათის ყურის ტკივილებისას რეკომენდებულია ბეითუნის ბეთისა და სამყურა ბალახის ნახარშის ყურში ჩაწვეთება.

"...თუ ყური სტკიოდეს ბეითუნის ბეთი და სამყური ერთად მოადუღე და ყურში ჩაასხი"2/.

<u>ტკივილებისა და პირის ღრუს დაავადებანი</u>. ხელნაწერის ერთ-ერთ პარაგრაფში, რომელიც დასათაურებულია: "პირის ტკივილისათჳს ცხენისა"3/ განიხილება პირის ღრუს დაავადება, რომელიც თანამედროვე ვეტერინარიაში პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთების - სტომატიტების სახელწოდებითაა ცნობილი.

ხსენებული დაავადების კლინიკური ნიშნებიდან მითითებულია: "ეს სენი ორგვარი არის. ერთი გვარი, რომ ერთ ადგილს გამოვა და პირით ვეღარა ჰსძოვს და პირიდამ ადროებული სუნი გამოუვა და პირიდამ ქაფქაფს დაიწყებს და მეორე გვარი ეს არის რომ ბუნკუები დაესხმის პირში და ადროებული სუნი კი არ ექნება და არც ქაფქაფი ექნება"4/.

როგორც აღწერილი დაავადების კლინიკური ნიშნებით ირკვევა პირველ შემთხვევაში, ე.ი. როდესაც დაავადებას თან სდევს პირიდან მწარალი სუნის დენა, სტომატიტების დიფთერიული კლასიფიკაციით საქმე გვაქვს განგრენოზულ ან ფლეგმატოზურ სტომატიტთან, ხოლო მეორე შემთხვევაში - პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ვეზიკულურ ანთებასთან.

1/ ხელნაწერი H-№ 2156, 44 v.
2/ იქვე.
3/ -"- , 45 r
4/ იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განგრენოზული და ფლეგმატოზური სტომატიტების შემთხვევაში მკურნალობის მიზნით კარაბაღინების მიხედვით გამოიყენებოდა კირის ფხვნილი, ხოლო ფოლიკულარული სტომატიტების შემთხვევაში ბეჭის ხიჭის ფოთლის ფხვნილი, რომელსაც დასველებული კანაფის ბაღახით უსვამდნენ დაავადების ადგილზე.

"...წამალი რომელსაც ადროებული სუნი ექნება ეს არის. მოიტანე კირი და წვრილად დანაყე და დაასველე ქაინის ქოთნი ესე იგი კანაფის ბაღახი და წაუსვი...სხვა წამალი მეორე გვარისათჳს რომ მუწუკი გამოუვა პირში და არ ეკინება სუნი. მოიტანე ბეჭის ხიჭის ფოთოლი, დანაყე და გასცერ და მოიტანე ქაინის ქოთნი, ესე იგი კანაფის ბაღახი, დაასველე და პირზე წაუსვი და დააცალე კარგა ხანს და დაბანე. ექვს დღეს ასე უყავ და ღ-თით მორჩების"[1].

ხელნაწერში აგრეთვე აღწერილია დაავადება: "ენის ტკივილისათჳს რომელსა ქანთელი ჰქჳან, ენას ჩასჭამს"[2]. ასეთი სამაურით აღწერილი დაავადება შესაძლებელია იყოს დღეს პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ფსევდომემბრანოზული ან ატროფული ანთებით ცნობილი დაავადება, რომლის კლინიკური ნიშნებიდან ერთერთს, ენის ზურგზე ჯერ პატარ-პატარა რუხი ფერის წერტილების წარმოქმნა, ხოლო შემდგომ მასზე მოდიდო ჩაღრმავებების გაჩენა წარმოადგენს.

ხსენებული დაავადების სამკურნალოდ მიმართავდნენ პირნიხის ფხვნილის ენაზე მოყრას, გარდა ამისა გამოიყენებოდა შაქრის წყალში მოდუღებული ბაფრანის ხსნარი, რომელსაც უსვამდნენ ენაზე.

"პირნიხი დანაყე და იმ ჩაჭმულში ჩაყარე და მორჩება. მისთჳსვე. ბაფრანა შაქრით მოადუღე, ენაზედ წაუსვი და ღ-თით მორჩება"[3].

1/ ხელნაწერი H-N 2156, 45 ვ.
2/ ი ქ ვ ე, 45 v.
3/ ი ქ ვ ე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კბილების მოშვება-მოძუნებისა და ძვრის საწინააღმდეგოდ ერთ-ერთ პარაგრაფში - "კბილების მოშვებისა და დაძუნებისათვის და ძვრისათვის" - რეკომენდებულია: "მოიტანე სიპუკ ჰინდიკი, ესე იგი სოლინჯი, მოხარე და დაწვი, ძმარი დაასხი და კბილებზედ დაადეო"[1].

ღრძილების დასივებისას, რასაც შეიძლება სხვადასხვა ეტიოლოგიური ფაქტორი დაედოს საფუძვლად, მიმართავდნენ ძმარში არეული კაპრწახის, ანუ კაპარის ფოთლის ღრძილებზედ წასმას.

"ღრძილების დასივებისათვის. მოიტანე კაპრწახის ფოთოლი, ესე იგი კაპარი, დაწვი და ძმარში აურივე და წაუსვი ღრძილებზედ"[2].

საჭმლის მომნელებელ ორგანოთა სისტემის დაავადებანი. ხელნაწერებში აღწერილი საჭმლის მომნელებელ ორგანოთა სისტემის დაავადებებიდან ყურადღებას იპყრობს კუჭ-ნაწლავის დაავადებანი, რომლებიც კოლიკების გამოვლინებით მჟღავნდებიან.

უნდა აღინიშნოს, რომ დაავადებები, რომელთაც თან ახლავს კოლიკების გამოვლინება, უძველეს დროიდანაა ცნობილი.

თვით სიტყვა "კოლიკი" წარმოშობილია კოლინჯის ლათინური სახელწოდებიდან /colon/, რადგანაც ფიქრობდნენ, რომ კბილები წარმოიქმნებოდა კოლინჯის ნაწილში.

ძველი ეგვიპტური ცნობები კოლიკების შესახებ, რომლებიც სინამდვილეს მეტ-ნაკლებად შეეფერებიან, ეხებიან საშვილოსნოსა და რბილს. მაგალითად, კოლიკების ცხენის დაავადებები მოხსენებული აქვს არისტოტელეს თავის შრომებში /384-322 წწ./.

1/ ხელნაწერი Н-Ⅱ 2156, 45v.
2/ იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლუმელა /I საუკუნე ახ.წ./ იხსენიებს სამი სახის წარმოშობის კოლიკებს, ხოლო ვეგეციუს რენატი /IV-V სს./ იძლევა ცნობებს რამდენიმე სახის კოლიკების შესახებ, რომელთა წარმოშობას საფუძვლად სხვადასხვა ხასიათის ისეთი ეტიოლოგიური ფაქტორები ედო როგორიცაა: ნაწლავთა ჰიპერემია, ტიმპანია, მეტეორიზმი, საკვები მასით კუჭის გადავსება, სხვადასხვაგვარი წარმოშობის ნაწლავთ გაუვალობა და სხვა.

ჩვენ ხელთ არსებულ ქართულ ვეტერინარულ ხელნაწერებში სხვადასხვა სახელწოდებით აღწერილია რიგი დაავადებები, რომელთა კლინიკური სურათიდან ყურადღებას იპყრობს კოლიკების დამახასიათებელი სიმპტომების არსებობა.

მართალია, მათში აღწერილი კოლიკების გამოვლინებით მიმდინარე დაავადებათა ზუსტი განსაზღვრა-კლასიფიკაცია ვერ ხერხდება, მაგრამ როგორც ირკვევა ქართველ ხალხს ჯერ კიდევ შორეულ წარსულში უნდა სცოდნოდათ კოლიკების წარმოშობის სხვადასხვა მიზეზთა შესახებ. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ ამ ჯგუფის დაავადებათა სამკურნალოდ, რომლებიც სხვადასხვა სათაურით ცალკე პარაგრაფებშია აღწერილი, სხვადასხვა წამლეული ნაერთებია მოხმარებული.

ქვემოთ მოვიყვანთ ქართულ ვეტერინარულ ხელნაწერ ძეგლებში აღწერილ, კოლიკების სიმპტომებით მიმდინარე რამდენიმე დაავადების კლინიკურ გამოკვლევას და მათ სამკურნალოდ მოხმარებულ ნაერთებს და რეცეპტებს.

დაავადების კლინიკური ნიშნები, რომლის დასათაურებაა -"გულის წუხილისაჲს ცხენისა"1/- შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: "...ცხენი შეჯოგას დაიწყებს და მიწაგელ დაეცემა და

1/ ხელნაწერი H-№ 2156, 48 ზ.

მაღმაღ წამოჯდება და დაწვება და ტორვას შეიქს და ფეხებს მაღმაღ გაბერის და ქნევასაც დაიწყებს და გულიც ამაშორას დაუწყებს".

მოცანილი კლინიკური ნიშნებით მიმდინარე დაავადების შემთხვევაში სამკურნალოდ სხვა საშუალებებთან ერთად, მოწოდებულია:

"...ნახევარი ფუნგი ღვინო, ერთი ჩარექი ვარდის წყალი, სამი ვაშლი, ნახევარი სტილი სანელაი. ესენი ერთად ერთ ქვაბში ჩაასხი და ჩაჰყარე, ცეცხლზედ შემოდგი. ერთი ჩარექი საია გულსავით გამოჰსჭერ და შიგ ჩაღე და ამდენი აღუღე რომ ის წყალი იმ საიამ შეიშროს, ამოიღე და ცხენს გულზედ დაადევ და უფუთ მორჩება"1/.

"მისთვსვე. ფეხრი სადაფა დაწაღე, სამი მისხალი ეს იყოს და ორი მისხალი ქარვა ხუთ და ორი მისხალი საბრი ერთად დანაღე და შიგ-მეიისკუღას არაყი ურთე ცოტა და ერთად გაღესე. ორი ამი გააკეთე ამისი. ერთი დილას ჩაადღაპე ვარდის წყლითა და მეორე საღამოს"2/.

ერთ-ერთ პარაგრაფში, რომლის სათაურია: "მუცლის სიმსივნისთვს ცხენისა" აგრეთვე აღწერილია კოლიკებით სიმპტომით მიმდინარე დაავადება. ამ დაავადების შესახებ ნათქვამია:

"ამ სენსა ახთას ეძახიან. ნიშანი ეს არის: ფაფი და მუცელი გაუსივდების ხშირად დაწვების და ადგება, ნეხვს არ გააგდებს, წაფაზს ცემას დაუწყებს. წამალი ამისი აღამიანის შარდი, ერთი ბოწა წყალი, ბოლოკი, კიტრის წვენი, ბაღიანი თვთ ღრამი, ყველი ჩაასხი არგებს. ბარკლებში ორი ძარღვი რომ აქვს სისხლი გამოაშვებინე, ბარიღწყალი წასცხოს, ფეხებზედ წაუსვან, მოკლე გვერდი ბურგისაკენ ცოტად უნდა გაუჭრან, მცირე დასდევან ქარი გამოვა, კიდეც დადგება კარგია"3/.

1/ ხელნაწერი H-N 2156, 48 v.
2/ ი ვ ე ე.
3/ -"- , 51 v.

აღწერილი დაავადების სახელწოდება: - "მუცლის სიმსივნისაგ ს ცხენისა" - და მისი მკურნალობის მიზნით გამოყენებული ერთ-ერთი ხერხი /"მოკლე გვერდი ბურგისაკენ ცოტად უნდა გაუჭრან, მიღი დასდვან..."/, აგრეთვე მისი შედეგი /"...ქარი გამოვა"/ საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს კოლიკასთან, რომელსაც საფუძვლად უდევს ნაწლავთა გაბერვა - Meteorismus intestinorum .

ერთ-ერთი დაავადების კლინიკური ნიშნებისა და მკურნალობის შესახებ, რომლის დასათაურებაა: "მუცლის სიმსივნისაგან და ქარისაგან რომ ვეღარ გავა ჩონჩორიკსა და შარდგენ", ნაჩვენებია: "ნიშანი ეს არის რომ წაიბორძიკებს და დაჯდომას ეცდება და პირუკუღმა ყურებას დაიწყებს. წამალი ეს არის. მოიტანე ძველი ღვინო რვა სტიკი და ორმოცი სტიკი წყალი დაასხი იმ ღვინოზედ, მოიტანე კიდევ ოთხი სტიკი ხარტი ესე იგი /აქ ცარიელი ადგილია გამოტოვილი. კ.ხ./ და შვრი მისხალი ანგუშატი ესე იგი ქაღალდა, დანაყე და აურიე იმასთან ცოტა რამ ფქვილი და შეაბავე ის წყალწარეე ღვინოსთან და წელტყვილი ჰქენ და დაადევ ბერძნული წამალი რომ არის გარეული ქინძი. მერმე მოიტანე ახალი ქინძის წყალი ოთხი სტიკი და დაალევინე ცოტ ცოტა და ღ-თით მორჩება"1/.

ხელნაწერებში აღწერილ კოლიკების სიმპტომებით მიმდინარე დაავადებებიდან განვიხილავთ კიდევ ერთ დაავადებას, რომლის დასათაურებაა- "წიწელის ქარისაგან ცხენისა". ამ დაავადების კლინიკური სურათისა და მკურნალობის შესახებ ნაჩვენებია:

"ცხენს რომ წიწელი ქარი სჭირდეს წიშანი ეს არის: მუცელი გაბერვით ექნება, შარდსა და ნეხვს ძნელად გააგდებს, აგდგილზედ დახტას დაიწყებს, გვერდით ჭვრეტას შეიქს. წამალი

1/ ხელნაწერი H-N 2156, 52 v.

ეს არის: ორი წონა წყალი, სამი წონა ძველი ღვინო, ნახევარ ლიტრა ცხვრის ქონი, ერთი ლიტრა ქერის ფქვილი. ესენი ყველა კარგად მოაღუღონ, გარდაახდინონ და ცხენს გაუსვან არგებს.

მისთვსვე: ახალი ქინძი დანაყე მისი წვენი ყურში ჩაასხი, შაღაბაღე გაუშვ, კიდევ ძროხის ნაღველი ყურში ჩაასხი. სამს დღესა და ღამეს ნურას აჭმევ. სადაც ქარი დამდგარიყოს იქ უნდა ცოტად გაუჭრან, მილით გაბერონ, თორი ნავთი ჩაასხან..."1/.

აღწერილი დაავადების კლინიკური სურათისა და მოწოდებული მკურნალობის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს ნაწლავთა გაბერვასთან, რაც სხვადასხვა მიზეზებით შეიძლება იყოს გამოწვეული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ვეტერინარულ წერილობით ძეგლებში იმ კატეგორიის დაავადებათა აღწერისას, რომლებიც კოლიკების გამომჟღავნებით მიმდინარეობენ, ხშირად იხსენიება სიტყვა "ქარი" /"წითლის ქარისათვს ცხენისა", "სადაც ქარი დამდგარიყოს იქ ცოტად გაუჭრან", "მუცლის სიმსივნისათვს და ქარისათვს", "...ცოტად გაუჭრან მილი დასდვან, ქარი გამოვა" და სხვ./.

ჩვენის აზრით, სიტყვა "ქარი" დასახელებულ შემთხვევებში ნახმარი არის სხვადასხვა მიზეზის გამო კუჭ-ნაწლავებში დაგროვილი გაზების გამომხატველი სიტყვად.

საჭმლის მომნელებელ სისტემის ორგანოთა დაავადებებიდან, გარდა ზემოთ განხილული, კოლიკების სიმპტომებით მიმდინარე დაავადებებისა, ქართულ ვეტერინარულ წყაროებში განიხილება "ღვანისათვს ცხენისა"2/, "ყაბზობისათვს ცხენისა"3/,

---

1/ ხელნაწერი H-№ 2156, 51v.
2/ " " " .
3/ " " , 52r.

"სტომაქის სენისათვს"1/, "ღოლაონჯისათვს ცხენისა"2/ და სხვ.

ხალხურ ვეტერინარიაში ენტეროკოლიტები "ვენას" სახელწოდებით იყო ცნობილი. აღნიშნული სნეულების სამკურნალოდ მიმართავდნენ ცხოველისათვის კუნელის ხის ძირის ნახარშის მიცემას pez os, ცერცვისა და ღობიოს ფქვილის საკვებთან ერთად მიცემას და სხვ.

"წამალი ეს არის. კუნელის ხის ძირი მოადუღე წყალში და ასვ არგებს"3/. "მისთვსვე. ორი სფილი დაფქული ცერცვ და სფილი ნახევარი დაფქული ღობით ერთ ჩარექ ქერზედ მოადარე და აჭამე, უთუთ მორჩება"4/.

ცაბრობის შემთხვევაში სამკურნალოდ იყენებდნენ ძძის, ცყენრის წვენისა და წუშის ბეთის ნარევს, რომელსაც აძლევდნენ pez os.

"წამალი ეს არის. მოიფანე ხუთი სფილი სძე და სფილნახევარი ცყენრის მჟავე აურივე და დააღევინე და უთუთ მორჩება. მისთვსვე თუ ამან არ არგოს, მოიფანე კიდევ სძე და ესევ მჟავე და შიგ ერთი სფილი წუშის ბეთი აურივე და დააღევინე და უთუთ მორჩება"5/.

გარდა ზემოთ განხილული დაავადებებისა H-№ 2156 ხელნაწერ "ცხენის კარაბადინში", ცალკე პარაგრაფებში აღწერილია ფილტვების /"ფილტვს სენისათვს"6/, ღვიძლის /"ღვიძლის სენისათვს"7/, ელენთის /"ცყირპის სენისათვს"8/, კანის /"კანის ქავილისათვს ცხენისა"9, "მუნისათვს ცხენისა"10, "ქვისათვს ცხენისა"11/, ჰელმინთოზები /"ქია რომ აღონებელს

1/ ხელნაწერი H-№ 2156, 55 v.
2/ " " 3 ე, 62 v.
3/ - " - , 51 v.
4/ - " - , 52 r.
5/ - " -
6/ - " - , 55 v.
7/ " " 3 ე, 56 v.
8/ - " - , 57 v.
9/ - " -
10/ - " - , 75 r.
11/ - " - , 75 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენსა"[1], "ჟია რომ მუცელსა შინა ჰქონდეს ცხენსა"[2]/, მოგიერთი ქირურგიული, კინეკოლოგიური და სხვა ხასიათის დაავადებანი, მითითებულია მათი მკურნალობის ხერხებსა და სამკურნალწამლო საშუალებებზე.

მოცემულ თავშივე განვიხილავთ შინაურ ცხოველთა იმ დაავადებებს, რომლებიც აღწერილია ქ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში 228 ნომრით დაცულ ხელნაწერში. მასში წარმოდგენილი შრომა რუსულ ენაზე არსებულ რამდენიმე ვეტერინარულ წიგნთა გამოკრეფით თარგმნის შედეგად დაწერილია ბაგრატ შატონიშვილის მიერ /1818 წ./.

ხელნაწერში აღწერილ 69 პარაგრაფისაგან ოცდათხუთმეტში - **ცხენის**, ცამეტში-ძროხეულის, რვაში - ცხვრის, შვიდში - ძის, ოთხში - ღორის და ორში - ინდოურისა და ფარშევანგის დაავადებები და მათი მკურნალობის საშუალებებია წარმოდგენილი.

ხელნაწერში აღწერილ პარაგრაფთა უმრავლესობაში დაავადებათა შესახებ მასალა შემდეგი თანამიმდევრობით არის წარმოდგენილი: დაავადების დასათაურების შემდეგ მოკლედ მოხსრობილია კლინიკური ნიშნები და ძირითადი დამახასიათებელი სიმპტომები, რის შემდეგაც მითითებულია მკურნალობის ხერხებსა და სამკურნალწამლო საშუალებებზე. მაგალითად, "ჴ-ჳ ჷ - რომელიც სახელდებულია - მუცლის ტკივილისათ[3]ს ცხენისა" დაავადების კლინიკური ნიშნები შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული:

"ნიშანი ამ სენისა ეს არის. ხშირად დაწვება და აღგება და ტრუას დაიწყებს და წინა ფეხებსაც ტოკვას მოაყოლებს და

1/ ხელნაწერი H-№ 2156, 53 v.
2/ ი ქ ვ ე.

საჭმელის ვეღარა სჭამს, რომ წაიქცევა ფეხებსაც ჭიმას დაუწყებს და თვალებს მაღლა ტრიალს დააწყებინებს სენი ესე ასე იცნობების"1/.

აღსანიშნავია, რომ საერთოდ ქართულ ვეტერინარულ ხელნაწერებში დაავადებათა სამკურნალოდ მოწოდებული საშუალებები /რეცეპტები/ რთული და მრავალფეროვანია, ამასთან ერთი რომელიმე დაავადების სამკურნალოდ რამდენიმე ნაერთია მოწოდებული. მაგალითად, პარაგრაფში, რომელიც სახელდებულია - "მუცლის ტკივილისათჳს ცხენისა" სამკურნალოდ მოწოდებულია:

"სია წამლისა დასალევი. მოიღე ღვინო ანუ ოტკა ერთი ბუდიკა, ბეითუნის ზეთი ანუ სელის ზეთი ერთი ბუდიკა. აურიე და ესენი ერთად დაალევინე. დიდად არგებს.

დასალევი ამისთჳსვე დიდად მარგებელი. მოიღე ორიად ფარუხი ოთხი მისხალი, აურიე და დალესე თორ ღვინოში თბილში ერთს ბუდიკაში და დაალევინე და მსწრაფლ მოარჩენს.

ამისთჳსვე დასალევი. მოიღე მარანდული საპონი რვა დრამი გარდახალისებული გორჯილა ორი დრამი, ღ ვის კენკრა ცალი მუჭი, კოჭა რვა დრამი, ყაფრანი ათი დრამი. ესენი ჰ/ირველად/ აურიე ყვითელი კვერცხის გულით და დაბილე, მერმე დალესე ერთ ბუდიკა ღვინოში დამთბარში და დაალევინე, დიდად არგებს"2/.

ერთ-ერთ პარაგრაფში, რომელიც დასათაურებულია: "დაციებისათჳს ანუ სურდოსათჳს ცხენისა" მკურნალობის მიზნით პირველად რეკომენდებულია სისხლის დამოშვება კისრის ძარღვიდან, ამასთან სქოლიოში აღნიშნულია: "თუ დიდი და ახალი ცხენია, იმას სისხლი დამოუშვება ორი ბუდიკა, და თუ კვცი არის ნახევა/ბუდიკა და სუსტსაცა ისევ, და თუ ხანიანი არის იმას ერთი ბუდიკა"3/.

1/ ხელნაწერი ₰ 228, 8 v.
2/ " " 3 ე.
3/ " " 6 z.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენის ერთ-ერთი დაავადების მკურნალობის მიზნით, რომელიც აღწერილია პარაგრაფში "მჭვიანისათვს და გმორებისათვს ცხენისა ამას ქართულად ეწოდა ყურთა ჭქვან", პირველად ნაჩვენებია კისრის ძარღვიდან სისხლის გამოშვება, რის შემდეგ მითითებულია სამკურნალწამლო საშუალებები:

"მოიღე ნიშადური და ჩაყარე მაგარს ოჭკაში აურიე ნიჭვიზის ზეთი და უსვი თხილი იმ მჭიკიანს ყვერგზედ. იძლება არგებს"[1].

აღნიშნული დაავადების სამკურნალოდვე მოწოდებულია რეცეპტი:

"დასაღევი. მოიღე ანისული ათი მისხალი
კოთხუჯი რვა მისხალი
პიტნა ცალი მუჭი
ცვირილის ყვავილი ცალი მუჭი
ღვიის კაკალი ცალი მუჭი
ესენი ერთად აურიე ჩაჭყარე ქვაბში და ზედ დაასხი ამათ თოხი ბუთლიკა წყალი, მოხარშე ესენი ერთად. მერმე გასწურე, აურიე ცოტა თაფლი და ნელობილი დაალევინე ღილას და საღამოს"[2].

პარაგრაფში, რომლის სათაურია "ქუშისათვს ანუ ნაფაგისათვს ცხენისა"[3], აღწერილია ცხენებში გავრცელებული არც თუ ისე იშვიათი დაავადება - ფილტვების ემფიზემა, რომლის კლინიკურ გამოძღვანებას ქოშინი, ანუ "ქუში" წარმოადგენს. ამ დაავადების შესახებ ნათქვამია: "...ეს სენი დია ძნელი მოსარჩენი არის და ნამეტნავად ბერის ცხენისა"-ო, რაც სავსებით შეეფერება სინამდვილეს. სამკურნალოდ მოწოდებულია შემდეგი ნაერთი:

"...მოიღე პანტის ხის ყლორტები, გაახმე და დანაღე

1/ ხელნაწერი № 228, 7 v.
2/ " " 3 ".
3/ " " , 10 z.

წმინდაო. ამაში აურიე ტკივის ხის ფოთოლი და სალბი ბაღახი. ესენი ერთად დანაყე და აურიე თანასწორად. ღიღას და საღამოს ქერქვე მოუყრიდე და აჭმევდე არგებს"1/.

გარდა აღნიშნულისა, ემფიზემის /"ქუშის"/ სამკურნალოდ მოწოდებულია რეცეპტი:

"სია ამისთვსე. მოიღე ჩაღუნა ბაღახის ძირი ერთი მუჭი, დაჩეჩქვე და ამაში აურიე ცოტა კუღმუხის ძირი, მოხარშე ესენი ერთად, გასწურე და ამ წვენში აურიე ერთი სტიკი სელის ზეთი და ერთი ბუდიკა კარგი ღვინო და დაფქი. ესენი ერთად არეული ღიღას და საღამოს დააღევინე თითო ბუდიკა ნელთბილი და უთუოდ მორჩება"2/.

ხელნაწერში აღწერილი მასალით ირკვევა, რომ მუწუკების მომწიფების დასაჩქარებლად იყენებდნენ რთული შედგენილობის შემდეგ ნაერთს:

"...თუ მაგარი მუწუკი იყოს მოიღე სელის ფქვილი ერთი მუჭი, ქერის ფქვილი ერთი მუჭი, აბზინდა ბაღახი ცალი მუჭი, ღეღუს ჩირი რამდენიმე, ბაფრანა ორი მისხალი, ხახვს თავი რამდენიმე შემწვარი, ესენი რძით დაფქვ მოხარშე და თბილ თბილი ადე რომ გამოერწყოს, მერმე ჭრილობის მაღალთით სწამლე. მორჩება"3/.

თვალის ტკივილის შემთხვევებში მიმართავდნენ მტკივანი თვალის წყლიანი ძმრით გამოშანვას. გარდა ამისა, იყენებდნენ სველ საფენებს, რომელიც დასველებული იყო ნაერთში:

"მოიღე ვარდის წყალი ერთი ფინჯანი, დანაყილი ნიშადური ნახევარ მისხალი, ღიღა ერთი მისხალი. ესენი ერთად აურიე და ტილოს მჩუარს გააველებე და დააღებე მტკივანზს თვალს. რამდენჯერაც გაშრეს იმდენჯერ დაასველებე. ღიდი გამოცდილი და

1/ ხელნაწერი № 228, 10 ვ.
2/ - " -
3/ - " - , 12 ვ.

საუკეთესო წამალი არის"[1].

ენტეროკოლიტების, ანუ, როგორც მას ძველად უწოდებდნენ, "ყვანას" შემთხვევაში სამკურნალოდ იყენებდნენ თიახტარუხის, ძირკვილას ძირისა და ბატრანის ნაერთის აბებს. გარდა ამისა იყენებდნენ დამწვარ-დანახშირებული საგამთრის ქერქს და არყის ხის ნახშირს.

ცხოველის ჰელმინთებით დაინვაზების შემთხვევაში ხელნაწერში რეკომენდებულია რეცეპტი:

"მოიღე ასისთავა ბალახი თექვსმეტი დრამი.
ტვირილას ყვავილი ორი მუჭი,
ქინაქინა თექვსმეტი დრამი,
ჩკინის ნაქერები რვა დრამი,
ღვის კენკრა თექვსმეტი დრამი.
ესენი ერთად აურიე, ჩაჰყარე ქოთანში და ბევ დაასხი ორი ბუთლიკა ღვნო და ორი ბუთლიკა წყალიც. ეს დაადენე სამს დღეს, შემდგომად გასწურე და დღეში ერთს ბუთლიკას დააღევინებდე. ჭიას დაადრევინებს"[2].

ხელნაწერის 16 ზ-ზე აღწერილია ცხენის დაავადება, რომელიც ძველად "სირაჯას" სახელით იყო ცნობილი. მისი კლინიკური ნიშნები შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული:

"ამ სენის ნიშანი ეს არის: გაუსივდება უკანა ფეხები და დახეჭს მუწუკად, პირშიაც ექმნება და წინა ფეხებშიაც ყვითწაია დენას დაუწყებს"[3].

როგორც ირკვევა, მოხსენებული დაავადება - "სირაჯა" - კონტაგიოზურია, სწორედ ამიტომ მითითებულია იმის შესახებ, რომ ავადმყოფი ცხენი იზოლირებულად იქნეს დაბმული-შენახული.

1/ ხელნაწერი № 228, 13 ზ.
2/ -"- , 14 ვ.
3/ -"- , 16 ზ,ვ.

"...ეს სენი დიდად მავნებელი არის ცხენისა და ცალკე უნდა ამყოფოს, რომ სხვად ცხენთ არ შეეყაროს..."1/

ხსენებული დაავადების სამკურნალოდ სხვადასხვა კომპონენტებისაგან შემდგარი რამდენიმე რეცეპტია მოწოდებული. მოვიტანთ ზოგიერთ მათგანს:

"სია ამ სენისაჳს წამალია.
მოიღე სამ ნახალი ოქკა ერთი ფინჯანი,
მაგარი ძმარი ერთი ფინჯანი,
ბრინჯად ხის ქერქი რვა დრამი,
აურიე ამაში თრიად ფარული და უსჳ იმ მტკივნეულის მუწუკზედა.
ამ სენისაჳსვე: მოიღე ექვსი თავი ნიორი,
ერთი სტილი ძველი ღორის ქონი,
წმინდა ჳთელი სანთელი ექვსი მისხალი,
ერთი სტილი მაგარი ძმარი.
ესენი ერთად აურიე, ჩაასხი ქოთანში და ადუღე, რომ მალამოსავით შეიქნას. გადმოდგი, ცივზედ გააკარ და დაადევ წყლულზედა და ღილში ერთხელ გამოუცვლიდე. დიდად არგებს. ეს წამალი მუწუკებსაც გაუხმობს და დაადრევინებს"2/.

ცხენის მუწისა და ქეცის საწინააღმდეგოდ რეკომენდებულ რამდენიმე ნაერთიდან მოვიტანთ ერთ მათგანს:

"წასასმელი განზედა. მოიღე შავი კოკირი მისხალი თორმეტი, დანაყე და ამაში აურიე შაბი მისხალი ექვსი, გარეული წყლის ნიახური თავისის ძირით გამხმარი და დაფშვნეტილი ცალი მუჭა. ესენი ერთად არეული მოხარშე ღორის ქონში და წასუსვი. სამს ღღეს ესე იყოს. სამს ღღეს უკან დაბანე და უთუოდ მორჩება"3/.

შარების შეკავების, ანუ შეხუთვის შემთხვევაში მიმართავდნენ შარსაბინარის გამორეცხვას შემდეგი ნახარშით:

1/ ხელნაწერი № 228, 16 ზ.
2/ ი ქ ვ ე , 16 ზ,ვ.
3/ - " - , 20 ზ.

"მოიღე საფაცურის ძირი და ჯორის ძუას ძირი. დაჩეჩქვე ესენი და აურიე ამაში მრავალძარღვს ფოთოლი ანუ ძირი მისი და დაღეჭვინე. ესენი ერთად მოხარშული ჩაასხი წელობილს ოცნაში და მიეც მიღში და უთუო არგებს"1/.

გარდა აღნიშნულისა, შარიის შეკავების შემთხვევაში ავადმყოფ ცხოველს დასაღევად აძლევდნენ შემდეგ ნაერთს:

"...დასაღევი. მოიღე საფაცური, ჯორის ძუა და კუმუხი. ამათ თითოსი თითო ცალი მუჭი, მოხარშე ესენი წყლითა და გასწური. აურიე ამაში სამი მისხალი გარდახალისებული ტორჩილა. გააცივე და დააღევინე. უთუო არგებს"2/.

საფესვე პარკის ანთებას /Orchiti / იმის გამოკალისწინებით თუ რა ეტიოლოგიური ფაქტორი ელვა მის წარმოშობას სამკურნალოდ სხვადასხვა წამლებით მკურნალობდნენ. მაგალითად, ხელნაწერში ეკითხულობთ:

"ჩუჩუ და კვერცხები, რომ დაუსივდეს თუ სიცხისაგან ჰქონდეს დასიებული მაშინ უნდა ასე სწამლო: მოიღე ცხარე ძმარი და წითელი მიწა. ესენი ერთად გაღესე და ღუმში სამჯერ წასცხებდე. და ბარძა მოხარშე იმისი წყლით მოშანე მოთბილი და ეს უსვი"3/.

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ორხიტი დაჟეჟილობით იყო გამოწვეული, მაშინ სხვა საშუალებას იყენებდნენ.

"თუ დაჟეჟილი ჰქონდეს და ამითი დასიებულეს ამას ასე სწამლე: მოიღე ავაკუა, სახამებელი, ხახის ქონი და რძე, ერთად მოხარშე და ფაფასავით მოხარშული წელობილის ნაყუთზე"4/.

ერთ-ერთ პარაგრაფში, რომელიც სახელდებულია: "ურძილების

1/ ხელნაწერი № 228, 20 ზ.
2/ - " - 21 ვ.
3/ იქვე.
4/ იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასიებისათვის", განხილულია ღრძილების ანთება. მის სამკურნალოდ რეკომენდებულია ღრძილებზე ძმარში არეული დანაყილი კაპარის ნასმა.

"მოიღე კაპარი დანაყე, აურიე ძმარში და წაუსვი ღრძილებში"1/.

ამავე მიზნით დაფხეკილი პირშუშხას ნაყენსაც იყენებდნენ.

"ხრენი დაფხიკე, წყლით დააყრე და მერმე გამოშანე, დიდად არგებს"2/.

კბილების მოყუნებისა და ძვრის საწინააღმდეგოდ ხელნაწერის მიხედვით რეკომენდებულია ძმარში არეული მოხარული სოლინჯის წასმა კბილებზე, კბილებზე გამომწვარი თიხის ჭურჭლის ფხვნილის მოყრა და სხვ.

"კბილების მოშვებისა და ძვრისათვს.

მოიღე სოლინჯი, მოხარე და დანაყე, აურიე ძმარში და კბილებზე უსვი. ამისთვსვე. მოიღე ჩინის ჭურჭლის ნატეხი, დანაყე წმინდად და ასარე კბილებზე და გააშაქრებს. ამითვსვე. ფაფაღის ხე რომ ნახშირად დაწვა და იმისი ნახშირი ასარე კბილებზე, ესეც დიდად არგებს"3/.

ჭრილობების შემთხვევაში სისხლდენის შეჩერების მიზნით მიმართავდნენ ჭრილობაზე ერთმანეთში არეული კირისა და მარილის ფხვნილის მოყრას.

"...მოიღე მარილი და ღეთრი კირი. აურიე ერთად და დაასვარე. ესეც სისხლს შეასწყვეტს"4/.

სხვადასხვა სახის ჭრილობების შემთხვევებში სეპტიკისა და ასეპტიკის დაცვის მიზნით, აგრეთვე ჭრილობის შეხორცების

1/ ხელნაწერი № 228, 23 ზ.
2/ " " " 23 ე.
3/ " " " 23 ვ.
4/ " " " 23 ე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაჩქარებლად ჭრილობაზე მოსაყრელად იყენებდნენ შემდეგი შეკვენილობის ფხვნილს:

"მტვერი დასაყრელი ავის ჭირისა და დამპლის მუნუკისა და ჭრილობის გამწმენდელი.

მოიღე წწვანე ჟანგარ ადი მისხალი, შაბი ადი მისხალი. ესენი ერთად დაწვე, ჩაყარე ქოთანში და ზედ დაასხი ერთი ბუთლიკა არაყი. ადღეში ხარშე, რომ არაყი სულ დაიშროს. შერე რაც ძირს ცეე დარჩეს გააშორ და ზედ დაყრიე ავს ჭირს და ჭირც შეჭს ეს მოსჭამს დააყენებს ჭირსა მოყრილობაზედ"1/.

ქსოვილებში მოხვედრილი უცხო სხეულის ამოსაღებად მინდობილ საშუალებაში ერთ-ერთ კომპონენტს კურდღლის ქონი წარმოადგენს. აღნიშნული გარემოება საკუთრივ იმდენად, რამდენადაც კურდღლის ქონი, ზემოხსენებული მიზნით, დღესაც ფართოდ გამოიყენება ე.წ. შინაური წესით ბკურნალობის პრაქტიკაში.

"ტყვიის ამოსაღებად მარამ ჭრილობიდან ტყვიას ამოიღებს. მოიღე სარაჟა შარახის ძირი დაწაღე და აურიე კურდღლის ქონი. ზედ დაადევ დაჭრილს და ტყვიას ამოიღებს. კურდღლის ფეხიც რომ დაადო ქონით, ესეც ტყვიას ამოიღებს"2/.

წყლულოვანი ჭრილობების მოსაშანად როგორც ანტისეპტიკური საშუალება გამოიყენებოდა ხსნარი, რომელიც შემდეგნაირად იყო მომზადებული:

"მოიღე კირის წყალი ნახევარ ჩარეჩა და თუ კირი არ იყოს ისე ხამი წყალი მოადუღე, ჩაყარე ამ წყალში შაბი და ღურჯი შაბიანაში. ამათი თითოსაკან ფერანეჯი მისხალი და გააღნე ესენი ამ წყალში. გარასწურე და ამითი შანე წყლული ესე. წყალი არგებს სისხლის ენასა და დაჭრილსა და დამპალ ჭირსა და ბურგ ნაშხარ ცხენსაც დიდად არგებს და მაგრსაც დააყრე-

---

1/ ხელნაწერი № 228, 24 v.
2/ ი ე ვ ე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინებს"1/.

ქართული ვეტერინარული წერილობითი ძეგლების შესწავლის შეეხება ირკვევა, რომ ხაიტურ ვეტერინარიაში ცხოველებში კანზე სხვადასხვა სახის გამონაყრებისა და მეჭეჭების საწინააღმდეგო ფართო იყენებდნენ თერმოკაუტერიზაციას, ანუ, როგორც მას ძველად უწოდებდნენ - დაბალვას.

"მეჭეჭი, რომ ამოუვიდეს ცხენსა რომელსამე ასოზედ ანუ პირზედ რომ გამოჭყაროს წერილად ან სხვას ასოზედ. ამისთჳს მოიღე სპილენძი გაახურე და იმითი დასწ ენაზედ ანუ პირზედ რომ ესხას..."2/

ძრხეულის დაავადებებიან ხელნაწერის 34 ზ-ზე აღწერილია ერთ-ერთი დაავადება, რომლის სათაურია: "სენისათჳს ძრხისა ანუ ხარისა /რუსულად ამ სენს ჰქჳან ბარაბანნი/". ეჭვს გარეშეა, რომ მოცემულ პარაგრაფში განიხილება მსხვილი რქოსანი პირუტყვის საჭმლის მომნელებელი სისტემის ორგანოთა დაავადება, რომლის კლინიკურ გამოვლინებას თანამედროვე ვეტერინარიაში ტიმპანიის სახელწოდებით ცნობილი სიმპტომი წარმოადგენს. აღნიშნული დაავადების გამომწვევი ფაქტორებიან სწორადაა მითითებული იმის შესახებ, რომ მას იწვევს საქონლის მიერ სველი ბალახის, ფოთლებისა და ქერის ხარშად ჭამა. ასევე სწორად არის აღნიშნული, რომ დაავადება უმეტეს შემთხვევაში აღრე გაგაფხულზე იჩენს თავს.

"სენი ესე ამისგან დაეწარებეა ხარსა ანუ ძრხესა, რომე ხარშაჲსა სჭამს სველ ბალახსა, ანუ სველსა ფოთოლსა, ანუ სველსა ქერ', და მსგავსსა მისსა"3/

1/ ხელნაწერი # 228, 24 ვ.
2/ - " - 29 ზ.
3/ - " - 34 ზ.

ცოცხალის მკურნალობის მიზნით მიმართავენენ ცხოველისათვის წყალგარეული არაები ნაძვის ყლორტების ნახარშის დალევინებას. გარდა აღნიშნული საშუალებისა, ცხოველს ასმევენენ ღვინოზე დაყენებულ რევანდის ხსნარს.

"...სენსა ამას ასე უნდა წამლობა: მოიღე ნაძვს ყლორტები ფაფისის ფოთლითა ერთი ბღუჯი. ესე ჩაყარე ერთ ბუთლიკა საია არაებში და ზედ დაასხი ერთი ბუთლიკა წყალიცა. ესენი ერთად მოხარშე და ნელბილი დააცივინე...ამ სენმა ძალიანი ყუანაც იცის ახალი შალახების გამო, მაშინ მიეც სამი მისხალი რევანდი ღვინოში გაღესილი და ასვი ესე ვინამ ყუანა დაუდგებოდეს"1/.

გარდა მოხსენებულისა, ხელნაწერში აღნერილია მსხვილი რქოსანი პირუტყვის ფურქული. პარაგრაფი, რომელშიც ეს დაავადებაა აღწერილი დასათაურებულია: "სენისათვს რომელი დაემართება ხარს ანუ ძროხასა ფეხებში და ჩლიქებში და პირში ამას ჰქვან ფურქული"2/.

ცხოველის ფურქულით დაავადების შემთხვევაში მიმართავენ ჩლიქების მარილიანი წყლით დაბანას, ხოლო თუ აღნიშნული საშუალება ნაკლებ არ გამოიღებდა და დაავადება პროგრესულად ვითარდებოდა, მაშინ ძმარში მოწყლილ თიხის ცომს აკრავენენ დაზიანებული ჩლიქების ირგვლივ.

"...ამ სენს ასე უნდა სწამლო: პირველად მარილის წყლით დაბანე ფეხები, და თუ სენი ესე უფრო გაძლიერდა მოიღე ნიგელი მიწა და ძმარი, ერთად აურიე სქლად და დაადევ იმ ფეხებზედ. და რომ გაშრეს კიდევ აარიგე და ახალს დააღებე"3/.

1/ ხელნაწერი № 228, 34 v.
2/ - " - 36 r.
3/ - " - -"-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერის 33 ზ-ზე აღწერილია ერთ-ერთი დაავადება, რომლის სათაურია: "სისხლგენ რომ ფსამეს ძროხა ანუ ხარი".

ცასაცემია, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება მსხვილი რქოსანი პირუტყვის დაავადებას, რომლის დანახასიათებელ სიმპტომს ჰემატურია წარმოადგენს. ამდენად უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნულ პარაგრაფში განიხილება მსხვილი რქოსანი პირუტყვის პიროპლაზმოზი.

როგორც ქართულ ვეტერინარულ ხელნაწერთა შესწავლის შეიცად ირკვევა, გარდა ზემოთ განხილული დაავადებებისა, სათანადო ყურადღებას უთმობენ პირუტყვის კანქვეშა ბორასთან ბრძოლის საქმეს. ხსენებული დაავადება აღწერილია სათაურით: "მუნუკი რომ დაჭყაროს ხარსა და დაგლუვრდეს და მთელი მუნუკაი ჰსცვიოდეს და ჩირქი სდიოდეს და მაგრი ეხვეოდეს"1/.

მოცანილი დაავადების მკურნალობის შესახებ ნაშრომია:

"...და მუნუკიანი ცანი ამით დაბანე, მოიღე ექვსი მისხაი ფანშაქი, ერთი მუჭი მუხის ხის ნაცარი, ესენი ერთად არეული მოხარშე ორ ბუდიკა წყალში და წაუსვი. ამისთვსვე: მოიღე ოთხეტი მისხაი ცოცხრი, აურიე ღორის ქონში და წაუსვი"2/.

ცხვრის დაავადებებიდან ხელნაწერში აღწერილია:

1. "ცხვრის სნეულებისათვს". მასში განხილულია ახალშობილი ბატკნის მოვლა-შენახვის ზოგიერთი წესი, მითითებულია ბატკნების დებინტერიის საწინააღმდეგო საშუალებებზე და სხვ.

"...ჩჩვი ბატკანი დიდად მშრალად უნდა ჰყვანდეს შენახული და უნდა აჭმევდეს ბალახსა დაკეპილსა და ზედ მოაყრიდეს ქერის ფქვილსა ცოტა მარილ არეულს...და თუ იყუანდეს მუცელში,

---

1/ ხელნაწერი № 228, 37 ზ.
2/ - " - 37 ვ.

მოხარშოს აბჟინის მაღახის წყალი, ანუ მელისკუდა მაღახისა და აურევიეს ცოტა რევანდს და თითო ფინჯანს დაალევინებდეს და მორჩება უთუოდ"1/.

2/"ცხვარს რომ ქეცი დაეშართოს". ქეციო დაავადების შემთხვევაში უპირველეს ყოვლისა კრეჭენენ ცხვარს, რის შემდეგ კანზე უსვამდნენ შემდეგი წაერთის ხსნარს:

"მოიღე ოანბაქო ერთი მუჭა, გოგირდი სამი მისხალი, ღუდის ხბილე ანუ ღვინის ხბილე, ერთი მუჭა მჭუარტლი. ესენი ერთად აურიე და მოხარშე, გასწურე და ამ წვენში აურიე ცოტა თეთრი ნავთი და წაუსვი ცხვარს ტანზედ და ეს წამალი ერთის წასმით მოარჩენს"2/.

3/ "თავბრუსხვევისათვს და რეტიანობისა და ტრიალისათვს ცხვრისა". დაავადების კლინიკური ნიშნებიდან ხელნაწერში მითითებულია: "ცხვარი თავს კვერიცხეი დაიჭერს და დაიწყებს ირგვლივ ტრიალსა"3/.

უდავოა, რომ მოცემულ პარაგრაფში განხილულია ცხვრის ერთ-ერთი დაავადება - რეტი /ცენურიზი/, რომელსაც როტორც ეხლაა ცნობილი Multiceps-multiceps-ის ახალგაზრდა ფორმა Coenurus cerebralis -ი იწვევს.

ხსენებული დაავადების მკურნალობის შესახებ ნათქვამია:

"ამ სენს ასე უნდა წამოხვა: პირველად უნდა გამოუშვა სისხლი საფეშქელებში და მერმე მოიღო გორჯილა ერთი მისხალი, აურიო ფაფაში და ცოტა წყლით დაალევინო ყოველ დღეს...დაფხიკე ირმის რქა და ჩაყარე მაკარს არაყში. მოხარშე ერთად, გააცივე და ჩაასხი ცხვრის ნესტოებში და კ/უალა/ მოიღე ირმის რქა დანაყე და ცეე დაასხი არაყი. გამოხადე არაყი და ამს წვეთს თეთრის პურის ტკბილი დაუწვეთებდე და ჩაყლაპებ-

---

1/ ხელნაწერი № 228, 38 ზ.
2/ - " - 38 ვ.
3/ ი ქ ე ე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დე აბაე. მორჩება მაიე"[1].

4. "ყუაევიი რომ შეეყაროს ცხუარია და იხოცებიდენ". მოცანიი პარაგრაფში აღნიშნულია იმის შესახებ, რომ ცხვარში ყვავილით დაავადების გამოვლენას მეტწილად გამთარში აქვს ადგილი. /"გამთრით უფრო ძალიან იქმნება ყუავილი"[2].

ყვავილით დაავადებულ ცხვარს მკურნალობის მიზნით აძლევდნენ ქაფურ შერეული მურყანის ხის ქერქის ნახარშს.

"...ამისი წამალი. მოიღე მურყნის ხის ქერქი, გააძერციე და იმ ქერქის ქული დანაყე. მოხარშე, გააცივე და აურიე ქაფური. ფითო ცხვრისათვის ნახევარ მისხალი და დააღევინე ფითო რუნკა და უფუთო არგებს"[3].

ცხვრის დაავადებებიდან, გარდა ზემოთ განხილულისა ხელნაწერში აღნერილია: "სიყვითლე რომ დაეშართოს ცხვარსა", "ცხვარი რომ სისხლისაგან გაიშეროს", "ცხვარს რომ ფურუული დაეშართოს და სხვ.

ხელნაწერში აღწერილია აგრეთვე ხბის დაავადებები. ისინი იღენტურია ცხვრის დაავადებებისა, ამიტომ მათ ცალკე არ განვიხილავთ. აღვნიშნავთ მხოლოდ ხბის საკვებით, კერძოდ ირიის ჭამის შეეცადე მოწამვლის შემთხვევას, რომელიც წარმოდგენილია პარაგრაფში: "ირიი რომ სჭამოს და იმისგან ავად იყოს"[4].

ირიის ჭამის შეეცადე ხბის მოწამვლის შემთხვევაში რეკომენდებულია ავადმყოფ ცხოველს დასალევად მიეცეს თანაბარი ოდენობის ღვინისა და ზეთის ნარევის გამთბარი ხსნარი.

1/ ხელნაწერი № 228, 39 ბ.
2/ ი-"- 39 ა.
3/ -"- 39 ბ,ა.
4/ -"- 42 ბ.

"მოიღე სელის ბეთი ანუ ერმო ერთი რუნკა, კარგი ღვინო ერთი რუნკა. ესენი ერთად გააზმე ცეცხლზედ და დააყენებინე. არგებს"1/.

ყურადღებას იპყრობს ხელნაწერის 50ზ- 51ზ ფურცლებზე მაგრად მაჟონიშვილის მიერ შესრულებული მინაწერი, რომლის დასათაურებაა: "ცნობისათვს ძარღვთასა/რომელ/ს სენისათვს რას აღგიღს სისხლი უნდა გამოუშვა ცხენსა".

აღნიშნულ ფურცლებზე შესრულებული მინაწერი იმაზე ფაქიზებინებს, რომ წარსულში ვეტერინარიაში მეტად ფაქიზებული უნდა ყოფილიყო ავადმყოფი ცხოველიდან სისხლის გამოშვება. ამასთან, იმის გათვალისწინებით თუ რომელ დაავადებასთან ქონდათ საქმე სისხლის გამოშვებას სხვადასხვა ძარღვიდან ანარმოებდნენ. მაგალითად, "თვალებს გვინდა ძარღვი რომ აქვს იქ სისხლი რომ გამოუშვა, თვალის ტკივილს და თავის ტკივილს არგებს. სამყურის ძარღვი რომ აქვს, თავი, ყური და კისერი რომ გაუსივდეს იმას არგებს...ფეხის ძარღვი გაიხსნება სიმსივნისათვს და ბიგნით ჭრილობისათვს და დაჟეჟილისათვს და დაკორდებისათვს სისხლისა..."1/ და სხვ.

ჰელმინთოზებში. როგორც ქართული ვეტერინარული წერილობითი ძეგლების /კარაბადინების/ წესწავლით ირკვევა, მინაურ ცხოველთა და ფრინველთა ჰელმინთოზებს და მასთან ბრძოლის საქმეს წარსულში სათანადო ყურადღება ექცეოდა და მათ საწინააღმდეგო სხვადასხვა საშუალებებს იყენებდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ჰელმინთოზებში, სხვა სახის ხელნაწერებთან შედარებით, უფრო ერცადაა წარმოდგენილი ე.წ. "ფრინ-

---

1/ ხელნაწერი № 228, 50 ზ,ვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველთა კარაბაღინებში". ვინაიდან დღეს ჩვენს ხელთ არსებულ ფრინველთა კარაბაღინების ყველა ცხრა ეგზემპლარი ერთი შრომის მეტ-ნაკლებად განსხვავებულ ნუსხებს წარმოგვიდგენენ, ამიტომ საკითხს ჰელმინთოზების შესახებ უმთავრესად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის S კოლექციაში 1737 ნომრით დაცული "ფრინველთა კარაბაღინის" მიხედვით განვიხილავთ.

ხსენებული ხელნაწერში ჰელმინთოზები წარმოდგენილია ოთხ - "ა", "ბ", "გ", "დ" პარაგრაფებში და ხელნაწერის ფექვსმეტ /8-23/ ფურცელს მოიცავს.

პირველ "ა" პარაგრაფში აღწერილია ჰელმინთთა ზოგადი დახასიათება, აღნიშნულია იმ ბიანის შესახებ, რომელსაც ჰელმინთები ადენებენ ფრინველს, ნაჩვენებია ფრინველის დაინვაზირების გზები, წყაროები და აღწერილია დაავადების კლინიკა. როგორც მოცემულ პარაგრაფში აღწერილი ტექსტიდან ირკვევა, წარსულში წარმოდგენა ჰქონიათ სხვადასხვა სახის ჰელმინთთა არსებობის შესახებ. ამის შესახებ ხელნაწერში ვკითხულობთ:

"მუცელში ჭია ორ სამ რიგი არის. ერთი რიგი ჭია არის მუცელში ნაწლავსაით დაკეცილი ბუდე აქვს და ოსპის მარცვლის ოდენი იმ ბუდეში სხედს ხანდა ხან სკინტლს ჭამანს...ერთი ჭია კიდევ არის ყველაძუასავით მუცელში უბის ამგვარ იქნება, რომ ერთი უჯრეს იქნება, რომ მრავალი და ესეც იქნება, რომ ნერწყვსა ან ფიღას ამოაგანოს და სკინტლს ამოაგანოს"1/.

"ერთი რიგი ჭია არის მფრინველის ჩინჩახვსა და კისერში ჩაუსხლების, ამისი ნიშანი ეს არის, რომ ჩინჩახვსა და კისრის ბურტყს იგრეჯება და თვალებსაც იბრუნებდეს"2/.

1/ ხელნაწერი 1737, ფვ. 9-10.
2/ - " - , ფვ. 22-23.

პირველ შემთხვევაში, მოტანილი სიტყვები "...გველისძუასავით მუცელში უჭის, ამცვარ იქნება, რომ ერთი უკეთს იქნება, რომ მრავალი..." გვაფიქრებინებს, რომ აღწერილია დეს ასკარიდას სახეობა ცნობილი ჰელმინთი, ხოლო მერე შემთხვევაში სიტყვები "...მფრინველის ჩინჩახესა და კისერში ჩაუსხდებიან..." და დაინვაზირებული ფრინველის კლინიკური ნიშნები /"...კისრის ბურცვს იტლეხდეს და თვალებსაც იბრუნებდეს"/ აღწერილი უნდა იყოს პარაზიტული ქია, რომელიც სინგამოზის /Singamus trachealis -ის/ სახეობა არის ცნობილი.

გარდა მოხსენებულისა, ფრინველის ჰელმინთოზების კლინიკური სურათიდან მითითებულია ფრინველის მოწყენილობაზე, კანკალზე, სუსტმაზე და სხვ.

ხელნაწერის "ბ", "გ" და "დ" პარაგრაფებში, რომლებიც ხელნაწერის 11-23 ფურცლებს მოიცავენ, განხილულია პარაზიტული ქიებით დაინვაზირებული ფრინველის მკურნალობის ხერხები და საშუალებები.

როგორც ხელნაწერებში წარმოდგენილი მასალით ირკვევა ფრინველთა ჰელმინთოზების სამკურნალოდ წარსულში ფართოდ გამოიყენებოდა მცენარეული წარმოშობის სხვადასხვა წამლეული საშუალებები, რომელთაგანც აღსანიშნავია:

ყაბაყი - *Physalis alkekengi L.*
ხორასანი - *Artemisia sinoi Berg.*
ეკალკაჭაჭა - *Cichorium intibus L.*
ბროწეული - *Punica granatum L.*
კიტრანა - *Citrullus colochynthus Schrad.*
ფურმუსი - *Lupinus albus L.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატაცური - Asparagus officinalis L.
საბრი - Aloë.
ჩაღუნა - Dryopteris filix mas L.
ღვარღო - Rumex crispus L.
კაპიტი ბალახი - Agropyrum cristatum (L) Gaertn.
აბზინდა - Artemisia absinthyum L.
რევანდი - Rheum palmatum და სხვ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ზემოთ დასახელებულ მცენარეებიდან ყაბზიერი და ხოროსანი ყველაზე ეფექტურ ანტიჰელმინთურ საშუალებად იყენებენ მიჩნეულნი.

აქვე შევნიშნავთ, რომ ონკოფა, რომელსაც ველად ყაბზიერს, ქაქუნაჯს, ქაქსირს და სხვ. უწოდებენ - როგორც ანტიჰელმინთური საშუალება ხალხურ მედიცინაშიც გამოიყენებოდა, ხოლო რაც შეეხება ხოროსანს /ჯენციანა/, იგი შეტანილია საბჭოთა კავშირის ფარმაკოპეაში და გამოიყენება როგორც ასკარიდების საწინააღმდეგო საშუალება.

შინაურ ცხოველთა ჰელმინთოზების შესახებ მოკლე წარმოდგენილია ე.წ. "ცხენის კარაბადინებში". მაგალითად, Q -№ 281 ხელნაწერში ცხენის ჰელმინთოზების შემთხვევაში მოწოდებულია ავადმყოფი ცხოველისადმი თაფლში აღებული ღანაფილი ტვირილის ბავის მიცემა, ხოლო მეორე დღეს მასვე უნდა მიეცეს ქერში არეული ღანაფილი მარილი.

"ცხენს რომ ჭია აღონებდეს ამისი წამალი: ტვირილის ბავი შვერი უნდა ღანაფონ, უცხცხლო თაფლით აბილონ და აჭამონ დაადრევინებს. მეორეს დღეს დარუშული მარილი ქერში აურიონ და ის აჭამონ დაადრევინებს"1/.

1/ ხელნაწერი Q -№ 281, "კარი ჭიისა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

H-№ 2156 "ცხენის კარაბაიბში", გარდა იმ ანტიჰელმინთური საშუალებებისა, რომლებიც მოხსენებულია Q-№ 281 ხელნაწერში, რეკომენდებულია ქერში არეული წვრილად დაჭრილი ცოცხობას ძირის ავადმყოფი ცხოველისათვის მიცემა.

Q-№ 311:1ხელნაწერში, ცხენის ჰელმინთებით დაინვაზირების შემთხვევაში მოწოდებულია ქვემოთ მოყვანილი შემდეგი ოთხი რეცეპტი:

"კ: 15: იე:- ჭიისათვის ცხენისა. სია ამის წამლისა:

მოიღე შავი საბრი 10 დრამი
ჯაიაფა 1 დრამი
ტუნერუკი 1 დრამი
/არისტოკოს/ ესე იგი 2 დრამი
მელის კუდას შაიახის შარბათში. ამაში აურიე ცომსავით დააკეთე აბად და ორს კაკლის ტოლას ჩაადებაპებე.

სია ამისთვისვე:

მოიღე ვერცხლის წყალი 2 დრამი
ტერმენთინი წახევარ უნცი
ესე ვერცხლის წყალი ამაში დაიხსე, კარგად რომ დაწყალდეს სრულებით, აურიე ამაში საბრი 1 დრამი კოჭა დრამი და ასხი ზედა 30 წვეთი კანაფის ზეთი. ესენი ერთად არეული ჩაასხი ბაფერში, ჰქმენ თითო ხვილის ტოლად აბებად და თითოს აბს ჩააყლაპებე ექვს დღეში ერთხელ ვიდრე ჭიას დაჭრიდეს. ეს აბი სიფრთხილით სახმარებელი არის.

სია ამისთვისვე:

მოიღე ასისთავა შაიახი 2 უნცი
ტვირიის ყვავილი 2 მუჭა
ქინაქინა 2 უნცი
რკინის ნაშლილი 1 რუბი
ღვიის კენკრა 4 უნცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესენი ერთად აურიე, ჩაყარე და ზედ დაასხი ორი ბუ-
ტილკა ღვინო და აურიე ორი ბუტილკა წყალიცა. ეს
დაადენე ორს ანუ სამსა დღესა მ/ერმე/დ ფიქოს ბუტილ-
კას ქასწურაედე და ერთს ბუტილკას ღილას დააღევინებ-
დე და ერთს საღამოს.

სია ამისთვისეე:

მოიღე ხორასანი 6 მისხალი
ცოცხობა შალახი ერთი მუჭი
ესენი ერთად არეული მოხარშე კარგად და ამაში აურიე
ნახევარ სტილი კანაფის ზეთი. ქადიე, ქასწურე. ერთს
ბუტილკას ორად ქაჰყოფდე, ღილას და საღამოს დაადე-
ვინებდე".

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასკვნები

საბჭოთა კავშირის მტკიცე და ძმურ ოჯახში გაერთიანებულ ხალხებს დიდი წვლილი აქვთ შეტანილი მსოფლიო კულტურის საგანძურში, ამიტომ ჩვენი ხალხის წარსულის ისტორიის შესწავლას დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ქართველმა მეცნიერებმა დაამუშავეს და შეისწავლეს საქართველოს ისტორიის მრავალი პრობლემა.

დიდი ყურადღება აქვს დათმობილი კულტურის, ხელოვნების, ცალკეულ მეცნიერებათა და მეცნიერებათა შიგნით ცალკეული დარგების ისტორიის შესწავლას. ამ მხრივ, მეცნიერების სხვა დარგებთან ერთად, დიდი შეხოქმედებითი მუშაობაა ჩატარებული მედიცინის დარგში.

ქართველ მეცნიერ მედიკოსთა მიერ შესწავლილი, გაანალიზებული და გამოქვეყნებულია რამდენიმე ფუნდამენტური ნაშრომი საქართველოს მედიცინის ისტორიის შესახებ. მათში განზოგადებულია ქართველი ხალხის სამედიცინო მოღვაწეობის ამსახველი მასალები ძორეული წარსულიდან თანამედროვე პერიოდამდე. მათშივე ფაქტებზე დაყრდნობით და მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ სამკურნალო საქმე საქართველოში ძველად, ისევე როგორც აღმოსავლეთის ბევრი სხვა ქვეყანაში, მაღალ დონეზე ყოფილა დაყენებული.

ქართველ მედიკოს მკვლევარ-ენციკლოპედისტთა მიერვე გამოქვეყნებულია ქართული სამედიცინო კრებულები, რომლებიც მანამდე მხოლოდ ხელნაწერების სახით არსებობდნენ და საუკუნე-

ების მანძილზე ქართველი ხალხის პრაქტიკული სახელმძღვანელოს როლს ასრულებდნენ მეცხოველეობის დარგში.

სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის - ვეტერინარიის ისტორიის შესწავლას საჭიროა კავშირში და, განსაკუთრებით, საქართველოში ბოლო პერიოდამდე არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება და არ იყო გაანალიზებული მნიშვნელოვანი პრაქტიკული ნაშრომი ამ მიმართულებით, მიუხედავად იმისა, რომ უფროსი თაობის მოწინავე ვეტერინარ სპეციალისტებს მრავალგზის გამოუთქვამთ აზრი ასეთი მუშაობის ჩატარების აუცილებლობის შესახებ.

დიდი ხანი არაა, რაც მიმდინარეობს მუშაობა და უკვე დამუშავებული, გაანალიზებული და გამოქვეყნებულია მასალები, რომლებიც შეეხება ვეტერინარიის ისტორიას საქართველოში გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან საბჭოთა ხელისუფლების პერიოდის ჩათვლით. რაც შეეხება უფრო ადრეული პერიოდის ვეტერინარიის ისტორიას საქართველოში, კერძოდ ძველ ქართულ ვეტერინარულ ხელნაწერ კარაბადინებს, ისინი, მოგეხსენებათ, ჩვენამდე სრულიად შეუსწავლელი იყო.

გამომდინარე აქედან მიზნად დავისახეთ ჩაგვეტარებინა მუშაობა სახელმწიფო წიგნსაცავებსა და მუზეუმებში დაცული ძველი ქართული ვეტერინარული ხელნაწერების /კარაბადინების/ გამოვლენა-დაზუსტებისათვის იმ მიზანშეწონილობით, რომ უპირველეს ყოვლისა, მაჩვენებინა მუშაობის გაადვილების მიზნით, დაგვეჯგუფებინა და ამით ერთიან სისტემაში მოგვეყვანა ისინი, შესაძლებლობის ფარგლებში შეგვესწავლა და გაგვეანალიზებინა მათში აღწერილი საკითხები და მკითხველისათვის მიგვეწოდებინა დამუშავებული მასალა კატიბრიობის არსებობის ხანგრძლივი

პერიოდის მანძილზე ემპირიულად დაგვენილ-შემუშავებული შინაურ ცხოველთა ავადმყოფობების მკურნალობის საკითხთა შესახებ. შესაძლებლობის ფარგლებშივე შეგვეძგინა ქართული ვეტერინარული ხელნაწერებში გამოყენებული, დღეს ხმარებიდან ამოღებული და ნაკლებად ცნობილ სიტყვათა ლექსიკონი, გაგვერკვია ხელნაწერებში აღნერილ შრომათა ავტორობის, ორიგინალობის, დანერის თარიღისა და სხვა ისეთ საკითხებში, რომელთა დადგენა-დაზუსტება საბოლოო ჯამში შუქს ფენს ვეტერინარიის ისტორიის შეფასებით მორეულ წარსულს საქართველოში.

დასახული ამოცანის განსახორციელებლად პირველ ეტაპზე ჩატარებული მუშაობის შედეგად, რომლის კონკრეტულ მიზანს წარმოადგენდა, მისი შემდგომი შესწავლის მიზნით, გამოგვეკვლია როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ არსებულ წიგნსაცავებსა და მუზეუმებში დაცული ძველი ქართული ვეტერინარული ხელნაწერები, ჩვენ გავარკვიეთ და დავადგინეთ, რომ დღეისათვის საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ძველ ქართულ ვეტერინარულ ხელნაწერ კრებულებში სულ 47 ეგზემპლარია დაცული. მათი დაწერილობა XVII - XIX საუკუნეების პერიოდს მიეკუთვნება. ერთი მათგანი ხუცური /წუხხური/ ასოთმწყობითია დანერილი, ხოლო დანარჩენები - მხედრულით. ხელნაწერთა უმრავლესობაში პარაგრაფთა დასათაურებები და აბზაცის დასაწყისი სიტყვები დანერილია სინგურით, ხოლო ტექსტი - შავი მელნით.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ჩვენს ხელთ არსებული თითოეული ხელნაწერს თავისებური წარმოშობა, ღირებულება და თავგადასავალი აქვს. მათი უმეტესობა გადანერილია სხვადასხვა დედნიდან, განსხვავებული ცოდნისა და ლიტერატურული კმოვნების მნიგნობართაგან. ამასთან საფიქრებელია, რომ ბევრი მათგანი

საქართველოში უცხო დამპყრობთა შემოსევების შედეგად გაჩაღებულ ქარცეცხლშია განთქმული და საქართველოს აუცილებელი წარსულის უფლება მოწმეა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერთა ერთი ნაწილის დროებით თუ მუდმივი ადგილსამყოფელი, იმდროინდელი საქართველოს წარმომადგენელ თავკაცების, საზოგადო მოღვაწეთა და მწიგნობართა წებსით თუ იძულებით რუსეთის ქალაქებში მოგზაურობის შედეგად, რის მიზეზიც უმთავრესად საქართველოში შექმნილი იმდროინდელი პოლიტიკური უამინდობა გახლდა, შორეული რუსეთის ქალაქები გამხდარან. ასეთი ხვედრის მქონე ხელნაწერთა ნაწილი მხოლოდ გასაშჭობის შემდეგ იქნა გაიმოცემული ქართველი ხალხის განკარგულებაში.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, ვეტერინარულ კარაბაღინთა მხოლოდ ნაწილია კარგად შემონახული და ისეთი ტემოვნებითაა და ლამაზად დაწერილ-გაფორმებული, რომ შეიძლება ქართული კალიგრაფიისა და წიგნის კულტურის ნიმუშად ჩაითვალოს, ხოლო ნაწილი კი იმდენად მოკლებულია მოხსენებულ სიკეთეებს, რომ ვეტერინარიის წარსულის შესწავლის ობიექტად თითქმის საეჭვოა გამოუსადეგარნი არიან.

ქართულ ვეტერინარულ ხელნაწერ კარაბაღინთა საერთო რაოდენობიდან /47/ 30 დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, 5 - ქ.ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში, 3 - სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, 2 - თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, 2 - საქართველოს სსრ ცენტრალურ ისტორიულ არქივში, 2 - კ. მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში. თითო-თითო ეგზემპლარი დაცულია

საეროკო-ბჩერინის სახელობის ენინგრადის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში, ბბიისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ჩამოთვლილ 47 ვეტერინარულ ხელნაწერთაგან 10 ხელნაწერი, - სახელობრ: S ფონდის № 3447; Q ფონდის №№ 1135; 1187; M ფონდის №№ 37:1; 37:2; C ფონდის № 16; №№ 24/20/; 2476; 2482 და სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ხელნაწერი "ცხენის კარაბაღინი" პირველად ჩვენს მიერაა აღწერილი.

ჩვენს ხელთ არსებული ყველა 47 ქართული ვეტერინარული ხელნაწერი მათი ერთიან სისტემაში მოყვანის მიზნით, უმთავრესად იმის გათვალისწინებით, თუ რა სახის ცხოველთა მკურნალობისა და მოვლა-მოშენების შესახებაა მათში მოხსენიებული, ოთხ ძირითად ჯგუფად დავყავით.

მოხსენებული პრინციპით ხელნაწერთა ძირითად ჯგუფებად დაყოფის შედეგად ვეტერინარულ ხელნაწერთა პირველ ჯგუფს მივაკუთვნეთ ის კარაბაღინები, რომლებიც ცხენის მკურნალობისა და მოვლა-მოშენების საკითხებს შეიცავენ /35 ხელნაწერი/.

თავის მხრივ, ვეტერინარული ხელნაწერთა ეს ძირითადი ჯგუფი, ვინაიდან მასში გაერთიანებულ 35 ხელნაწერში ხუთი სხვადასხვა შრომაა წარმოდგენილი, ხუთ ქვეჯგუფად დავყავით /თითოეულ ქვეჯგუფში გაერთიანეთ ერთი და იგივე შრომის შემცველი ხელნაწერები/.

პირველ ქვეჯგუფში შევიტანეთ ერთი ხელნაწერი - "ცხენის კარაბაღინი" /ფრაგმენტი/, რომელიც ხუცური /ნუსხური/ ასოებითაა დაწერილი, ქრონოლოგიურად იგი ყველაზე ადრე შესრულებული ხელნაწერს წარმოადგენს და მისი დაწერის დროდ მეჩვიდმეტე

საუკუნის პირველი და მეორე ნახევრის მიჯნა უნდა მივიჩნიოთ.

მეორე ქვეჯგუფში მოვათავსეთ ერთი და იგივე ტექსტის შემცველი ის 20 ხელნაწერი, რომლებშიც ვახტანგ VI-ის მიერ 1703-1711 წწ. სპარსული ენიდან ქართულად თარგმნა-შეკრების შედეგად დაწერილი "ცხენის კარაბაღინად" სახელდებული ბრონაა წარმოდგენილი.

მოცემულ ქვეჯგუფში გაერთიანებული ხელნაწერები ხსენებული ბრონის "ცხენის კარაბაღინის" ასლებს წარმოადგენენ. მათგან ყველაზე ადრე გადაწერილი ხელნაწერი 1763 წლითაა დათარიღებული, ხოლო ყველაზე გვიან გადაწერილი - 1874 წლით. ამ ბრონის ვრცელი რედაქცია 114 პარაგრაფისაგან შედგება. აქედან 43 მიძღვნილია ბოტექნიკური, ხოლო დანარჩენი 71 - ვეტერინარული საკითხებისადმი.

ცხენის კარაბაღინებში წარმოდგენილი ტექსტის ურთიერთშეჯერების შედეგებმა დაგვარწმუნა, რომ სხვა ხელნაწერებთან ერთად A -№ 1127, Q -№ 281 და S -№ 225 ხელნაწერები ვახტანგ მეექვსის მიერ სპარსულიდან ქართულად თარგმნა-შეკრების შედეგად დაწერილი ბრონა "ცხენის კარაბაღინის" ტექსტს შეიცავს.

ამასთან დაკავშირებით საფუძველს მოკლებულად უნდა ჩაითვალოს A -№ 1127 და S -№ 225 ხელნაწერთა აღწერის ქრ. შარაშიძის მიერ გაკეთებული დასკვნა, თითქოს ეს ხელნაწერები ერეკლე მეორის ძის გიორგის /შემდგომ გიორგი XII-ის/ ბრძანებით სომხურიდან თარგმნილ ტექსტს წარმოადგენენ.

ასევე საფუძველს მოკლებულია S კოლექციაში დაცულ /ტ.I/ № 225 ხელნაწერის აღწერისას ქრ. შარაშიძის მიერ გამოთქმული ეჭვი იმის შესახებ, რომ Q -№ 281 "ცხენის კარაბაღინის" ტექსტი ვახტანგ მეექვსის მიერ არ უნდა იყოს თარგმნილ-შეკრებილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენის კარაბაღინა ტექსტის ურთიერთ შეჯერების პრო-
ცესშივე ჩვენ გავარკვიეთ, რომ საქართველოს სსრ მეცნიერება-
თა აკადემიის აკადემიკოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერ-
თა ინსტიტუტის A და S კოლექციებში შესაბამისად 671 და
№01 ნომრებით დაცული ხელნაწერები სინამდვილეში ერთი ხელ-
ნაწერის სხვადასხვა ნაწილებს /ფრაგმენტებს/ წარმოადგენენ.

მესამე ქვეჯგუფში გაერთიანებული იქნა "ცხენის კარაბა-
ღინაი" ნოდებული ერთი და იგივე შრომის შემცველი 7 ხელნაწერი.
მათში წარმოდგენილი შრომა კომპილაციურია, დაწერილია 1788
წელს გიორგი მაყაშვილის /შემდგომ საქართველოს უკანასკნე-
ლი მეფის გიორგი XII-ის/ პრძანების საფუძველზე და, როგორც
შრომისათვის დართული ანდერძის შინაარსიდან ირკვევა, მისი
ავტორად იოანე ოსესძე უნდა მივიჩნიოთ. მოცემულ ქვეჯგუფში
გაერთიანებული ყველა ხელნაწერი წეწხესენებული "ცხენის კა-
რაბაღინის" ვრცელ რედაქციას შეიცავს და 280 პარაგრაფისა-
გან შედგება. აქედან 56-ში გაწერილია ზოოტექნიკური, ხოლო
224-ში - ვეტერინარული საკითხები.

ამასთან დაკავშირებით უნდა ჩაითვალოს, რომ ქვეჯგუფში
გაერთიანებულ ხელნაწერებში წარმოდგენილი შრომის - "ცხენის
კარაბაღინის" დასაწერად ავტორს - იოანე ოსესძეს - წასარ-
გებლები აქვს შემდეგი ვეტერინარული წყაროებიც:

1. სომხურ ენაზე არსებული ცხენის კარაბაღინიც. აქვე
უნდა შევნიშნოთ, რომ სომხური ცხენის კარაბაღინი არაბულ
ენიდან თარგმნილია /ჩვენი წელთაღრიცხვის/ არა 1504 წელს,
როგორც ამის შესახებ შრომისათვის დართულ ანდერძშია მოხსე-
ნებული, არამედ - 1295 - 98 წლებში.

2. ვახტანგ მეექვსის მიერ სპარსულიდან ქართულად თარ-

გნნა-შეკრების შედეგად დაწერილი "ცხენის კარაბაღინით", რომელსაც იოანე ოსესძე შრომისათვის დარიული ანდერძში "ძველ კარაბაღინებს" უწოდებს.

3. იოანე ბაგრატიშვილის მიერ შეკვეთილი საკითხებით შინაური ცხოველთა მკურნალობიდან.

მეოთხე ქვეკრებში შევიტანეთ 5 ხელნაწერი და ერთი სტამბური გამოცემული წიგნი. ყველა მათგანში ერთი შრომის "საშკურნალო ცხენთა და პირუტყუთას" მეცნიერებად განსხვავებული ტექსტია წარმოდგენილი. ამ შრომის სრული რედაქცია 34 პარაგრაფისაგან შედგება, რომლებშიც, განსხვავებით ყველა სხვა შრომებისაგან, მხოლოდ ვეტერინარული საკითხებია განხილული. ხსენებული შრომა რუსულ ენაზე არსებულ სხვადასხვა ვეტერინარულ წყაროებიდან გამოკრებით ქართულად თარგმნის შედეგადაა დაწერილი ბაგრატ ბაგრატიშვილის მიერ /პირველი ვარიანტი - 1816 წელს, მეორე - 1817 წელს და საბოლოო, შედარებით პირველ ორთან უფრო სრულყოფილი ვარიანტი - 1818 წელს/ მეფისდროინდელ სამეფო ქალაქ სანკტ-პეტერბურგში.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეკრებში გაერთიანებული 5 ხელნაწერთაგან სამი - ბაგრატ ბაგრატიშვილის ავტოგრაფული ნაწერია. ამასთან დაკვირვებით უნდა ჩაითვალოს, რომ სტამბური წესით გამოცემული პირველი ქართული ვეტერინარული წიგნს ბაგრატ ბაგრატიშვილის შრომა - "საშკურნალო ცხენთა და პირუტყუთა" წარმოადგენს, რომელიც ავტორის მიერ გაღებული საკუთარი ხარჯებით 1818 წელსაა დაბეჭდილი სანკტ-პეტერბურგში.

მეხუთე ქვეკრებში შევიტანეთ ტექსტობრივად იდენტური 29 პარაგრაფის შემცველი "ცხენის კარაბაღინად" სახელდებული ორი ხელნაწერი. მართალია მათში განხილული ზოგიერთ პარაგრაფ-

და ტექსტი მეტნაკლებად ემთხვევა ვახტანგ VI-ის მიერ სპარსულიდან ქართულად თარგმნა-შეკრების შედეგად დაწერილ "ცხენის კარაბადინის" შესაბამის პარაგრაფებში აღწერილ ტექსტს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელნაწერებში წარმოდგენილი ტექსტი ვახტანგ VI-ის "ცხენის კარაბადინის" ფრაგმენტს წარმოადგენდეს. ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას ჩვენ გვაძლევს ქვეყანაში გავრცელებულ ხელნაწერებში წარმოდგენილი შრომისათვის დართული ანდერძი, რომ იგი "...არაბულად ნათქვამია აღექსანდრე ქელბუნიოსისათვის სპარსულად გარდმოსწერეს..."

ამასთან დაკავშირებით მართებულად მიგვაჩნია დავასკვნათ, რომ ვახტანგ მეექვსეს თავისი ვეტერინარული შრომის - "ცხენის კარაბადინის" დასაწერად სპარსულ ენაზე არსებულ სხვა ვეტერინარულ წყაროებთან ერთად, ერთ-ერთ წყაროდ გამოყენებული აქვს მოცემულ ქვეყანაში გავრცელებული 29 პარაგრაფის შემცველი "ცხენის კარაბადინის" სპარსული ტექსტი, რის გამოც აღწერილ აქვს ხსენებულ ხელნაწერთა შესაბამის პარაგრაფებში აღწერილ ტექსტთა მეტნაკლებად დამთხვევას.

ვეტერინარულ ხელნაწერთა მეორე ჯგუფს მივაკუთვნებთ "ძაღლის კარაბადინად" სახელდებული ერთი ხელნაწერი /ფრაგმენტი/. იგი იოანე ბატონიშვილის ავტოგრაფიული ნაწერია, დაწერილია მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში და გამომდინარე მისი ანდერძის შინაარსიდან მასში წარმოდგენილი შრომის ავტორად იოანე ბატონიშვილი უნდა მივიჩნიოთ.

ვეტერინარულ ხელნაწერთა მესამე ჯგუფში მოვათავსეთ ცხრა - "ფრინველთა კარაბადინად" წოდებული ხელნაწერი. მათში შინაურ ფრინველთა მოვლა-მოშენების, დაავადებებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეაავაიეებაოა სამკურნალოდ გამოყენებული საშუალებაოა შესახებაა მოხსენებული. როგორც მაოში წარმოდგენილი ტექსტის ურთიერთ შეჯერების შედეგად იქნა გარკვეული, მოცემულ ჯგუფში გაერთიანებული ყველა ხელნაწერი ან ერთიმეორისაგან, ან სხვა ამაგე ნრომის შემცველ ხელნაწერთაგან წარმოებულ-გადაწერილ, და ამის გამო ტექსტოლოგიურად მეტნაკლებად განსხვავებულ ხელნაწერებს წარმოადგენენ.

ფრინველთა კარაბადინების უძველესობა XVIII საუკუნეშია გადაწერილი. უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთ მათგანს /Q-N562:2/ ერთვის ფიზიოლოგიური შესავალი, რომელიც, პროფ. ი. აბულაძის აზრით, მეთხუთმეტე-მეცამეტე საუკუნეების წერილობით ძეგლს უნდა წარმოადგენდეს. ეს გარემოება კი იმაზე მეტყველებინებს, რომ დღეს ჩვენ ხელთ არსებული ვეტერინარული ხელნაწერთა ნაწილში ნაჩვენებია არა მათში წარმოდგენილი ნრომის დაწერის თარიღი, არამედ ნრომის გადაწერის, ე.ი. თვით ხელნაწერის დაწერის თარიღი. რაც შეეხება მათში აღწერილ ნრომებს, ისინი ბევრ შემთხვევაში შეიძლება გაცილებით ადრე პერიოდში იყვნენ შესრულებული, ვიდრე ამაგე ხელნაწერებში ნაჩვენები თარიღი მიუთითებდეს.

ვეტერინარულ ხელნაწერთა მეოთხე ჯგუფში შევიტანეთ ის ორი ხელნაწერი კარაბადინი, რომლებშიც ერთი ნრომის - სახელობრ ვეტერინარული რეცეპტურის ნუსხებს წარმოადგენენ. მათში აღწერილი ნრომა დაწერილია რუსულ ენაზე არსებული სხვადასხვა ვეტერინარულ წყაროთა გამოყენების შედეგად ბაგრატ ბატონიშვილის მიერ 1807 წელს ქ. პისკოვში. ანდერად ნრომა კომპილაციურია და მის ავტორად ბაგრატ ბატონიშვილი უნდა მივიჩნიოთ. ორივე ხელნაწერი ხასენებული ნრომის სრულ რეპაქციას

შეიცავს და ერთი მწიგნობრის - იოანე ბაბიეროვის მიერ არის გადაწერილი.

ხელნაწერებში წარმოდგენილი შრომაში განხილულია 117 რეცეპტი ისეთი სამკურნალო საშუალებათა ძირითადი ფორმებიდან, როგორიცაა: დეკოკტი, ნირა, ანუ ექსტრაქტი, მალამო, ხსნარი, მტვერი /pulvis/, აბი, შარბათი და სხვ.

ძველ ქართულ ვეტერინარულ ხელნაწერებში აღწერილ შრომათა გაცნობისა და მათში წარმოდგენილი ტექსტის ურთიერთ შეჯერების შეიქმან, რამაც ფაქტი, შრომატევადი მუშაობის ჩატარება და დიდი დრო მოითხოვა, გარკვეული იქნა, რომ ჩვენს ხელთ არსებული 47 ვეტერინარული ხელნაწერი, რვა სხვადასხვა შინაარსის მქონე ვეტერინარულ შრომათა, ტექსტოლოგიურ მეცნიერებად განსხვავებულ წესებს წარმოადგენენ.

ვეტერინარულ ხელნაწერებში წარმოდგენილი რვა სახის შრომათაგან ხუთი მიძღვნილია ცხენის მოვლა-მოშენებისა და მისი დაავადებების მკურნალობისადმი /35 ხელნაწერი/; მეექვსე შრომა, მოწვეული ჩვენამდე ფრაგმენტის სახით, მხოლოდ ერთ ხელნაწერშია წარმოდგენილი და მიძღვნილია ძაღლის მოშენების, წვრთნა-დაკვეთისა და მისი ზოგიერთი დაავადების მკურნალობის საკითხებისადმი; მეშვიდე შრომა, წარმოდგენილი ცხრა ხელნაწერში, მიძღვნილია მინაურ ფრინველთა მოვლა-მოშენებისა და მათი დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ხერხებისა და საშუალებებისადმი; და დასასრული, უკანასკნელი მერვე შრომა, აღწერილი ორ ხელნაწერში, ვეტერინარული რეცეპტურას წარმოადგენს.

ვეტერინარულ ხელნაწერთა ერთ ნაწილში, მინაურ ცხოველთა დაავადებებისა და მათ სამკურნალოდ გამოყენებულ საშუალებებს გარდა, განხილულია ცხენის მოვლა-მოშენების, ასევე ზოგიერთი კვი-

ცის კვება-განთვრის, კბილების ცვეთის მიხედვით ცხოველის ასაკის დადგენის, ექსტერიერის, ხელნისა და წვრთნის, ცხოველის ფერების და სხვა ზოოტექნიკური საკითხები, რაც იმის დამადასტურებლად უნდა მივიჩნიოთ, რომ დღეს ცალკეული დისციპლინებად აღიარებული ვეტერინარია და ზოოტექნია წინათ ერთ განუყოფელ მეცნიერებას წარმოადგენდა.

ქართულ ვეტერინარულ ხელნაწერებში წარმოდგენილ წრომათა უმრავლესობაში შინაურ ცხოველთა და ფრინველთა დაავადებები აღწერილი და დახასიათებულია საკმაოდ ჩამოყალიბებული კლინიკური ნიშნებისა და ცალკეული სიმპტომების ჩვენებით. ამასთან მათ უმრავლესობაში დაავადებათა დახასიათების შემდეგ, როგორც წესი, მითითებულია მკურნალობის საშუალებებსა და ამ საშუალებათა დამზადების ტექნოლოგიაზე.

ხელნაწერებში აღწერილი და მოცემულია სამკურნალო საშუალებები ძაღის, ყელყურ-ცხვირის, კბილებისა და პირის ღრუს, საჭმლის მომნელებელ ორგანოთა სისტემის, კანის პარაზიტული, ჰელმინთოზების, ზოგიერთი ქირურგიული, ინფექციური და სხვა ხასიათისა და წარმოშობის დაავადებების დროს. ამასთან, როგორც ირკვევა, ცნობილი ყოფილა ზოგიერთ დაავადებათა კონტაგიოზურობისა და დაავადებულ ცხოველთა იზოლაციის აუცილებლობის შესახებ.

ვეტერინარულ კარაბადინებში ცხოველთა დაავადებების სამკურნალო რეკომენდებული საშუალებათა გაცნობის შეიძლება ირკვეს, რომ ძველად ქართულ ვეტერინარიაში ფართოდ გამოიყენებოდა ისეთი სამკურნალო ნივთიერებანი, როგორიცაა ქაფური, სინდიყი, ოპიუმი, ხორასანი, ტერპენტინის ზეთი, ზეთისხილის ზეთი, შაბიამანი, ტყემალი, კუპრი და სხვა მრავალი მცენა-

რეული წარმოშობის წამლები. ამასთან, ხშირ შემთხვევაში ერთი რომელიმე დაავადების სამკურნალოდ რამდენიმე რთული შედგენილობის რეცეპტია რეკომენდებული, რაც საქართველოში ცხოველთა მკურნალობის, ე.ი. ვეტერინარული მოღვაწეობის შორეულ წარსულსა და მდიდარ გამოცდილებაზე მიუთითებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილ სამკურნალო საშუალებათა მეტი წილი იმავე მიზნით და თითქმის იმავე წამლეული ფორმით დღესაც ფართოდ გამოყენება ვეტერინარულ პრაქტიკაში. (ს)

აქვე უნდა შევნიშნოთ იმის შესახებ, რომ ხელნაწერებში აღწერილ ზოგიერთ დაავადებათა ეტიოლოგიაში მითითებულია ისეთ ცრუმორწმუნეობრივ საწყისებზე, როგორიცაა ავი სული ან სხვა რომელიმე მაგიური ძალის მოქმედება, ხოლო დაავადებათა სამკურნალოდ შეთვლები და ისეთი მეთოდები და საშუალებანი, რომლებიც დღევანდელი თვალსაზრისით მოკლებულია ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს.

ვაჟამებში რა ძველი ქართული ვეტერინარული ხელნაწერების /კარაბადინების/ შესახებ ჩვენს ხელთ არსებულ მასალას, რომელიც დაგროვილია საქართველოსა და ლენინგრადის სახელმწიფო წიგნთსაცავებსა და მუზეუმებში, დაცული პირველწყაროების დავთვალიერების, გადაწერის, აღწერის, დეტალურად გაცნობისა და ურთიერთ შეჯერების, მათი დაჯგუფებისა და ამით ერთიან სისტემაში მოყვანის საფუძველზე, შესაძლებლობის ფარგლებში ხელნაწერებში გამოყენებული, დღეს უკვე ხმარებიდან ამოღებული და ნაკლებად ცნობილ სიტყვათა ლექსიკონის შედგენის, ხელნაწერებში წარმოდგენილ ბრომათა დაწერის ადგილის, ორიგინალობისა და ავტოროების შესახებ საკითხების გარკვევის, უპირველეს ყოვლისა ნათელი ხდება, რომ მეცნიერებისა და კულტურის

სხვა დარგებიან ერთად ვეტერინარიას საქართველოში ურნა ფესვები აქვს. და ამ დარგის განვითარება-პოპულარიზაციისათვის, რაც პრაქტიკული მიზნებით იყო ნაკარნახები, დიდი ღვაწლი და ამაგი აქვთ განეული იმერეთინელ მრავალ, სახელმწიფო თუ საზოგადო მოღვაწეს და მწიგნობარს, რომელთაგან აღსანიშნავია ვეტერინარული ტრომაია ავტორებიდან და შემდეგ სხვა ენებიდან ქართულად მთარგმნელებიდან; მეცნიერების სხვადასხვა დარგებში გამოყენებული ქართული მეტყველების სხვადასხვა ეტაპის გიორგი შატონიშვილის /შემდგომ საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის/ შვილები - იოანე და ბაგრატ შატონიშვილები /ბაგრატიონები/, იოანე ოსესძე, ფილიპე ყაიმთმაზაშვილი და სხვ. ხელნაწერთა დამკვეთებიდან - გიორგი შატონიშვილი /შემდგომ გიორგი XII/, გრიგოლ წერეთელი, როსტომ ერისთავი და სხვ. ხელნაწერთა გადამწერებიდან - იოანე შაბიერაული, სვიმონ ქაშიძე, ოსე ზაქარიას ძე ქაშაშვილი /ქაშაური/ და სხვ.

დასასრულ, ვიტყვი რა მხედველობაში ფაქტს იმის შესახებ, რომ ხალხურ მედიცინაში გამოყენებულ სამკურნალწამლო საშუალებათა ყოველმხრივი შესწავლა-შემოწმებისა და კლინიკური გამოცდის შედეგად მრავალი მცენარის სამკურნალო თვისებებისა და ახალ წამლეულ საშუალებათა აღმოჩენა-მიკვლევა ხელხელებს წინამდებარე მასალის მავთულისა და გაანალიზების საფუძველზე, გარდა იმისა, რომ მას გამოყენებითი ხასიათი აქვს, შესაძლებლობა გვეძლევა გამოვთქვათ აზრი, რომ ქართულმა ვეტერინარულმა ხელნაწერებმა /კრებულებმა/ შეიძლება პრაქტიკული გამოყენება ჰპოვონ ახალ სამკურნალო მცენარეთა და მცენარეული წარმოშობის ახალ სამკურნალწამლო საშუალება-

და მიკვლევა-კამონახვის საქმეში. შესაძლებლობა იქმნება აგრეთვე იმისა, რომ დღემდე ჩატარებული კვლევაძიების შედეგად დაგროვილი მასალის ერთმანეთთან დაპირისპირების საფუძველზე გამოვთქვათ აზრი ვეტერინარიაში ჩვენი ქვეყნის ხაიხების ისტორიულ აღგილზე და იმის შესახებ, თუ რომელ მათგანს რა პრიორიტეტი მიეკუთვნება ამ საქმეში, რაც ჩვენ მიზნად არ დაგვისახავს, მაგრამ მომავალში შეიძლება სპეციალური კვლევაძიების ობიექტი გახდეს.

ლიტერატურა

1. აბულაძე ილ., ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X საუკუნეებში, სადოქტორო დისერტაცია, 1945.

2. აბულაძე ს., ბაქრაძე გ., მაღარიოლოგიის ზოგიერთი საკითხი ქართული კარაბადინების მიხედვით, სახელმწიფო გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1960.

3. ბაგრატიონი ბაგრატ - სამკურნალო ცხენთა, სანკტ.პეტერბურგი, 1818.

4. ბაგრატიონი დავით-დაუდიან, იადიგარ დაუდი, ე. კოტეტიშვილის წინასიტყვაობით და რედაქციით, თბილისი, 1938.

4. ბერიტაშვილი ი.ვ., მიძღვრება აღმიანის ბუნების შესახებ საქართველოში ძველი დროიდან მე-14 საუკუნემდე, თბილისი, 1957.

5. ბერიტაშვილი ი.ვ., ფიზიოლოგიის განვითარების მოკლე ისტორია. წიგნში - კუნთოვანისა და ნერვული სისტემის ზოგადი ფიზიოლოგია, თბილისი, 1955.

6. ბერძენიშვილი ნ., ვახუშტის პიოგრაფიისათვის; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941.

7. ბერძენიშვილი ნ., დონდუა ვ. და სხვ. საქართველოს ისტორია I, სახელმწიფო გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1958.

8. გაბაშვილი ვ., ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1958.

9. გელოვანი დ., ვეტერინარული რეცეპტურა, გამომცემლობა "ცოდნა", თბილისი, 1960.

10. გორგიჯანიძე ფარსადან, საქართველოს ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, ტფილისი, 1926.

11. გუგუშვილი პ., ქართული წიგნი, 1629-1929 წწ., თბილისი, 1929.

12. დორიძე ი., ძველი აღმოსავლეთის სამართალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1960.

13. დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1957.

14. ენგელსი ფრ., ბუნების დიალექტიკა, სახელგამი, თბილისი, 1954.

15. ენგელსი ფრ., ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა. წგნში – კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, სახელგამი, თბილისი, 1950.

16. ერისთავი რ., მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა და ცხოველთა და ღითონთა სამეფოებან, ტფილისი, 1884.

17. ერისთავი რ., შემოკლებული ლათინური, რუსული და ქართული მცენარეთა ლექსიკონი, ტფილისი, 1873.

18. ეახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა /საქართველოს გეოგრაფია/, ჰ.ლომაურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941.

19. იოსელიანი პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით, "ფედერაცია", თბილისი, 1936.

20. კაპანაძე კ., ანტიკური ქვეყნების ვეტერინარიის ისტორიიდან, ხელნაწერი, 1965.

21. კაპანაძე კ., ჯავრეიშვილი კ., ვახტანგ მეექვსე და ვეტერინარია, ჟურნ. "საქართველოს სოფლის მეურნეობა", № 6, 1967.

22. კაპანაძე კ., მოკლერი ცნობა ვეტერინარული მაღმცოდნეობის ისტორიიდან საქართველოში, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის აკადემიის მოამბე, ტ.III, № 3, გვ. 62-67, თბილისი, 1960.

23. კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.I, სახელმწიფო გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1960.

24. კეკელიძე კ., ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ.I, გვ. 41, თბილისი, 1951.

25. კეცხოველი ნ., საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები, თბილისი, 1935.

26. კურდღელაშვილი შ., ქართული სტამბის ისტორიიდან, "საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1959.

27. ღ ე ო ნ ი ძ ე ღ., სამკურნალო ცხენისა, ჟ. "ვეტერინარიის მოამბე", № 1-2, /დამატება/ გვ. 1 - 32, ტფილისი, 1930.

28. ღ ო რ ო ქ ი ა ნ ი ძ ე ე., ახალგაზ მეექვსე და ქართული სკამების მოღვაწენი, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ტბილისი, 1962.

29. მ ა ი ს ურ ა ძ ე ტ., სამედიცინო ტერმინოლოგია, საშუალგამი, ტბილისი, 1947.

30. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი ა., საქართველოს სარეველა მცენარეები /სარკვევი/, ტბილისი, 1934.

31. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი ა., მოგანიკური ლექსიკონი, ი.ლომაურის რედაქციით, ტბილისი, 1949.

32. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი ა., სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგია-მემცენარეობა, ტბილისი, 1938.

33. მ ი ქ ა ძ ე ტ. ქართული ხელნაწერების შესწავლა და აღწერა, ტბილისი, 1957.

34. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი სულხან-საბა, სიტყვის კონა ქართული რომელ არს ლექსიკონი, ს. ორბელიანშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, ტბილისი, 1949.

35. რ ო ს ე ლ ი აპოლონიოს, არგონავთიკა, სახელგამი, ტბილისი, 1948.

36. რ უ ხ ა ძ ე ტრ., ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან /XVI — XIX სს./, ტბილისი, 1960.

37. ს ა ა კ ა შ ვ ი ლ ი მ., ჭ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ა., საქართველოს მედიცინის ისტორია, ტ.III, წიგნი I, სახელგამი, ტბილისი, 1956.

38. ს ა ა კ ა შ ვ ი ლ ი მ., ჭ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ა., საქართველოს მედიცინის ისტორია, ტ.III, წიგნი II, "საბჭოთა საქართველო", ტბილისი, 1958.

39. ს ა ა კ ა შ ვ ი ლ ი მ., ჭ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ა., საქართველოს მედიცინის ისტორიის ილუსტრაციებში, "საბჭოთა საქართველო", ტბილისი, 1959.

40. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტფილის საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები, / კოლექცია/ ტ.IV, კ. კეკელიძის სარედ. რედაქციით, ტბილისი, 1954.

41. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები /ჰ კოლექცია/, ტ.I, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1946.

42. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები /ჰ კოლექცია/, ტ.II, იერია ამყარაძის საერთო რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1951.

43. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები /ჰ კოლექცია/, ტ.VI, აღ. ბარამიძის რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1953.

44. საქართველოს სსრ, პროფ. მუშკუდიანის რედაქციით, სახელმწიფო გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1958.

45. საქართველოს ფლორა, ტ. I, ა.მაყაშვილისა და ე. სოსნოვსკის რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1941.

46. საქართველოს ფლორა, ტ.II, ა.მაყაშვილისა და ე. სოსნოვსკის რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1941.

47. საქართველოს ფლორა, ტ.III, ნ.კეცხოველისა და ე.სოსნოვსკის რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1947.

48. საქართველოს ფლორა, ნ.კეცხოველისა და ე.სოსნოვსკის რედაქციით, ტ.IV, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1948.

49. საქართველოს ფლორა, ტ.V, ნ.კეცხოველისა და ე.სოსნოვსკის რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1949.

50. საქართველოს ფლორა, ტ. VI, ნ.კეცხოველისა და ე.სოსნოვსკის საერთო რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1950.

51. საქართველოს ფლორა, ტ.VII,VIII, ნ.კეცხოველისა და ე. სოსნოვსკის რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1953.

52. ს ხ ი რ ე ლ ი ე., მ ა ჭ ი კ ა შ ვ ი ლ ი ე., ხელები და ბუჩქები ფშიისისა და მისი მიდამოების გასამწვანებლად, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, ფშიისი, 1953.

53. ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი-ც ი ც შ ვ ი ლ ი ზ ა ზ ა, სამკურნალო წიგნი /კარაბადინი/, ტექსტი დაამუშავა გამოსაცემად, გამოკვლევები და ლექსიკონი დაურთო მიხეილ შენგელიამ, სახელმწიფო გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო", ფშიისი, 1959.

54. ფ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი კ., სამხედრო და სამოქალაქო ვეტერინარია საქართველოში, ფშიისი, 1935.

55. ქ ა ნ ა ნ ე ლ ი, უსწორო კარაბადინი, ტექსტი დაამუშავა და წინასიტყვაობა დაურთო ექიმ ი.კოტეტიშვილმა, საქმედგამი, ფშიისი, 1940.

56. ქართლის ცხოვრება, ტ.I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, სახელმწიფო გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო", ფშიისი, 1959.

57. ქართული წიგნი, საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა, ტ. I, გვ. 89, ფშიისი, 1941.

58. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების /S/ კოლექციისა, ტ.I, ე. მეფრაველის რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, ფშიისი, 1959.

59. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების /S/ კოლექცია, ტ.III, ე. მეფრაველის რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, ფშიისი, 1963.

60. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, /@ კოლექცია/, ტ.I, შეადგინეს ე.მეფრაველისა და ექ.ბარამიძის მიერ, ი.აბულაძის რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, ფშიისი, 1957.

61. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, /@ კოლექცია/, ტ.II, ი. აბულაძის რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, ფშიისი, 1958.

